186
1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი — ოქტომბერი

1968 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1968 წ.

10.783

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

71. საქართველოს სს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების და მედიცინის მეცნიერების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ
72. სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების გაუმჯობესების შესახებ.
73. საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო მშენებლობის შემდგომი განვითარების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

74. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

75. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 ივლისის № 546 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ.
76. საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ხმაურთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.
77. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემაში სპეციალიზებული სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „საქწყალკანალსახპროექტის“ შექმნის შესახებ.

საქ. სახელმწ.

№ 5
ეროვნული
ბიბლიოთეკა

78. ქ. თბილისის საგარეუბნო კურორტების კეთილმოწყობისა და შემდგომი განვითარების შესახებ.

79. საქართველოს სს რესპუბლიკაში რესტორანების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

80. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 9 ნოემბრის № 2136 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

81. დაქირავებულ შენობებში კინოს ჩვენებისათვის საიჯარო გადასახადის დაწესების შესახებ.

82. „საცხოვრებელ სახლებში გაყვანილი წყალსადენის, კანალიზაციის, თბოფიკაციის და ელექტროქსელებისა და მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების ხარჯების საბინაო საექსპლუატაციო ორგანიზაციებისათვის ანაზღაურების წესის“ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

83. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“ დაქვემდებარების შესახებ.

84. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.

85. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სარემონტო საწარმოებში ტრაქტორების კაპიტალური რემონტის თავმოყრის შესახებ.

86. ხალხური მხატვრული სარეწების შემდგომი განვითარების ზომების შესახებ.

87. ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალიდეურ მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნისათვის რესპუბლიკური კონკურსების მოწყობისა და ჩატარების შესახებ.

88. რაიონების (ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საგზაო განყოფილებების საწარმოო-საგზაო უბნებად გადაკეთების შესახებ.

89. სოფლად მცხოვრებ მოქალაქეთა კუთვნილი ავტომობილებისა და მოტოციკლების სამომხმარებლო კოოპერაციის საკომისიო მაღაზიების მეშვეობით გაყიდვის მოწყობის შესახებ.

90. წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესების ზომების შესახებ.

91. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილების დამატებისა და ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.

92. ციტრუსოვანთა ნაყოფის შესყიდვისა და რეალიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

71 საქართველოს სს რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების და მედიცინის მეცნიერების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ[1]

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში მიღწეულია გარკვეული წარმატებანი.

წლითიწლობით უმჯობესდება მოსახლეობის სამედიცინო დახმარება, გამუდმებით ფართოვდება საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, დისპანსერებისა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ დაწესებულებათა ქსელი.

ხალხის მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონის ამაღლებისა და სამედიცინო დახმარების გაუმჯობესების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის ავადობა და სიკვდილიანობა, დიდი ყურადღება ექცევა სამედიცინო კადრების მომზადებას, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებას მედიცინის დარგში.

საქალაქო საავადმყოფოებში შექმნილია საპროფილო (ინფარქტის, გულმკერდის ქირურგიის, ნეფროლოგიის, კარდიოლოგიისა და სხვ.) განყოფილებები (ცენტრები), გაუმჯობესდა სამედიცინო დაწესებულებათა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების აღჭურვა; სპეციალური ინვენტარისა და სამეურნეო მოწყობილობათა შესაძენად უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში დაიხარჯა 22,5 მილიონი მანეთი.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში გარდაიქმნა ჯანმრთელობის დაცვის სასოფლო ქსელი, მცირეძალოვანი საუბნო საავადმყოფოებისა და საფერშლო-სამეანო პუნქტების გაუქმების ხარჯზე გამსხვილდა ცენტრალური რაიონული საავადმყოფოები; სოფლად წარმოებს მრავალპროფილიანი, მრავალსაწოლიანი საავადმყოფოების ფართო მშენებლობა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ქსელი. ამ ღონისძიებათა განხორციელებამ საშუალება მოგვცა სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონე მიგვეახლოვებინა საქალაქო სამედიცინო მომსახურების დონესთან.

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის ორგანოებმა აამაღლეს სანიტარულ-გამაფრთხილებელი ზედამხედველობის დონე, გაუმჯობესდა სამედიცინო და ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდა.

[1] დანართები არ არის მოყვანილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სს რესპუბლიკას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ჩვენს ქვეყანაში სამედიცინო კადრებით უზრუნველყოფის მხრივ. 1967 წელს, მაგალითად, რესპუბლიკაში მუშაობდა 16.913 ექიმი, 1.219 პროვიზორი, 40.011 საშუალო სამედიცინო პერსონალის მუშაკი. 22 სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში მუშავდება თანამედროვე მედიცინის მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები.

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მშენებლობისა და გაფართოების დარგში კარგი თაოსნობა გამოიჩინეს ცალკეულმა რაიონებმა: მახარაძის რაიონში კოლმეურნეობათა სახსრების ხარჯზე აშენდა სატუბერკულოზო დისპანსერი, ცხაკაიას რაიონში — ონკოლოგიური დისპანსერი, ხოლო თელავისა და წითელწყაროს რაიონებში ფართოვდება საავადმყოფოები (თვითეულ მათგანში — 100 საწოლით) რაიონული ბიუჯეტების გასავალზე შემოსავლის გადაჭარბების ხარჯზე.

მაგრამ მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მოწყობას სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს: მთელ რიგ სამედიცინო დაწესებულებებში ჯერ კიდევ დაბალია ავადმყოფთა მომსახურების კულტურა, არის ცალკეული შემთხვევები, როცა მედიცინის მუშაკები ფორმალურად ეკიდებიან თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულებას, არასაკმაოდ ფართოდ ტარდება მოსახლეობის მასობრივი პროფილაქტიკური გასინჯვა, დისპანსერიზაცია და სხვ. ქარხნებსა და ფაბრიკებთან არსებულ მცირეძალოვან სტაციონარებსა და სამედიცინო-სანიტარულ ნაწილებს — რუსთავის ქიმიურ კომბინატთან, თბილისის საავიაციო ქარხანასთან, ტყავფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანთან", ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანასთან, აგრეთვე თბილისის რკინიგზის ტუბერკულოზიანთა საავადმყოფოს, ზესტაფონის სახაზო საავადმყოფოს და ამიერკავკასიის რკინიგზის სხვა სამკურნალო დაწესებულებებს არ ძალუძთ აღმოუჩინონ მოსახლეობას კვალიფიციური და სპეციალიზებული სამედიცინო დახმარება, ხელს ვერ უწყობენ არსებული სასაწოლე ფონდის რაციონალურ გამოყენებას.

იგრძნობა ნაკლოვანება ცალკეული მედიკამენტებით, სახვევი მასალითა და ავადმყოფთა მოსავლელად საჭირო ზოგიერთი სახეობის საგნებით საავადმყოფოების და აფთიაქების უზრუნველყოფის საქმეში. 567 აფთიაქიდან 114 მათგანი მოთავსებულია შეუფერებელ სადგომებში.

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებები არასაკმაოდ არის აღჭურვილი სანიტარული ავტოტრანსპორტით, მოუგვარებელია მისი რემონტი და სათადარიგო ნაწილებით უზრუნველყოფა; არ არის მოწყობილი სამედიცინო ავეჯის წარმოება; რესპუბლიკის მრეწველობის მიერ გამოშვებული რბილი და მაგარი ინვენტარის ხარისხი დაბალია, ეს ინვენტარი მეტწილად გამოუსადეგარია სამკურნალო დაწესებულებისათვის. ჯერ კიდევ არასაკმაოდ არის სამედიცინო აპარატურა, რენტგენის, ფლიუოროგრაფიული და ელექტროკარდიოლოგიური აფსკები და სალაბორატორიო რეაქტივები.

რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციები შეუფერხებლად ვერ ამარაგებენ სამკურნალო დაწესებულებებს რძის პროდუქტებით, ბოსტნეულით, ხილით, კვერცხითა და სხვა პროდუქტებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა
მუხ. 71

არადამაკმაყოფილებელია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობის ტემპი, დაბალია შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი, ირღვევა ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის ვადები (აბაშის, ახმეტის, ბორჯომის, წულუკიძის რაიონული საავადმყოფოების, გორის სისხლის გადასხმის სადგურის და სხვათა მშენებლობა), ხოლო ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყოველთვის როდი აქცევენ ჯეროვან ყურადღებას ამ საკითხებს. მნიშვნელოვნად ჩამორჩება 1.100-საწოლიანი რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობა. ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობისათვის სუსტად იყენებენ საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობათა და სამრეწველო საწარმოთა სახსრებს.

„ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისა და მედიცინის მეცნიერების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 ივლისის № 517 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა მიიღონ ზომები ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის სრულყოფა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, სამედიცინო სასწავლებლებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა პასუხისმგებლობის ამაღლება სამედიცინო დახმარების და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, სამეცნიერო გამოკვლევათა და სამედიცინო კადრების მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

2. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის დარგში უმნიშვნელოვანეს ამოცანებად შემდგომში მიჩნეულ იქნეს სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა მიზანია მოსახლეობაში საერთო და ინფექციურ დაავადებათა და ტრავმატიზმის შემცირება, გარემო პირობების გაჯანსაღება, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მოსახლეობის სანიტარული კულტურის ამაღლება და სამკურნალო და სანიტარულ-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მუშაობის სრულყოფა, ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკაში მედიცინის მეცნიერებათა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უახლეს მიღწევათა დანერგვა.

3. განთავისუფლდეს შავი ჭირის საწინააღმდეგო, სამკურნალო პროფილაქტიკური, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური და ჯანმრთელობის დაცვის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების ავტოტრანსპორტი და მუშაკები ისეთი სამუშაოებისათვის მობილიზაციისაგან, რომლებიც არ არის დაკავშირებული მათს პირდაპირ საქმიანობასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საქართველოს კპ საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა და რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრონ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სამედიცინო დახმარების შემდგომი განვითარების ამოცანების გადაწყვეტას;

გააუმჯობესონ მუშაობა სამედიცინო კადრების შერჩევის, განაწილებისა და იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის;

აამაღლონ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ხელმძღვანელების მომთხოვნელობა და გააძლიერონ მათი პასუხისმგებლობა მოსახლეობისათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხისა და კულტურისათვის;

გულდასმით განიხილონ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საჭიროებანი და მოთხოვნილებანი, ფართოდ მოიზიდონ საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად;

მიიღონ საჭირო ზომები ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განმტკიცებისათვის, მკაცრი კონტროლი გაუწიონ ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობას და ხარისხს, აგრეთვე მათს დროულად გადაცემას საექსპლუატაციოდ;

აამაღლონ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა პირველადი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა სამედიცინო კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის და მათი პროფესიული დახელოვნების სრულყოფისათვის, აგრეთვე მათი ყურადღება მიაპყრონ იმას, რომ საჭიროა მუდმივი მზრუნველობის გამოჩენა მედიცინის მუშაკთა საჭიროებებისადმი და მათთვის შრომისა და ყოფაცხოვრების აუცილებელი პირობების შექმნა.

5. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

სისტემატურად განახორციელოს ღონისძიებანი მოსახლეობის საავადმყოფო და პოლიკლინიკური მომსახურების მკვეთრად გაუმჯობესებისათვის;

უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში მოაწყოს ქალაქ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოებში და ქალაქ ცხინვალის საოლქო საავადმყოფოში სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების უმნიშვნელოვანეს სახეობათა (სიდამწვრის, ნეიროქირურგიული და სხვა) განყოფილებები (ცენტრები), იმ პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც დამტკიცებული აქვთ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს;

ექიმთა მომზადების ხარისხის ამაღლების მიზნით, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, დაწყებული 1970 წლიდან, შემოიღოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო და პედიატრიული ფაკულტეტების კურსდამთავრებული ექიმების ერთწლიანი სპეციალიზაცია (ინტერნატურა) და ამ მიზნით უზრუნველყოს უშუალოდ ინსტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუტის დამთავრების შემდეგ მათი გაგზავნა დიდ საქალაქო, საოლქო და რესპუბლიკურ საავადმყოფოებში;

ერთწლიანი სპეციალიზაცია შემოღებულ იქნეს იმ წესისა და პირობების შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 თებერვლის № 130 დადგენილებით;

შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი საშუალო სამედიცინო და ფარმაცევტთა კადრების მომზადების ხარისხის ამაღლებისათვის, რისთვისაც უზრუნველყოს სამედიცინო სასწავლებლები საჭირო სადგომებითა და კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით;

დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშაოს და ექვსი თვის ვადაში განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერებისათვის;

მიიღოს ზომები მოსახლეობისათვის სტომატოლოგიური დახმარების გაწევის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის, რისთვისაც მოაწყოს მოძრავი სტომატოლოგიური კაბინეტები და კბილის საპროტეზო ლაბორატორიები, № 1 დანართის თანახმად;

1969 წლის 1 იანვრისათვის დაამთავროს ასპინძის, ყაზბეგის, მესტიის, ცაგერის, თიანეთის, ლენტეხის, ჯავისა და ზნაურის რაიონების ცენტრალური საავადმყოფოების სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური განყოფილებების გარდაქმნა გაერთიანებულ რაიონულ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სადგურებად. ამასთან დაიცვას არსებული საშტატო რაოდენობა და ხელფასის ფონდი;

გააძლიეროს სანიტარული ზედამხედველობა დასაპროექტებელი, მშენებარე, რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი და მოქმედი სამრეწველო, კომუნალური, ჰიდროტექნიკური და სხვა ობიექტებისადმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოახსენოს საწმენდ ნაგებობათა პირველი რიგის მშენებლობის გეგმების შეუსრულებლობის თვითეული შემთხვევა;

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების გეგმის პროექტის შედგენის დროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განმტკიცებას;

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტთან და რესპუბლიკის სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მიიღოს ზომები, რათა გაძლიერდეს სამედიცინო და ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდა მოსახლეობაში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სანიტარული და ფიზიკური კულტურის ამაღლებას;

სამრეწველო საწარმოების მუშაკებისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის გაუმჯობესების მიზნით, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად, 1969 წელს წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი მცირე სამედიცინო-სანიტარული ნაწილების გაერთიანების შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიასთან შეთანხმებით:

ა) შეიმუშაოს და დაამტკიცოს მედიცინის მეცნიერების უმნიშვნელოვანეს მიმართულებათა განვითარების გრძელვადიანი პროგნოზები (15—20 წლისათვის);

ბ) განიხილოს 1968—1970 წლების მანძილზე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ქსელის მოწესრიგების საკითხები და სათანადო წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

გ) გააძლიეროს კონტროლი სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის საქმიანობისადმი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მათ მიერ წამოყენებულ და განსახორციელებელ სამეცნიერო თემების პერსპექტიულობას, პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და დაავადებათა მკურნალობის უახლესი მეთოდებისა და საშუალებათა შექმნას, აგრეთვე სამეცნიერო კადრების მომზადებას.

სისტემატურად შეაჯამოს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა საქმიანობის შედეგები და ამ დაწესებულებათა მუშაობის შეფასების შედეგების კვალობაზე მიიღოს გადაწყვეტილება მათი შემდგომი განვითარების ან მათი მუშაობის თემატიკის (პროფილის) შეცვლის, ან მცირეეფექტიან სამეცნიერო დაწესებულებათა და მათ ქვეგანყოფილებათა გაუქმების შესახებ.

6. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტთან ერთად, ყოველწლიურად მოაწყოს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საერთო რესპუბლიკური დათვალიერებანი; დაწესდეს აღნიშნულ დათვალიერებაში გამარჯვებულთა წასახალისებლად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს სამი გარდამავალი წითელი დროშა ფულადი პრემიებით, თვითეული 1,5 ათასი მანეთის ოდენობით.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტთან ერთად, შეიმუშაონ და დაამტკიცონ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა საერთო რესპუბლიკურ დათვალიერებათა ჩატარების პირობები და წესი.

დაწესდეს, რომ იმ მუშაკთა ინდივიდუალური დაჯილდოება, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, წარმოებს საერთო რესპუბლიკურ დათვალიერებათა შედეგების მიხედვით, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ, პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

ხარჯები პრემიების გასაცემად გაღებულ იქნეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში.

7. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

გამოჰყონ გამონაკლისის სახით, მშენებარე სახელმწიფო საცხოვრებელ სახლებში სათანადო სადგომები დამოუკიდებელი პოლიკლინიკების, დისპანსერებისა და ლაბორატორიებისათვის;

უზრუნველყონ სოფელ ადგილებსა და მუშათა დაბებში მცხოვრები და მომუშავე ყველა ექიმი, პროვიზორი, საშუალო სამედიცინო და ფარმაცევტთა პერსონალი და მათთან ერთად მცხოვრები ოჯახის წევრები უფასო ბინებითა და გათბობა-განათებით;

უზრუნველყონ, საჭირო შემთხვევებში, სოფელ ადგილებში განლაგებული ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებისათვის ტრანსპორტის დროულად მიწოდება გადაუდებელი დახმარების გასაწევად, სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარულ-პროფილაქტიკური მუშაობის შესასრულებლად, ავადმყოფთა გადასაყვანად და მედიკამენტების გადასაზიდად;

უზრუნველყონ სასოფლო ადგილებში მდებარე ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა სამედიცინო ბიბლიოთეკების დაკომპლექტება, ამ დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვებით ასიგნებული თანხების ხარჯზე;

1969 წლის 1 მაისამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინადადებანი იმის შესახებ, რომ 1970—1975 წლებში (წლების მიხედვით) მიზიდულ იქნეს საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობათა და სამრეწველო საწარმოთა სახსრები სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობისათვის წილობრივ საწყისებზე.

8. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ყველა ზომა მიიღოს, რათა სამედიცინო სასწავლებლები უზრუნველყოფილ იქნენ სასწავლო და დამხმარე სახელმძღვანელოებით მშობლიურ ენაზე.

9. მიღებულ იქნეს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინადადება და სოფლის მოსახლეობისათვის დახმარების გაწევის გაუმჯობესების მიზნით ნება დაერთოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცდის სახით რესპუბლიკის 20 სასოფლო რაიონში მოაწყოს რაიონის ბიუჯეტისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა პერსონალის ხარჯზე სამედიცინო გაერთიანება ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა უფლებებით.

სამედიცინო გაერთიანებებში თავი მოუყარონ საორგანიზაციო-მეთოდური კაბინეტების, სამედიცინო სტატისტიკის, ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამსახურის მუშაკებს, რაიონულ პედიატრებს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 20 ივლისის № 446 დადგენილების მე-8 პუნქტის შესაბამისად, იმ სამედიცინო გაერთიანებათა ხელმძღვანელებს რაიონებში, სადაც ტარდება აღნიშნული რეორგანიზაცია, მომავალში ეწოდოს რაიონის მთავარი ექიმი.

10. ნება დაერთოს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს გააუქმოს სამედიცინო-სანიტარული გაერთიანებანი ქალაქ სოხუმსა და ტყვარჩელში და მათ ნაც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლად შექმნას მთავარი ექიმის აპარატები, აგრეთვე დამოუკიდებელი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურები, ამასთან შეუნარჩუნოს მათ ახლანდელ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ განყოფილებათა საშტატო ერთეულები და ხელფასის ფონდი.

11. იმ მიზნით, რომ განმტკიცდეს ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, შეიქმნას თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი ისეთი მსხვილი სპეციალიზებული სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრები, რომლებიც უპასუხებენ მედიცინის მეცნიერებისა და პრაქტიკის თანამედროვე მოთხოვნებს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ 1970—1975 წლებში გაითვალისწინოს 1.100-საწოლიანი კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობა თბილისში, თვითეული 500-საწოლიანი ფსიქიატრიული სამი საავადმყოფოსი — თბილისში, ქუთაისსა და სოხუმში, მოზრდილთა აღდგენითი მკურნალობის 520-საწოლიანი საავადმყოფოსი და პირველი კატეგორიის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურისა — ქ. თბილისში, აგრეთვე სამედიცინო ტექნიკის სარემონტო სახელოსნოს მშენებლობა წლიურად 0,3 მილიონი მანეთის მოცულობის სამუშაოებით, 1500 კვადრატული მეტრი ფართობის საწყობისა და 6 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის სააფთიაქო საწყობის აგება.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და საპროექტო ინსტიტუტმა „საქქალაქმშენსახპროექტმა“ 1969 წლის 1 ივლისისათვის მოამზადონ ტექნიკური დოკუმენტაცია სამი ფსიქიატრიული საავადმყოფოსა და 1.100-საწოლიანი კლინიკური საავადმყოფოს მშენებლობისათვის, ამასთან კლინიკური საავადმყოფოსათვის გამოიყენონ იმ რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს პროექტი, რომლის მშენებლობა ხორციელდება ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში, ხოლო დანარჩენი ობიექტების დაპროექტება დაამთავრონ 1970 წლის 1 ივლისისათვის.

12. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

გაითვალისწინონ, დაწყებული 1970 წლიდან, კაპიტალურ დაბანდებათა გეგმების პროექტებით დამოუკიდებელი პოლიკლინიკების მშენებლობა;

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსთან ერთად 1970 — 1971 წლების კაპიტალურ დაბანდებათა გეგმით გაითვალისწინონ პირდაპირი რადიოსატელეფონო კავშირის მოწყობა სასწრაფო დახმარების სადგურებსა და სამკურნალო დაწესებულებებს შორის, აგრეთვე მათი დაპროექტება №№ 2 და 3 დანართების თანახმად.

13. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ საოფლო მშენებლობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ტრესტმა ამიერკავკასიის „ტრანსმშენმა“ მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა უცილობლივ შესრულდეს ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების კაპიტალური მშენებლობის გეგმები, სიმძლავრეთა ამოქმედების დაწესებული ვადები და გაუმჯობესდეს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი.

მუხ. 71
ეროვნული
ბიბლიოთეკა

14. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ:

ა) ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა მშენებლობას ახორციელებენ თავისი სახსრების ხარჯზე, საპროექტო ორგანიზაციებს შორის პროექტების დაკვეთის განაწილებისა და საიჯარო ორგანიზაციების მიერ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებისა და აგრეთვე მასალებითა და მოწყობილობით მშენებლობების უზრუნველყოფის საქმეში;

ბ) დაევალოთ საბჭოთა მეურნეობებს და რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს გააფართოონ ბავშვთა ბაგების (სეზონური და მუდმივი) ქსელი, რისთვისაც გამოყონ შესაფერისი სადგომები და ააგონ ახალი.

15. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა:

საქვეუწყებო საწარმოებთან და ორგანიზაციებთან სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა განახორციელონ მხოლოდ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით;

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით, სანიტარულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა კომპლექსური გეგმებით გაითვალისწინონ მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის შესაბამისი დარგების მიხედვით შემდგომი, უფრო ინტენსიური განხორციელება ღონისძიებებისა შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის, პროფესიულ დაავადებათა და საწარმოო ტრავმატიზმის თავიდან აცილების, აგრეთვე მუშამოსამსახურეთა დროებითი და მედეგი შრომისუუნარობის შემცირებისათვის;

პროფესიულ ორგანიზაციებთან ერთად მიიღონ ზომები, რათა მოეწყოს და გაფართოვდეს სამედიცინო-სანიტარული ნაწილები, სანატორიუმ-პროფილაქტორიუმები, ინჰალატორიუმები, ფატარიუმები და დიეტური სასადილოები სამრეწველო საწარმოებთან, სამეურნეო ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან (ან მათი ჯგუფისათვის) ახალი მშენებლობისა ან ამ მიზნით სათანადო შენობების გამოყოფის გზით;

1968—1969 წლების განმავლობაში განახორციელონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან და პროფესიულ ორგანიზაციებთან ერთად, იმ სამრეწველო საწარმოების მიმაგრება ტერიტორიულ პოლიკლინიკებზე, რომელთაც არ გააჩნიათ სამედიცინო-სანიტარული ნაწილები, ამასთან აღჭურვონ ეს პოლიკლინიკები (აღნიშნულ საწარმოთა თანხების გამოყენებით) ისეთი აპარატურით, რომელიც საჭიროა პროფესიულ და სხვა დაავადებათა ადრეული დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის. ნება მიეცეს საწარმოებს დახარჯონ ამ მიზნისათვის ნაწილი იმ თანხებისა, რომელიც მათ განკარგულებაშია შესაბამისი ფონდებით;

„სამრეწველო გადანაყარებითა და ავტომობილის გამონაბოლქვი გაზებით გაბინძურებისაგან ატმოსფერული ჰაერის დაცვის ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 23 აგვისტოს № 464 დადგენილების შესაბამისად, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან ერთად, სისტემატურად ადევნონ თვალყური ატმოსფერული ჰაერის სისუფთავეს, არ დაუშვან ატმოსფერული ჰაერის, აგრეთვე ნიადაგისა და წყლის აუზების გაბინძურება მავნე სამრეწველო გადანაყარებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1969—1970 წლებში მსხვილ სამრეწველო საწარმოებში მოაწყონ ლაბორატორიები ან საქარხნო ლაბორატორიის შემადგენლობაში შემავალი განყოფილებანი, რომლებიც განახორციელებენ მუდმივ კონტროლს საამქროებსა და სხვა საწარმოო უბნებზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვისადმი, აგრეთვე ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყალსატევების სამრეწველო გადანაყარებით გაბინძურებისადმი, და აღჭურვონ ისინი საჭირო აპარატურითა და ხელსაწყოებით.

16. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

უზრუნველყონ საქლორატორო დანადგართა მუშაობა და წყლის ქლორირება. აგრეთვე ჯეროვანი სანიტარული წესრიგის დამყარება ყველა წყალსადენისა და საწყალსადენო ქსელის სათავე ნაგებობებზე;

1968—1970 წლების განმავლობაში განახორციელონ ქ. რუსთავის წყალსადენის სადგურში დანადგარის მშენებლობა წყლის ფთორირებისათვის, ხოლო 1969—1970 წლებში დააპროექტონ და 1971—1975 წლებში ააგონ ასეთი ახალი დანადგარები ქალაქ თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისსა და ცხინვალში;

სანიმუშო სანიტარული წესრიგი დაამყარონ ყოველ ქალაქში, რაიონულ ცენტრში, დასახლებულ პუნქტში, რისთვისაც აღკვეთონ უკანონო საყრელები და კეთილმოაწყონ ნაგავსაყრელი ადგილები;

უახლოეს ხანში თავი მოუყარონ დასახლებული პუნქტების სანიტარული დასუფთავების საქმეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების შესაბამისი აღმასკომების კომუნალურ განყოფილებებში; განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაგვა-დასუფთავებისათვის;

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად განიხილონ რესპუბლიკის იმ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში საწმენდნაგებობებიანი საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის საკითხი, სადაც საავადმყოფოების მშენებლობა ხორციელდება ან განზრახულია მათი მშენებლობა სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების, დაწესებულებების და საწარმოების წილობრივი მონაწილეობით;

17. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ გააუმჯობესონ რესპუბლიკის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მომარაგება კვების პროდუქტებით, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ დაწესებულებათა გეგმაზომიერ მომარაგებას ახალი ხორცით, რძით, კვერცხით, ხილით, ბოსტნეულითა და სხვა პროდუქტებით.

18. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოუყოს:

1968-1970 წლებში, როგორც გამონაკლისი, სადგომები ახალი საცხოვრებელი სახლების პირველ სართულებში ორჯონიკიძის, პირველი მაისის, ოქტომ-

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

ბრის და 26 კომისრის სახელობის რაიონების რაიონულ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების მოსათავსებლად;

1968-1970 წლებში — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ სააფთიაქო სამმართველოს — სადგომები ახალი აფთიაქების მოსაწყობად, № 4 დანართის თანახმად;

1968 წელს — მიწის ნაკვეთები იმ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობისათვის, რომლებიც აღნიშნულია ამ დადგენილების მე-11 პუნქტში.

19. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ:

ა) დაამზადოს სანიტარული ტანსაცმელი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაკვეთით და ტექნიკური დოკუმენტაციით, აგრეთვე ხარისხიანად და დაწესებულ ვადებში შეასრულოს სამინისტროს სხვა დაკვეთები;

ბ) 1968 წლის ბოლომდე ჩაატაროს მოსამზადებელი მუშაობა სამედიცინო საწოლების წარმოების მოსაწყობად და გამოსაშვებად და უზრუნველყოს საერთო გეგმის ანგარიშში 1969 წელს 6 ათასი ასეთი საწოლის გამოშვება, ხოლო 1970 წელს — 3 ათასი ცალისა.

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარული განათლების რესპუბლიკური სახლის დაკვეთით, ყოველწლიურად გამოსცეს 40-45 ნაბეჭდი თაბახი ბროშურები, 15-20 დასახელების ბუკლეტები და ფურცლები, 15-20 დასახელების პლაკატები და ილუსტრირებული ლოზუნგები.

21. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ 1969-1970 წლებისათვის გაითვალისწინონ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსათვის ერთი როტოპრინტის და ერთი „ერა-2" მანქანის, ქაღალდის, მუყაოსა და ფოტომასალების გამოყოფა სანიტარულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის, № 5 დანართის თანახმად.

22. რესპუბლიკის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა სასაწოლე ფონდის განსაზღვრულობის და ამ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ყოველწლიურად, დაწყებული 1969 წლიდან, გამოეყოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კაპიტალურ დაბანდებათა დამატებითი სახსრები რესპუბლიკის ბიუჯეტით გასავალზე შემოსავლის გადამეტების ხარჯზე.

23. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ განიხილოს და სსრ კავშირის გზათა სამინისტროს წინაშე დააყენოს საკითხები იმის შესახებ, რომ:

გადაეცეს თბილისის რკინიგზის ტუბერკულოზიანთა საავადმყოფო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, რომელსაც დაეკისროს ამიერკავკასიის რკინიგზის ტუბერკულოზიან თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრების სტაციონარული მომსახურება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიხუროს მცირე საავადმყოფოები იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც ,ბებულია ან შენდება დიდი მრავალპროფილიანი რაიონული საავადმყოფოები.

24. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1968 წლის 5 ივლისის № 517 დადგენილებით „ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისა და მედიცინის მეცნიერების შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“:

ა) დააწესეს 1970 წლის 1 იანვრიდან სამშობიარო სახლებში (განყოფილებებში), საბავშვო საავადმყოფოებში (განყოფილებებში), სამამულო ომის ინვალიდთა ჰოსპიტლებში მყოფ თითო ავადმყოფის კვების, მედიკამენტებისა და სახვევი მასალის შესაძენად საჭირო დღიური ხარჯების და სტაციონარებში თითო საავადმყოფო საწოლის რბილი ინვენტარის შეძენის წლიური ხარჯების საანგარიშო ნორმები, აგრეთვე იმ დონორების კვების ხარჯებისა (სისხლის მიცემის დღეს), რომლებიც სისხლს იძლევიან უსასყიდლოდ, № 6 დანართის თანახმად;

ნება დართეს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს, საჭიროების შემთხვევებში, მოაწყონ (ამ დაწესებულებათა კვების ბლოკების ბაზაზე) აღნიშნულ დაწესებულებათა მუშაკების კვება, რომლის ღირებულებას მუშაკები გადაიხდიან კვების პროდუქტების თვითღირებულების მიხედვით;

ბ) დააწესეს, რომ პენსიაზე გადასულ ექიმებს, პროვიზორებს, საშუალო სამედიცინო მუშაკებსა და ფარმაცევტულ პერსონალს, აგრეთვე მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრებს რჩებათ უფლება უფასოდ ისარგებლონ საცხოვრებელი ბინებით და გათბობა-განათებით, თუ აღნიშნული მუშაკის სოფელ ადგილებში ან მუშათა დაბებში მუშაობის საერთო სტაჟი შეადგენს არანაკლებ 10 წელს;

გ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 თებერვლის № 175 დადგენილების მოქმედება გაავრცელეს სანიტარულ-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ექიმებზე და საშუალო სამედიცინო პერსონალზე;

დ) დააწესეს, რომ იმ ექიმებისა და ლაბორანტების თანამდებობრივი სარგო, რომლებიც მუშაობენ სანიტარულ-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში და რომელთაც აქვთ მედიცინის (ქიმიურ, ბიოლოგიურ) მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო წოდება, დიდდება 10 მანეთით, ხოლო იმათი, ვისაც აქვს მედიცინის (ქიმიურ, ბიოლოგიურ) მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი — 20 მანეთით თვეში;

ე) საავადმყოფოებში, სამშობიარო სახლებში, დისპანსერებში და ჯანმრთელობის დაცვის სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, მათი საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად, შეუცვალეს სახელწოდება თანამდებობას — „სანიტარი ქალი (მომვლელი)“ და მას დაარქვეს „ავადმყოფთა მომვლელი უმცროსი მედიცინის და“, ამ დებს შეუნარჩუნეს ის პირობები, შეღავათები და უპირატესობანი, რომლებითაც ადრე სარგებლობდნენ სანიტარი ქალები (მომვლელები);

ვ) ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეებს სანიტარულ ეპიდემიოლოგიურ დარგში შეუნარჩუნეს თავიანთი თანამდებობრივი სარგო ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს სანიტარულ-ეპიდემიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგიური განყოფილების ბაზაზე შექმნილი სასოფლო რაიონის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარი ექიმის თანამდებობაზე დანიშვნის დროს;

ზ) დააწესეს, რომ ძუძუმწოვარა ბავშვიან ქალებს, მათი თხოვნის თანახმად, მიეცეთ ფეხმძიმობის გამო შვებულების გარდა, დამატებითი შვებულება უხელფასოდ იმ დრომდე, სანამ ბავშვს შეუსრულდება ერთი წელი;

თ) უფლება მიანიჭეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ დაწესებულებათა ის ზეგეგმითი დაგროვება, რაც მიღებულია სახელშეკრულებო სადეზინფექციო სამუშაოთა და სანიტარულ-ჰიგიენური და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა ჩატარებისათვის და განკუთვნილია სახელმწიფო ბიუჯეტში გადასარიცხავად, — გამოიყენონ ამ დაწესებულებათა მშენებლობისათვის, კაპიტალური რემონტისა და მოწყობილობათა შესაძენად;

ი) დაავალეს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი სამედიცინო კადრების გამოყენების გაუმჯობესებისათვის და იმ მოვალეობებისაგან ექიმების მაქსიმალურად განთავისუფლებისათვის, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენასთან;

კ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 692 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაცვლელად დააწესეს, რომ ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობა სახელმწიფო გეგმის გადამეტებით, დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე შეიძლება დაიწყოს იმ პირობით, თუ ამ ობიექტების მშენებლობის დაწყებამდე, დაწესებული წესით დამტკიცებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების არსებობისას, არის მშენებლობის დასაფინანსებელი სახსრები, მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით;

ლ) დაავალეს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სამინისტროებს, უწყებებს და სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების კავშირის აღმასკომს მიიღონ ზომები ავადმყოფთა მომვლელი უმცროსი მედიცინის დების მოსამზადებლად, პირველ რიგში სანიტარ ქალთა (მომვლელთა) რიცხვიდან სამედიცინო დაწესებულებებში მუშაობისაგან მათი მოწყვეტის გარეშე და საჭირო ცვლილებანი შეიტანონ შესაბამის დაწესებულებათა საშტატო განრიგში;

მ) დააწესეს, რომ, დაწყებული 1969 წლიდან, სოფელ ადგილებში სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობა უნდა ხორციელდებოდეს სამედიცინო და საფარმაცევტო მუშაკთათვის ბინების მშენებლობის კომპლექსურად;

ნ) დაამტკიცეს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა უზრუნველყოფა სანიტარული და სხვა სახეობის სპეციალიზებული ავტოტრანსპორტით, სამედიცინო ავეჯით, სადეზინფექციო საშუალებებით, ლაბორატორიული მოწყობილობითა და რეაქტივებით, გამოთვლითი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკის საშუალებებითა და სხვა ნაკეთობებით, №№ 7. 8 და 9 დანართების თანახმად.

25. ეთხოვოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს განიხილოს საკითხი, რომ გადიდდეს ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“, („სოვეტსკაია მედიცინა“) მოცულობა შვიდ საგამომცემლო თაბახამდე, იმ ქაღალდის ხარჯზე, რომელიც გამოეყოფა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს, ამასთან მისი პერიოდულობა განისაზღვროს ერთი ნომრით ყოველთვიურად.

*

* *

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ჩვენი ხალხის ჯანმრთელობის დაცვის ამოცანების შესრულება დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მედიცინის მუშაკებს და მაღალმოთხოვნებს უყენებს მათ კომუნისტური მორალის პრინციპების, საექიმო ეთიკის ნორმების თანმიმდევრობით განხორციელებისა და თავის მოვალეობისადმი თავდადებული სამსახურისათვის.

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმა, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე დაყრდნობით, სამამულო მედიცინის საუკეთესო, პროგრესული ტრადიციების გამოყენებით, გამუდმებით უნდა აიმაღლონ პროფესიული მომზადების დონე, გამოიჩინონ გულისხმიერება და მზრუნველობა ავადმყოფებისადმი, დაჟინებით იბრძოლონ საბჭოთა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო რწმენას გამოთქვამენ, რომ მეცნიერი-მედიკები, ექიმები, ყველა სამედიცინო და საფარმაცევტო მუშაკი, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კომკავშირული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო ხელშეწყობით სასახელოდ შეასრულებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი სრულყოფის დარგში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მუავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 13 სექტემბერი, № 504.

ეროვნული ბიბლიოთეკა

72 სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საავტომობილო ტრანსპორტის როლი ტვირთის გადაზიდვაში. ამჟამად რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტით გადააქვთ ტვირთის საერთო წონის 85 პროცენტამდე.

რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის საერთო მოცულობის დაახლოებით 47 პროცენტს უზრუნველყოფს საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტი. ცენტრალიზებული ტვირთზიდვის ხვედრითი წონა შეადგენს დაახლოებით 75 პროცენტს.

მაგრამ სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების საქმეში მოიპოვება არსებითი ნაკლოვანებანი. სატვირთო ავტომობილების პარკი უმთავრესად ერთცვლად მუშაობს, საკმაოდ არ არის აღჭურვილი მისაბმელებით (ამით უზრუნველყოფილია ავტომობილების საერთო რაოდენობის მხოლოდ 4,5 პროცენტი), ხოლო არსებულ მისაბმელებსა და ნახევარმისაბმელებს ცუდად იყენებენ. ჯერ კიდევ დიდია საავტომობილო ტრანსპორტის გაცდენა დატვირთვა-გადმოტვირთვის პუნქტებში.

10.783

საქალაქთაშორისო ტვირთზიდვაში წინანდებურად მონაწილეობენ სხვადასხვა უწყების სატვირთო ავტომობილები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკან ცარიელი ბრუნდება.

1968 წლის 1 აგვისტოს იმ ავტომაგისტრალებზე ჩატარებული შემოწმების შედეგად, რომლებიც ქ. თბილისს ეკვრიან, დადგენილია, რომ 24 საათის განმავლობაში გავლილი 14,02 ათასი სატვირთო ავტომობილიდან, 8,4 ათასი ანუ 60 პროცენტი არ იყო დატვირთული.

საავტომობილო პარკს სუსტი საწარმოო-ტექნიკური ბაზა აქვს და იგი სათადარიგო ნაწილების მწვავე ნაკლებობას განიცდის.

უწესივრო სატვირთო ავტომობილების რაოდენობა პარკის სიობრივი შემადგენლობის 15 პროცენტს აღწევს.

რესპუბლიკის მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებს არ მიუღიათ სათანადო ზომები, რათა შეესრულებინათ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 დეკემბრის № 878 დადგენილება „სატვირთო საავტომობილო მეურნეობათა შემდგომი გამსხვილებისა და საავტომობილო ტრანსპორტით ცენტრალიზებული ტვირთზიდვის განვითარების ზომების შესახებ“.

ჯერ კიდევ ქმნიან წვრილ, საწარმოო ბაზამოკლებულ, არარენტაბელურ საავტომობილო მეურნეობებს; მარტო 1967 წლის განმავლობაში ასეთი ავტომეურნეობების რაოდენობა 206 ერთეულით გაიზარდა. მათი გადიდება ხდება საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის და უწყებრივი საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების დაწვრილერთეულების ხარჯზე. ეს იწვევს საავტომობილო პარკის ტექნიკური მდგომარეობის დონის შემცირებას, ვინაიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი წლის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ყველაზე მობილური და ეკონომიურად სასარგებლოა საავტომობილო ტრანსპორტის მსხვილი სამეურნეო ანგარიშის საწარმოები, ხოლო მასობრივი ცენტრალიზებული ტვირთზიდვის განსახორციელებლად ქალაქებში, სოფლად, საქალაქთაშორისო მიმოსვლაში — საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები.

„სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 აგვისტოს № 598 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 აგვისტოს № 598 დადგენილება დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს.

2. იმ მიზნით, რომ ამაღლდეს სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის ეფექტიანობა, დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილება საავტომობილო ტვირთზიდვაზე და შემცირდეს სატვირთო ავტომობილების ცარიელი გარბენა, დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) მიიღონ საჭირო ზომები საავტომობილო მეურნეობათა გამსხვილებისათვის, სატვირთო ავტომობილების ტექნიკური მომსახურების, რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მობილობის ამაღლებისათვის;

ბ) შექმნან ახალი (ძირითადად სამეურნეო ანგარიშის) საავტომობილო მეურნეობები ავტომობილების რაოდენობით არანაკლებ 50-სა (გარდა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის და სამომხმარებლო კოოპერაციის საავტომობილო მეურნეობებისა, რომლებიც იმყოფებიან სოფელ ადგილებში), ხოლო შორეულ რაიონებში — ასეთი მეურნეობანი ავტომობილების რაოდენობით არანაკლებ 15-სა;

არ დაუშვან საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების და სატვირთო ავტომობილების გადაცემა ამ საწარმოებიდან სამინისტროებისა და უწყებებისათვის;

გ) უზრუნველყონ ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვის ორგანიზაციის შემდგომი გაფართოება და გაუმჯობესება, ამასთან გამოიყენონ ამ მიზნით უპირატესად საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მიიღონ ზომები სატვირთო ავტომობილების ცარიელი გარბენის მნიშვნელოვნად შემცირებისათვის იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი დატვირთვა ორივე მიმართულებით;

ე) შეამცირონ სატვირთო ავტომობილების გაცდენა მათი ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის დროს, რისთვისაც დანერგონ ავტომობილების ცენტრალიზებული ტექნიკური მომსახურება და რემონტის აგრეგატული მეთოდი.

3. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს:

ა) მოაწყოს ტვირთის საქალაქთაშორისო გადაზიდვა საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების დამოუკიდებლად, აგრეთვე სათანაო მიმართულებით მიმავალი ცარიელი უწყებრივი ავტომობილების დატვირთვა;

ბ) ექვსი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების, ტვირთის გაგზავნისა და დანიშნულების პუნქტების და ამ გზებზე საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით ცენტრალიზებული საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის ვადების ნუსხა, აგრეთვე მოაწყოს 1968-1970 წლებში ტვირთის მიღება ყველა საწარმოსა, ორგანიზაციისა და დაწესებულებისაგან და ტვირთის გადაზიდვა აღნიშნულ გზებზე განლაგებულ ყველა პუნქტში;

გ) მიიღოს ზომები, რათა გაიშალოს ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში გათვალისწინებულ საავტომობილო გზებზე სამეურნეო ანგარიშის სატრანსპორტო-საექსპედიციო საწარმოების, სატვირთო სადგურების, სააგენტოების, სადისპეტჩერო-საკონტროლო პუნქტების, ტვირთის მოკლევადიანი შენახვის საწყობების ქსელი, მოეწყოს და განხორციელდეს ტვირთის ცენტრალიზებული საქალაქთაშორისო გადაზიდვა და დაიტვირთოს სათანაო მიმართულებით მიმავალი ცარიელი სატვირთო ავტომობილები, აგრეთვე მოეწყოს დასასვენებელი ოთახები მძღოლთა შემადგენლობისათვის;

დ) მოაწყოს 1968-1970 წლებში ტვირთდაძაბულ საავტომობილო გზებზე, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების ნუსხით, საკონტროლო საგუშაგოები, რომელთაც მიენიჭოს უფლება გაგზავნონ ცარიელი სატვირთო ავტომობილები, მათი უწყებრივი კუთვნილების დამოუკიდებლად, დატვირთვის პუნქტებში.

4. დაევალოთ საწარმოების, სამეურნეო ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს დაუთმონ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებს სატვირთო ავტომობილები, რომლებიც იგზავნებიან უტვირთოდ (ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ფარგლებს გარეთ), მათ დასატვირთავად სათანაო მიმართულებით და წინასწარ, ავტომობილების გასვლის ვადამდე არა უგვიანეს 24 საათისა. მიაწოდონ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის შესაბამის საწარმოებს ცნობები დაუტვირთავი ავტომობილების რაოდენობისა და მათი მოძრაობის მიმართულების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაევალოთ სამინისტროებსა და უწყებებს სამი თვის ვადაში:

დააწესონ ტვირთის დასატვირთავ-გადმოსატვირთავი პუნქტების ყოველდღიური (გამოსასვლელი დღეების ჩათვლით) ერთნახევარი, ორი და სამცვლიანი მუშაობა, ამასთან გაითვალისწინონ მუშაკთა შესაბამისი რაოდენობისა და ხელფასის ფონდის გამოყოფა ამ მიზნისათვის;

მიიღონ ზომები, რათა გადიდდეს ავტომობილების მუშაობის საშუალო სადღეღამისო ხანგრძლიობა და გაფართოვდეს შოფრების მომზადება ავტომობილების მრავალცვლიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

6. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, ტვირთგამგზავნი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით:

ა) ექვსი თვის ვადაში განიხილონ თვითეული საწარმოს მიხედვით ტვირთის გადაზიდვის მოცულობა (მათ შორის კონტეინერებით), რომლის გადაცემა მიზანშეწონილია რკინიგზიდან საავტომობილო ტრანსპორტისათვის, იმ ანგარიშით, რომ ეს მასალები შემდგომ წარედგინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს;

ბ) შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საავტომობილო ტრანსპორტის, ტვირთგამგზავნთა და ტვირთმიმღებთა მისასვლელი გზების, დასატვირთავ-გადმოსატვირთავი მოედნების და დამტვირთვი მექანიზმების მომზადება ამ ტვირთზიდვის განსახორციელებლად.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შეიმუშაოს წლიური გეგმების პროექტებთან ერთად და წარმოუდგინოს, 1969 წლიდან დაწყებული, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისათვის შემდგომ წარსადგენად წინადადებანი მოკლე მანძილზე ტვირთზიდვის მოცულობის შესახებ, რომელიც რკინიგზის ტრანსპორტიდან უნდა გადაეცეს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტს, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ ტვირთის გადაზიდვა 30 კილომეტრის ნაკლებ მანძილზე (გარდა მასობრივი ტვირთებისა, რომლებიც იგზავნება რკინიგზის ერთი მისასვლელი ლიანდაგიდან მეორეზე), ხორციელდება, როგორც წესი, საავტომობილო ტრანსპორტით და შეიძლება მოხდეს რკინიგზის ტრანსპორტით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტვირთგამგზავნნი ამას სათანადოდ დაასაბუთებენ რკინიგზის წინაშე.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების სამმართველოს მოაწყოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით, ავტომაგისტრალებზე გეგმით გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე საწვავ-საცხები მასალებით გასაწყობი პუნქტები, ხოლო საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ — საზოგადოებრივი კვების საწარმოები.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ და ცეკავშირის მონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილეობით, შეიმუშაოს და ხუთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისათვის შემდგომ წარსადგენად წინადადებანი არსებული ავტოსარემონტო ბაზის რაციონალურად გამოყენებისა და სატვირთო ავტომობილებისა და აგრეგატების კაპიტალური რემონტის დაგეგმვის ორგანიზაციის შესახებ, მათი უწყვეტრივი კუთვნილების დამოუკიდებლად, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას ავტომობილების გარბენის სარემონტთაშორისო ვადების მკვეთრად გადიდება, ავტოსარემონტო საწარმოების სიმძლავრეთა მაქსიმალურად გამოყენება, მათი სპეციალიზაცია, აგრეთვე სატვირთო ავტომობილებისა და საავტომობილო აგრეგატების ავტოსარემონტო საწარმოებში გადაზიდვის მანძილის შემცირება.

10. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შეუდგეს 1969 წელს დიზელიანი ავტომობილების შემკეთებელი ისეთი ქარხნის დაპროექტებას, რომელიც წელიწადში შეაკეთებს 500-600 ავტომობილს, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ — დაამთავროს 1969 წელს სატვირთო ავტომობილებისა და მათი აგრეგატების ავტოსარემონტო ქარხნის მშენებლობა ქარელში, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა დაკმაყოფილდეს საავტომობილო მეურნეობათა მოთხოვნილება, მათი უწყვეტრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ავტომობილებისა და საავტომობილო აგრეგატების კაპიტალურ რემონტზე.

11. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 აგვისტოს № 598 დადგენილების თანახმად, საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ძირითადი ამოცანაა განახორციელოს ცენტრალიზებული ტვირთზიდვა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში სამრეწველო საწარმოებისათვის, მომმარაგებელი, სავაჭრო და სატრანსპორტო-საექსპედიციო ორგანიზაციებისა და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებისათვის, ტვირთის ცენტრალიზებული შეტანა რკინიგზის სადგურებში, საზღვაო ნავსადგურებში, გემთმისადგომებსა და აეროპორტებში და ტვირთის ცენტრალიზებული გამოზიდვა რკინიგზის სადგურებიდან, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებიდან (გემთმისადგომებიდან) და აეროპორტებიდან, აგრეთვე ტვირთის გადაზიდვა და მოსახლეობის გადაყვანა სოფელ ადგილებში, მარცვლეული და ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულის, კარტოფილის მოსავლის, სასილოსე მასის და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვა დამამზადებელ პუნქტებში, გადამმუშავებელ საწარმოებსა და ხანგრძლივი შენახვის ადგილებში.

უწყვეტრივი საავტომობილო ტრანსპორტის ძირითადი ამოცანაა განახორციელოს ყველა სახეობის ტვირთის ტექნოლოგიური და სამეურნეო გადაზიდვა სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობათა მომსახურებისათვის, გარდა იმ ცენტრალიზებული და საქალაქთაშორისო გადაზიდვისა, რასაც ასრულებს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშენებლო სამინისტროების საავტომობილო ტრანსპორტით შეიძლება განხორციელდეს, თუ ეს მიზანშეწონილია, აგრეთვე ტვირთის ცენტრალიზებული და საქალაქთაშორისო გადაზიდვა, ტვირთის გადაზიდვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შიგნით, რაც უშუალოდ დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიასთან.

ამასთან ერთად, აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებულია „სოფლტექნიკის“ სამეურნეო ანგარიშის ავტოსატრანსპორტო საწარმოების შემდგომი განვითარებისა და გამსხვილების განხორციელება, რათა ცენტრალიზებულად შესრულდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტვირთის ტექნოლოგიური გადაზიდვა სოფელ ადგილებში.

12. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა მუდმივი კონტროლი გაუწიონ ამ დადგენილების შესრულებას იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილდეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი საავტომობილო ტვირთზიდვაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 4 ოქტომბერი, № 516

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 598

1968 წლის 5 აგვისტო

მოსკოვი, კრემლი

სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების გაუმჯობესების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში გაიზარდა საავტომობილო ტრანსპორტის როლი ტვირთის გადაზიდვაში. ამჟამად ჩვენი ქვეყნის საავტომობილო ტრანსპორტით გადააქვთ ტვირთის საერთო მოცულობის დაახლოებით 80 პროცენტი (ტონობით).

მაგრამ სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენებაში ადგილი აქვს არსებითს ნაკლოვანებებს. სატვირთო ავტომობილების პარკი უმთავრესად ერთცვლად მუშაობს, საკმარისად არ არის აღჭურვილი მისაბმელებით (ავტომობილების საერთო რაოდენობის 13 პროცენტი), ხოლო არსებულ მისაბმელებსა და ნახევარმისაბმელებს ცუდად იყენებენ. ჯერ კიდევ დიდია საავტომობილო ტრანსპორტის გაცდენა ტვირთის დატვირთვისა და გადმოტვირთვის პუნქტებში.

ტვირთის საქალაქთაშორისო გადაზიდვაში წინანდებურად მონაწილეობენ სხვადასხვა უწყებრივი კუთვნილების სატვირთო ავტომობილები, ამ ავტომობილების მნიშვნელოვანი რაოდენობა უკან ცარიელი ბრუნდება.

1967 წლის ნოემბერში იმ ავტომაგისტრალებზე ჩატარებული შემოწმების შედეგად, რომლებიც ქ. მოსკოვს ეკვრიან, დადგენილია, რომ 144 ათასი სატვირთო ავტომობილიდან, რომლებმაც სამ დღეში გაიარეს, 70 ათასი, ანუ 49 პროცენტი დაუტვირთავი იყო.

საავტომობილო პარკს სუსტი საწარმოო-ტექნიკური ბაზა აქვს და იგი საათადარიგო ნაწილების მწვავე ნაკლებობას განიცდის. დამაკმაყოფილებლად არ არის მოწყობილი მუშაობა ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტისათვის. მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებსა და ოლქებში უწესივრო სატვირთო ავტომობილების რაოდენობა პარკის სიობრივი შემადგენლობის 35 პროცენტს აღწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს არ მიუღიათ სათანადო ზომები, რათა შეესრულებინათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 სექტემბრის № 1024 დადგენილება „სატვირთო საავტომობილო მეურნეობათა შემდგომი გამსხვილებისა და საავტომობილო ტრანსპორტით ცენტრალიზებული ტვირთზიდვის განვითარების ზომების შესახებ“.

მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში, სამინისტროებსა და უწყებებში ქმნიან წვრილ, საწარმოო ბაზამოკლებულ, არარენტაბელურ საავტომობილო მეურნეობებს, როგორც საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების დაწვრილერთეულების ხარჯზე, ისე უწყებრივი საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების დაწვრილერთეულების ხარჯზედაც, რაც იწვევს საავტომობილო პარკის ტექნიკური მდგომარეობის დონის შემცირებას. თუმცა მრავალი წლის პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ყველაზე მობილური და ეკონომიურად ხელსაყრელია საავტომობილო ტრანსპორტის მსხვილი სამეურნეო ანგარიშის საწარმოები, ხოლო მასობრივი ცენტრალიზებული ტვირთზიდვის განსახორციელებლად ქალაქებში, სოფლად და საქალაქთაშორისო მიმოსვლაში — საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ:

1. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სამხარეო აღმასკომებს და საოლქო აღმასკომებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, იმ მიზნით, რომ ამაღლდეს სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენების ეფექტიანობა, დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი საავტომობილო ტვირთზიდვაზე და შემცირდეს სატვირთო ავტომობილების ცარიელი გარბენა:

ა) მიიღონ საჭირო ზომები საავტომობილო მეურნეობათა გამსხვილებისათვის, სატვირთო ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მობილობის ამაღლებისათვის.

ბ) შექმნან ახალი (ძირითადად სამეურნეო ანგარიშის) საავტომობილო მეურნეობები სულ ცოტა 50 ავტომობილის რაოდენობით (გარდა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოების და სამომხმარებლო კოოპერაციის საავტომობილო მეურნეობებისა, რომლებიც სოფლად იმყოფებიან), ხოლო შორეულ რაიონებში ასეთი მეურნეობების მოწყობა განახორციელონ სულ ცოტა 15 ავტომობილის რაოდენობით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა არ დაუშვან საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების და სატვირთო ავტომობილების გადაცემა ამ საწარმოებიდან სამინისტროებისა და უწყებებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) უზრუნველყონ ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვის ორგანიზაციის შემდგომი გაფართოება და გაუმჯობესება, ამასთან გამოიყენონ ამ მიზნისათვის უპირატესობრივად საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი;

დ) მიიღონ ზომები სატვირთო ავტომობილების ცარიელი გარბენის მნიშვნელოვნად შემცირებისათვის, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა მათი დატვირთვა ორივე მიმართულებით;

ე) შეამცირონ სატვირთო ავტომობილების გაცდენა მათი ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის დროს, რისთვისაც დანერგონ ავტომობილების ცენტრალიზებული ტექნიკური მომსახურება და რემონტის აგრეგატული მეთოდი.

2. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სატვირთო ავტომობილების გამოყენების გაუმჯობესების მიზნით:

ა) დააკისრონ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის მმართველობის ორგანოებს ტვირთზიდვის მოწყობა საქალაქთაშორისო მიმართულებებით საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების დამოუკიდებლად, აგრეთვე ამ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა იმ ცარიელი ავტომობილების დატვირთვა, რომლებიც სათანაო მიმართულებით მიდიან;

ბ) ექვსი თვის ვადაში დაამტკიცონ საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების, ტვირთის გაგზავნისა და დანიშნულების პუნქტების ნუსხები და ამ გზებზე საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით ცენტრალიზებული საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის ორგანიზაციის ვადები, აგრეთვე მოაწყონ 1968-1970 წლებში ტვირთის მიღება ყველა საწარმოსა, ორგანიზაციისა და დაწესებულებისაგან და მისი გადაზიდვა აღნიშნულ გზებზე განლაგებულ ყველა პუნქტში;

გ) მიიღონ ზომები, რათა განვითარდეს ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საავტომობილო გზებზე სამეურნეო ანგარიშის სატრანსპორტო-საექსპედიციო საწარმოების, სატვირთო სადგურების, სააგენტოების, სადისპეტჩერო-საკონტროლო პუნქტების, ტვირთის მოკლევადიანი შესანახი საწყობების ქსელი ცენტრალიზებული საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის, აგრეთვე სათანადო მიმართულებით მიმავალი ცარიელი სატვირთო ავტომობილების დატვირთვის მოსაწყობად და გასახორციელებლად, აგრეთვე იმისათვის, რომ მოეწყოს მძღოლთა შემადგენლობის დასასვენებელი ოთახები;

დ) მოაწყონ 1968-1970 წლებში ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გაუთვალისწინებელ ტვირთდაძაბულ საავტომობილო გზებზე საკონტროლო საგუშაგოები, რომლებსაც მიანიჭონ უფლება გაგზავნონ ცარიელი სატვირთო ავტომობილები, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, დატვირთვის პუნქტებში.

3. დაევალოთ საწარმოების, სამეურნეო ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს დაუთმონ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებს სატვირთო ავტომობილები, რომლებიც უტვირთოდ იგზავნება (ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ფარგლებს გარეთ), მათ დასატვირთავად სათანაო მიმართულებით და აცნობონ საერთო სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის სათანადო საწარმოებს წინასწარ, ავტომობილების გაგზავნის ვადამდე 24 საათით ადრე, თუ რამდენი იგზავნება დაუტვირთავი ავტომობილები და რა მიმართულებით მიდიან ისინი.

4. დაწესდეს, რომ:

ა) იმ შემთხვევაში, თუ სატვირთო ავტომობილი დატვირთულია სათანაო ტვირთით საავტომობილო მეურნეობის განაცხადით, მაშინ ტვირთზიდვის საფასური 80 პროცენტი გადადის იმ საავტომობილო მეურნეობის განკარგულებაში, რომლის ავტომობილით წარმოებდა გადაზიდვა, და 20 პროცენტი — საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის იმ საწარმოს განკარგულებაში, რომელმაც უზრუნველყო ავტომობილის დატვირთვა სათანაო მიმართულებით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ სატვირთო ავტომობილი დაუტვირთავი გავიდა ხაზზე მას შემდეგ რაც იგი გამოყენებული იყო სათანაო ტვირთვის გადასაზიდად, ტვირთის გადაზიდვის საფასური მთლიანად გადადის საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის იმ საწარმოს განკარგულებაში, რომელმაც უზრუნველყო ავტომობილის დატვირთვა სათანაო მიმართულებით;

გ) საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომელთა ავტომობილები დატვირთული იყო სათანაო მიმართულებით, პასუხისმგებელი არიან ტვირთის დაცვა-შენახვისა და მისი მიტანის დაგვიანებისათვის საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის იმ საწარმოს წინაშე, რომელმაც უზრუნველყო აღნიშნული დატვირთვა.

რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების სამინისტრომ შეიმუშაოს და, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან შეთანხმებით, სამი თვის ვადაში დაამტკიცოს ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა დატვირთონ სათანაო მიმართულებით მოკავშირე რესპუბლიკების საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებმა საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ცარიელი სატვირთო ავტომობილები.

5. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა სამი თვის ვადაში ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით:

ა) დააწესონ ტვირთის დასატვირთავ-გადმოსატვირთავი პუნქტების ყოველდღიური ერთნახევარი, ორი და სამცვლიანი მუშაობა (გამოსასვლელი დღეების ჩათვლით), ამასთან გაითვალისწინონ შესაბამისი რაოდენობის მუშაკთა და ხელფასის ფონდის გამოყოფა ამ მიზნისათვის;

ბ) მიიღონ ზომები ავტომობილების მუშაობის საშუალო-სადღეღამისო ხანგრძლიობის გადიდებისათვის; შოფრების მომზადების გაფართოებისათვის ავტომობილების მრავალცვლიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

6. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გზათა სამინისტროს, ტვირთგამგზავნი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვსი თვის ვადაში განიხილონ თვითეული საწარმოს მიხედვით ტვირთზიდვის მოცულობა (მათ შორის კონტეინერებით), რომლის გადაცემა მიზანშეწონილია რკინიგზებიდან საავტომობილო ტრანსპორტისათვის;

შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საავტომობილო ტრანსპორტის, ტვირთგამგზავნთა და ტვირთმიმღებთა მისასვლელი გზების, დასატვირთავ-გადმოსატვირთავი მოედნების და დასატვირთავი მექანიზმების მომზადებას ამ ტვირთზიდვის განსახორციელებლად.

7. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა შეიმუშაონ და 1969 წლიდან დაწყებული, წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, წლიური გეგმების პროექტებთან ერთად, წინადადებანი მოკლე მანძილზე ტვირთზიდვის მოცულობის შესახებ, რაც რკინიგზებიდან უნდა გადაეცეს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტს, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ ტვირთის მოკლე გზით გადაზიდვა 30 კილომეტრის ნაკლებ მანძილზე (გარდა მასობრივი ტვირთებისა, რომლებიც იგზავნება ერთი სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგებიდან მეორეზე) ხორციელდება, როგორც წესი, საავტომობილო ტრანსპორტით და შეიძლება მოხდეს რკინიგზის ტრანსპორტით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტვირთგამგზავნნი ამას სათანადოდ დაასაბუთებენ რკინიგზის წინაშე.

8. რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების სამინისტრომ გზათა სამინისტროსთან ერთად 3 თვის ვადაში შეიმუშაოს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წარუდგინოს დასამტკიცებლად წესები სათანაო მიმართულებით მიმავალი ცარიელი ავტომობილების დატვირთვისა რკინიგზის სადგურების საწყობებში არსებული ტვირთის წვრილ პარტიებად.

9. მიზანშეწონილად ჩაითვალოს გარდაიქმნას მოსკოვის საქალაქო აღმასკომის „გლავმოსავტოტრანსის“ საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის სამმართველო მოსკოვის საავტომობილო გზების სამმართველოდ და შეიქმნას რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების სამინისტროს „გლავლენავტოტრანსის“ გამგებლობაში ლენინგრადის საავტომობილო გზების სამმართველო, ამასთან განხორციელდეს ცდის სახით სატრანსპორტო პროცესის ორგანიზაცია რკინიგზის ტრანსპორტზე მოქმედი სისტემის მიხედვით.

დაწესდეს, რომ:

მთელ ტვირთზიდვას ავტომაგისტრალებით, რომლებიც ქალაქ მოსკოვსა და ლენინგრადს ეკვრიან, და მათთან მისასვლელი საავტომობილო გზებით ახორციელებენ შესაბამისად მოსკოვისა და ლენინგრადის საავტომობილო გზების სამმართველოები, ამ მიზნისათვის ისინი იყენებენ აღნიშნული სამმართველოების შემადგენლობაში შემავალი ავტოსატრანსპორტო საწარმოების სატრანსპორტო საშუალებებს, აგრეთვე დატვირთავენ სათანაო მიმართულებით მიმავალ ცარიელ სატვირთო ავტომობილებს, მათი უწყებრივი კუთვნილების დამოუკიდებლად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვირთის საქალაქთაშორისო გადაზიდვა მოსკოვის საავტომობილო გზების სამმართველოს მოქმედების საზღვრების გარეთ განლაგებულ პუნქტებში და ამ საზღვრების გარეთ განლაგებული პუნქტებიდან ხორციელდება მოკავშირე რესპუბლიკების საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის მმართველობის ორგანოების ავტოსატრანსპორტო საწარმოების საშუალებებით, ურთიერთ შეთანხმებული გრაფიკების თანახმად, ეკონომიურად მიზანშეწონილ მანძილებზე.

რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების სამინისტრომ პირველ რიგში ყურადღება მიაქციოს იმას, რომ წესიერ მდგომარეობაში იქნას შენახული საავტომობილო გზები, ხიდები, ტექნიკური დახმარების პუნქტები და სხვა ნაგებობანი მოსკოვისა და ლენინგრადის საავტომობილო გზების სამმართველოების მოქმედების რაიონებში.

10. დაევალოთ რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების სამინისტროს და მოსკოვის საქალაქო აღმასკომის „გლავმოსავტოტრანსს“ ერთი თვის ვადაში დაამტკიცონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით ლენინგრადისა და მოსკოვის საავტომობილო გზების სამმართველოებისათვის მოქმედების ეკონომიურად მიზანშეწონილი რაიონები.

11. დაეკისროთ მოსკოვისა და ლენინგრადის საავტომობილო გზების სამმართველოებს:

ისეთი სატრანსპორტო-საექსპედიციო და კომერციული ოპერაციების შესრულება საწარმოებისა, ორგანიზაციებისა, დაწესებულებებისა და მოსახლეობისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ტვირთის გადაზიდვასთან საქალაქთაშორისო მიმოსვლის წესით;

საწარმოთა და ორგანიზაციათა ტვირთნაკადებისა და სატრანსპორტო კავშირურთიერთობის შესწავლა, აგრეთვე ტვირთის ცენტრალიზებული საქალაქთაშორისო გადაზიდვის განვითარების ღონისძიებათა შემუშავება;

მუდმივმოქმედი სადისპეტჩერო-საკონტროლო პუნქტების მოწყობა და სადისპეტჩერო კავშირის დამყარება სამმართველოების ყველა ქვეგანაყოფს შორის;

უზრუნველყოფა ტვირთის გადაზიდვისა ძირითადად უშუალოდ ტვირთგამგზავნის საწყობიდან ტვირთმიმღების საწყობში, გარდა ტვირთის გადაზიდვისა წვრილ პარტიებად (საერთო წონით ორ ტონამდე), რომლის კონცენტრაცია ტვირთზიდვის მიმართულებებით წარმოებს სატვირთო საავტომობილო სადგურებში;

ტექნიკური მომსახურებისა და ტექნიკური დახმარების პუნქტების, მძღოლთა შემადგენლობის დასასვენებელი ოთახების, ავტომობილებისა და ავტომატარებლების დასაყენებელი ადგილების, აგრეთვე სატვირთო საავტომობილო სადგურების შექმნა საავტომობილო გზებზე.

12. დაევალოთ იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს, რომლებიც ახორციელებენ ტვირთის გადაზიდვას მოსკოვისა და ლენინგრადის საავტომობილო გზების სამმართველოების მოქმედების რაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონების ფარგლებში, წარუდგინონ ამ სამმართველოებს წლიური, კვარტალური და თვიური განაცხადები ტვირთის საქალაქთაშორისო გადაზიდვაზე.

13. მიღებულ იქნას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წინადადება, რომ გადაყვანილ იქნან ცდის სახით მოსკოვისა და ლენინგრადის საავტომობილო გზების სამმართველოები დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე იმ წესის შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 სექტემბრის № 795 დადგენილებით „საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის შესახებ“ და საავტომობილო გზების სამმართველოების მუშაობის სპეციფიკურ თავისებურებათა გათვალისწინებით.

14. უფლება მიენიჭოთ მოსკოვისა და ლენინგრადის საავტომობილო გზების სამმართველოების უფროსებს:

ა) შეიტანონ მთელი კვარტალის განმავლობაში, თუ მუშაობის დროს წამოიჭრება საწარმოსაგან დამოუკიდებელი მიზეზებით გამოწვეული სიძნელეები, ცვლილებანი ხელფასის ფონდის და საექსპლუატაციო ხარჯების კვარტალურ გეგმებში (დამტკიცებული წლიური ფონდის ფარგლებში);

ბ) აძლიონ პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით მუშაკებს, თანამდებობათა და პროფესიათა შეთავსებისათვის, თუ ეს მიზანშეწონილი იქნება, დანამატი იმ მუშაკის სატარიფო სარგოს (თანამდებობრივი განაკვეთის) 30 პროცენტამდე, რომელსაც ისინი ცვლიან.

აღნიშნული დანამატი გაიცემა იმ შემთხვევებში, თუ თანამდებობათა და პროფესიათა შეთავსების შედეგად ხდება საწარმოს მუშაკთა რაოდენობის შემცირება იმ რაოდენობასთან შედარებით, რაც გათვალისწინებულია ზემდგომი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული ნორმატივებით ან მომსახურების ნორმებით, მოცემული საწარმოს ხელფასის ფონდის ფარგლებში;

გ) დააჯილდოონ სამმართველოებში შექმნილი მატერიალური წახალისების ფონდის ხარჯზე საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკები, რომლებიც ხელს უწყობენ სატვირთო ავტომობილების რაც შეიძლება უფრო სრულად დატვირთვას ცარიელი მიმართულებით და სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების გაუმჯობესებას;

დ) გამოიყენონ სამეურნეო მიზანშეწონილობის შემთხვევაში ავტომობილებით, განსაკუთრებით უტვირთოდ მიმავალი ავტომობილებით, ტვირთის გადაზიდვისათვის ანგარიშსწორების დროს, ტვირთზიდვის ტარიფები, რომლებიც რკინიგზის ტრანსპორტზე მოქმედებენ;

ე) გაანაწილონ მოსკოვისა და ოქტომბრის რკინიგზების სამმართველოებთან შეთანხმებით საწარმოთა და ორგანიზაციათა საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის მოცულობა სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტს შორის;

ვ) გახსნილად გამოაცხადონ მომზადების მიხედვით საავტომობილო გზები და გაგზავნის პუნქტები ტვირთის მისაღებად ცენტრალიზებული საქალაქთაშორისო გადაზიდვისათვის;

ზ) გამოიყენონ ტვირთის გადაზიდვის შეღავათიანი ტარიფები, ამასთან იქონიონ მხედველობაში ტვირთგამგზავნთა მატერიალური სტიმულირება მათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენების გაუმჯობესების დროს.

15. რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცოს მოსკოვისა და ლენინგრადის საავტომობილო გზების სამმართველოებისათვის:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 30 სექტემბრის № 795 დადგენილებით გათვალისწინებულ მეთოდურ მითითებათა დამატებანი, რომლებიც დაკავშირებულია აღნიშნული სამმართველოების გადაყვანასთან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით;

სატრანსპორტო საშუალებათა ცარიელი გარბენის შემცირებისათვის მატერიალური სტიმულირების გაძლიერების ღონისძიებანი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

16. დაევალოთ რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების სამინისტროს და მოსკოვის საქალაქო აღმასკომის „გლავმოსავტოტრანსს“ უზრუნველყონ:

ა) ცენტრალიზებული ანგარიშსწორება ლენინგრადისა და მოსკოვის საავტომობილო გზების სამმართველოების ბიუჯეტთან ისე, რომ გამოიყოს შეჯამებით ანგარიშებში შესაბამისი მაჩვენებლები ამ სამმართველოებისათვის;

ბ) საჭირო ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელება და დახმარების გაწევა ლენინგრადის და მოსკოვის საავტომობილო გზების სამმართველოებისათვის მუშაობაში, რაც დაკავშირებულია დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანასთან;

გ) ისეთ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, რომელთა მიზანია შრომის ნაყოფიერების ამაღლება და საექსპლოატაციო ხარჯების შემცირება ლენინგრადისა და მოსკოვის საავტომობილო გზების სამმართველოებში.

17. დაწესდეს, რომ:

ა) ისეთ შემთხვევებში, როდესაც სატვირთო ავტომობილები გადაზიდვის პირობების მიხედვით მიდიან-უტვირთოდ, მძღოლებს, რომლებმაც უზრუნველყვეს ტვირთის გადაზიდვა სათანაო მიმართულებით, საზღაური ამ გადაზიდვისათვის მიეცემათ მოქმედი ფასდების თანახმად, რაც გადიდდება 25 პროცენტამდე, ხოლო იმ მძღოლებს, როლებისთვისაც დაწესებულია შრომის დროებრივი ანაზღაურება, მიეცემათ თვიური ხელფასის დანამატი იმ ოდენობით, რაც განისაზღვრება სამუშაოთა შესრულებული მოცულობის შესაბამისად, 25 პროცენტამდე გადიდებული მოქმედი სანარდო ფასდების საფუძველზე. დანამატის კონკრეტულ ოდენობას დააწესებენ საავტომობილო მეურნეობების (გარაჟების) ხელმძღვანელები პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით, ტვირთზიდვის ხასიათისა და მანძილის სიშორის საფუძველზე;

ბ) საწარმოთა და ორგანიზაციათა საავტომობილო მეურნეობების (გარაჟების), საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოთა და ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიზაციათა ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, რომლებიც ხელს უწყობენ ტვირთზიდვის პირობების მიხედვით უტვირთოდ მიმავალი სატვირთო ავტომობილების რაც შეიძლება უფრო სრულად დატვირთვას, დაჯილდოვდებიან იმ თანხების 15 პროცენტის ფარგლებში, რასაც ეს საწარმოები და ორგანიზაციები იღებენ ავტომობილების დათმობისათვის სათანაო მიმართულებით გადასაზიდი ტვირთებით დატვირთვისათვის.

აღნიშნულ მუშაკთა პრემიების ოდენობა დაჯილდოების ყველა დებულების მიხედვით, გარდა დებულებისა მოგების, რენტაბელობის, შემოსავლის (თვითღირებულების) გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის დაჯილდოების შესახებ, არ უნდა აღემატებოდეს მუშაკის ერთ თანამდებობრივ განაკვეთს თვიური გაანგარიშებით.

პრემიის კონკრეტულ ოდენობას დააწესებს საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით. საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელს და მის მოადგილეებს, მთავარ ინჟინერს, საგეგმო განყოფილების უფროსს და მთავარ ბუღალტერს პრემიებს დაუმტკიცებს ზემდგომი ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

დაევალოს რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების სამინისტროს, საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების მუშათა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან და დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, დაამტკიცოს საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა თანამდებობების ნუსხა, რომელთა დაჯილდოება წარმოებს ამ დადგენილების შესაბამისად;

გ) დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოებში სათანაო მიმართულებით ტვირთის გადაზიდვისათვის მიღებული მოგების 30 პროცენტი გადაირიცხება მატერიალური წახალისების ფონდში ცარიელი ავტომობილების დატვირთვისათვის დასაჯილდოებლად.

18. მოსკოვის საქალაქო აღმასკომის „გლავმოსავტოტრანსმა“ და რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების სამინისტროს „გლავლენავტოტრანსმა“ გაადიდონ 1968-1969 წლებში ტვირთის საქალაქთაშორისო გადაზიდვის მოცულობა სულ ცოტა 20 პროცენტით მაინც უწყებრივი საავტომობილო ტრანსპორტის ცარიელი გარბენის გამოყენების ხარჯზე.

19. დაევალოს სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს მოსკოვისა და ლენინგრადის საავტომობილო გზების სამმართველოებთან შეთანხმებით მოაწყონ სატელეფონო-სატელეგრაფო კავშირი სატვირთო საავტომობილო სადგურებში, სადისპეტჩერო პუნქტებსა და ავტოსატრანსპორტო საწარმოებში, რომლებიც ახორციელებენ საქალაქთაშორისო გადაზიდვას.

20. რუსეთის სფსრ ნავთობმომარაგების მთავარმა სამმართველომ და რუსეთის სფსრ ვაჭრობის სამინისტრომ მოსკოვისა და ლენინგრადის საავტომობილო გზების სამმართველოებთან შეთანხმებით მოაწყონ ავტომაგისტრალებზე საწვავ-საცხები მასალებით გასაწყობი პუნქტები და საზოგადოებრივი კვების

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინონ 1969 წლის გეგმის პროექტით საჭირო რაოდენობის სატვირთო ავტომობილების გამოყოფა მოსკოვისა და ლენინგრადის საავტომობილო გზების სამმართველოებისათვის.

22. რუსეთის სფსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახმომარაგებამ და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ 3 თვის ვადაში მოამზადონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ დაწესდეს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა და თანამდებობის პირთა მატერიალური პასუხისმგებლობა უტვირთოდ მიმავალი სატვირთო ავტომობილების დატვირთვის ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესის დარღვევისათვის.

23. რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ და მოსკოვის საქალაქო აღმასკომმა მოახსენონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს იმ საავტომობილო გზების სამმართველოების 1969 წლის მუშაობის შედეგები, რომლებიც შექმნილია ამ დადგენილების შესაბამისად.

24. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს 6 თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოეწყოს საავტომობილო ძრავების კაპიტალური რემონტი ყველა სამინისტროსა და უწყებისათვის, ავტოსარემონტო საწარმოების არსებულ სიმძლავრეთა გამოყენების გათვალისწინებით.

იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწიოს უფრო თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვის, მოწყობილობისა და აღჭურვილობის (ავტომობილების დამამზადებელ ქარხნებში არსებული ტექნოლოგიის მახლობელი), აგრეთვე ავტომობილების რემონტის წარმოების საერთო კულტურის ამაღლების საქმეს, დაევალოს საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს მიამაგროს ავტომობილებისა და ძრავების დამამზადებელი ქარხნები ძრავების, აგრეგატების სარემონტო და სათადარიგო ნაწილების აღდგენის ქარხნებს, რომლებიც იმყოფებიან მოკავშირე რესპუბლიკების საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის მმართველობის ორგანოების გამგებლობაში (30 ქარხანა) და „საკსოფლტექნიკის“ გამგებლობაში (20 ქარხანა).

25. იმ მიზნით, რომ საავტომობილო მრეწველობამ მონაწილეობა მიიღოს სატვირთო ავტომობილების ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესების, ამ ავტომობილებისა და საავტომობილო აგრეგატების სამსახურის ვადის შემდგომი გადიდების, მათი მომსახურების ხარჯების შემცირების საქმეში, აგრეთვე მეთვალყურეობა გაუწიოს სატვირთო ავტომობილების მუშაობას ექსპლუატაციის სხვადასხვა პირობებში, — დაევალოს საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს მოაწყოს 1968-1970 წლებში სატვირთო ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო რემონტის 53 საფირმე სადგური, რაც განაწილდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკავშირე რესპუბლიკების, ქალაქებისა და საავტომობილო ქარხნების მიხედვით, ამასთან დააკისროს შესაბამის საავტომობილო ქარხნებს მათზე მიმაგრებული საფირმე სადგურების უზრუნველყოფა მოწყობილობით, სათადარიგო ნაწილებით, მასალებით, აგრეთვე ამ სადგურების დაკომპლექტება მუშაკებით სატვირთო ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო რემონტის სამუშაოთა შესასრულებლად.

26. რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს მონაწილეობით უზრუნველყოს სატვირთო ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო რემონტის საფირმე სადგურების ტიპობრივი პროექტების შემუშავება 1968 წელს იმ ასიგნობათა ხარჯზე, რომლებიც რესპუბლიკას გამოეყო ტიპობრივი დაპროექტებისათვის.

27. საავტომობილო მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველყოს 1969-1970 წლებში სატვირთო ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო რემონტის საფირმე სადგურების მშენებლობა ტიპობრივი პროექტების მიხედვით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს აღნიშნული მიზნისათვის საჭირო კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა.

28. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა 6 თვის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადებანი იმის შესახებ, რომ რაციონალურად იქნას გამოყენებული არსებული ავტოსარემონტო ბაზა და მოეწყოს სატვირთო ავტომობილებისა და აგრეგატების კაპიტალური რემონტის დაგეგმვა, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ უზრუნველყოფილ იქნას ავტომობილების გარბენის სარემონტთაშორისო ვადების მკვეთრად გადიდება, ავტოსარემონტო საწარმოების სიმძლავრეთა მაქსიმალურად გამოყენება, მათი სპეციალიზაცია, აგრეთვე სატვირთო ავტომობილებისა და საავტომობილო აგრეგატების ავტოსარემონტო საწარმოებში გადაზიდვის მანძილის შემცირება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განიხილოს აღნიშნული წინადადებანი, ხოლო იმ საკითხებზე, რომლებიც სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტას მოითხოვენ, წარმოუდგინოს სათანადო წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

29. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და „საკსოფლტექნიკამ" განახორციელონ 1968-1970 წლებში ავტოსარემონტო საწარმოების მშენებლობა საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის და „საკსოფლტექნიკის" სისტემაში, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ დაკმაყოფილდეს საავტომობილო მეურნეობათა მოთხოვნილება, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ავტომობილებისა და საავტომობილო აგრეგატების კაპიტალურ რემონტზე.

ნება დაერთოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს მიიღონ წილობრივი მონაწილეობა აღნიშნული ავტოსარემონტო საწარმოების მშენებლობაში მათთვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. „საკსოფლტექნიკამ“ უზრუნველყოს ცენტრალიზებული წესით საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების ავტოსარემონტო საწარმოების მომარაგება სათადარიგო ნაწილებითა და მასალებით, ავტომობილებისა და საავტომობილო აგრეგატების კაპიტალური რემონტის სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

31. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიმუშაოს 1968 წელს სსრ კავშირის სახმომარაგების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და სსრ კავშირის დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით და დაამტკიცოს დებულება საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვის ორგანიზაციისა და დაგეგმვის შესახებ, ამასთან გაითვალისწინოს ამ დებულებით, კერძოდ, ნუსხა ტვირთზიდვისა, რასაც ახორციელებენ საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი და უწყებრივი საავტომობილო ტრანსპორტი.

დაწესდეს, რომ:

ა) საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ძირითადი ამოცანაა:

განახორციელოს ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში სამრეწველო საწარმოებისა, მომმარაგებელი, სავაჭრო და სატრანსპორტო-საექსპედიციო ორგანიზაციებისა და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებისათვის, აგრეთვე ტვირთის ცენტრალიზებული შეტანა რკინიგზის სადგურებში, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებში (გემთმისადგომებში) და აეროპორტებში და ტვირთის ცენტრალიზებული გამოზიდვა რკინიგზის სადგურებიდან, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებიდან (გემთმისადგომებიდან) და აეროპორტებიდან;

ტვირთის გადაზიდვა და მოსახლეობის გადაყვანა სოფელ ადგილებში და მარცვლეული და ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულის, კარტოფილის, აგრეთვე სასილოსე მასის და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვა დამამზადებელ პუნქტებში, გადამმუშავებელ საწარმოებსა და ხანგრძლივი შენახვის ადგილებში;

ბ) უწყებრივი საავტომობილო ტრანსპორტის ძირითადი ამოცანაა:

ყველა სახეობის ტვირთის ტექნოლოგიური და სამეურნეო გადაზიდვა სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობების მომსახურებისათვის, გარდა იმ ცენტრალიზებული და საქალაქთაშორისო ტვირთზიდვისა, რასაც ასრულებს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი. სამშენებლო სამინისტროების საავტომობილო ტრანსპორტით შეიძლება განხორციელდეს, თუ ეს მიზანშეწონილი იქნება, აგრეთვე ტვირთის ცენტრალიზებული და საქალაქთაშორისო გადაზიდვა;

— ტვირთის გადაზიდვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შიგნით, რაც უშუალოდ დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „საკსოფლტექნიკის“ სამეურნეო ანგარიშის ავტოსატრანსპორტო საწარმოების შემდგომი განვითარების და გამსხვილების განხორციელება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტვირთის ტექნოლოგიური გადაზიდვის ცენტრალიზებულად შესრულებისათვის სოფელ ადგილებში.

*

* *

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო აღმასკომებმა და საოლქო აღმასკომებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა მუდმივი კონტროლი გაუწიონ ამ დადგენილების შესრულებას და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს იმ მიზნით, რომ დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილება საავტომობილო ტვირთზიდვაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ა. კოსიგინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 აგვისტოს № 598 დადგენილების დანართი

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

სატვირთო ავტომობილების ტექნიკური მომსახურების და საგარანტიო რემონტის საფირმე სადგურების ორგანიზაციისა 1968-1970 წლებისათვის

სადგურის ადგილსამყოფელი	სადგურების საანგარიშო რაოდენობა	ქარხანა, რომელიც ახორციელებს საფირმე სადგურების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას და მათს დაკომპლექტებას მუშაკებით
რუსეთის სფსრ		
ქ. მოსკოვი	10	გორკის საავტომობილო ქარხანა
ქ. მოსკოვი	15	მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა
ქ. მოსკოვი	10	მინსკის საავტომობილო ქარხანა
ქ. ლენინგრადი	15	მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა
ქ. ლენინგრადი	10	გორკის საავტომობილო ქარხანა
ქ. ლენინგრადი	10	მინსკის საავტომობილო ქარხანა
ქ. გორკი	15	გორკის საავტომობილო ქარხანა
ქ. ვოლგოგრადი	10	„
ქ. ჩელიაბინსკი	15	ურალის საავტომობილო ქარხანა
ქ. ომსკი	10	„
ქ. ნოვოსიბირსკი	15	„
ქ. კრასნოიარსკი	10	მინსკის საავტომობილო ქარხანა
ქ. ირკუტსკი	15	მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა
ქ. ჩიტა	10	გორკის საავტომობილო ქარხანა
ქ. ხაბაროვსკი	15	„
ქ. მაგადანი	10	მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა
ქ. ნორილსკი	10	მინსკის საავტომობილო ქარხანა
ქ. ვორკუტა	10	„
ქ. პერმი	15	გორკის საავტომობილო ქარხანა
ქ. კიროვი	10	მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა
ქ. კურსკი	10	კრემენჩუგის საავტომობილო ქარხანა
ქ. კურსკი	10	მინსკის საავტომობილო ქარხანა
ქ. კუიბიშევი	15	გორკის საავტომობილო ქარხანა
ქ. არხანგელსკი	10	„
ქ. დონის როსტოვი	15	„
ქ. რუბცოვსკი	10	„
ქ. ყაზანი	10	„
ქ. ვლადივოსტოკი	10	მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა
ქ. კალინინგრადი	10	გორკის საავტომობილო ქარხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგურის ადგილსამყოფელი	სადგურების საგუშაგოების რაოდენობა	ქარხანა, რომელიც ახორციელებს საფირმე სადგურების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას და მათს დაკომპლექტებას მუშაკებით
უკრაინის სსრ		
ქ. კიევი	10	მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა
ქ. კიევი	10	გორკის საავტომობილო ქარხანა
ქ. სიმფეროპოლი	10	„
ქ. ოდესა	10	„
ქ. ლვოვი	10	მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა
ქ. კრივოი როგი	15	მინსკის საავტომობილო ქარხანა
ქ. დნეპროპეტროვსკი	15	კრემენჩუგის საავტომობილო ქარხანა
ბელორუსიის სსრ		
ქ. მინსკი	10	მინსკის საავტომობილო ქარხანა
ქ. მინსკი	10	მოსკოვის ლიხაჩოვის სახ. საავტომობილო ქარხანა
აზერბაიჯანის სსრ		
ქ. ბაქო	10	მინსკის საავტომობილო ქარხანა
ლატვიის სსრ		
ქ. რიგა	10	მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა
უზბეკეთის სსრ		
ქ. ტაშკენტი	15	მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა
ქ. კარში	10	მინსკის საავტომობილო ქარხანა
ტაჯიკეთის სსრ		
ქ. დუშანბე	10	მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა
მოლდავეთის სსრ		
ქ. კიშინიოვი	10	მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა
ლიტვის სსრ		
ქ. ვილნიუსი	10	გორკის საავტომობილო ქარხნა
თურქმენეთის სსრ		
ქ. აშხაბადი	10	მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადგურის ადგილსამყოფელი	სადგურების საგუშაგოების რაოდენობა	ქარხანა, რომელიც ახორციელებს საფირმე სადგურების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას და მათს დაკომპლექტებას მუშაკებით
ყაზახეთის სსრ		
ქ. ალმა-ატა	15	გორკის საავტომობილო ქარხნა
ქ. ყარაგანდა	10	კრემენჩუგის საავტომობილო ქარხანა
ქ. ყარაგანდა	10	მინსკის საავტომობილო ქარხანა
ქ. უსტ-კამენოგორსკი	10	
საქართველოს სსრ		
ქ. თბილისი	10	მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა
სომხეთის სსრ		
ქ. ერევანი	10	მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა
ყირგიზეთის სსრ		
ქ. ფრუნზე	10	გორკის საავტომობილო ქარხანა

შენიშვნა: იმ ქარხნების მიერ გამომშვებული სატვირთო ავტომობილების საგარანტიო რემონტს, რომლებიც არ არიან ჩამოთვლილი ამ დანართში, ახორციელებენ საგარანტიო რემონტის სადგურები ამ ქარხნებთან სახელშეკრულებო საწყისებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

73 საქართველოს სს რესპუბლიკაში საგზაო მშენებლობის შემდგომი განვითარების შესახებ

„სსრ კავშირში საგზაო მშენებლობის შემდგომი განვითარების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 აგვისტოს № 599 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „სოიუზდორპროექტის“ თბილისის ფილიალმა შეიმუშაოს 1969 წლის 1 ივნისამდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს მონაწილეობით საქართველოს სს რესპუბლიკაში საერთო-სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების გენერალური სქემა შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთებებითა და წინადადებებით 1961—1975, წლებში ამ გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მოცულობის შესახებ და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს 1969 წლის 1 მარტამდე შეიმუშაოს სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „სოიუზდორპროექტის“ თბილისის ფილიალთან, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტის მონაწილეობით, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარების სქემა ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთებებითა და წინადადებებით 1971—1975, წლებში ამ გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მოცულობის შესახებ და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. საგზაო მშენებლობის გაფართოებული პროგრამის დაფინანსების უზრუნველსაყოფად:

ა) გაგრძელდეს 1976 წლის 1 იანვრამდე ვადა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 17 თებერვლის № 136 დადგენილების მე-3 პუნქტის მოქმედებისა იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მიზნობრივი ანარიცხების დაწესებას რესპუბლიკური და საოლქო მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობისათვის იმ სახელმწიფო და კოოპერაციული (გარდა კოლმეურნეობებისა) ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებისა და საწარმოების საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციისაგან მიღებული შემოსავლის ორი პროცენტის რაოდენობით, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყოფილი არიან დამოუკიდებელ ბალანსზე, იმ ანგარიშით, რომ აღნიშნული ანარიცხები შეტანილ იქნას ტვირთზიდვის ტარიფებში;

ბ) დაწესდეს, რომ რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობისათვის მიზნობრივ ანარიცხებს საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაციისაგან მიღებული შემოსავლის ორი პროცენტის რაოდენობით, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 17 თებერვლის № 136 დადგენილების მე-3 პუნქტით, შეიტანენ აგრეთვე საწარმოები და ორგანიზაციები (გარდა კოლმეურნეობებისა), რომლებსაც აქვთ საავტომობილო მეურნეობანი, რომლებიც არ არიან გამოყოფილი დამოუკიდებელ ბალანსზე და ტვირთის გადაზიდვისათვის ახდევინებენ საფასურს ტარიფების მიხედვით.

4. უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს მოახდინოს ცენტრალიზაცია და წარმართოს საერთო-სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობის დასაფინანსებლად ამ დადგენილების მე-3 პუნქტში აღნიშნული ფულადი სახსრების 25 პროცენტამდე.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს და საპროექტო ინსტიტუტებს გაითვალისწინონ სამრეწველო საწარმოებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებით კაპიტალური დაბანდებანი საერთო სარგებლობის იმ საავტომობილო გზების (ან ამ გზების შესაბამისი უბნების) მშენებლობაში წილობრივი მონაწილეობისათვის, რომლებიც საჭიროა მშენებლობათა სატრანსპორტო კავშირის განსახორციელებლად.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი მაღალხარისხოვანი ღორღის, ხიდებისა და მილების რკინა-ბეტონის ასაწყობი ელემენტების, მინერალური ფხვნილისა და კირის წარმოების შესახებ საგზაო მშენებლობისათვის იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას 1971—1975 წლებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს სრული მოთხოვნილება ამ მასალებზე.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1969—1970 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების დაზუსტებისას გაითვალისწინოს:

ა) ფონდირებული საშენი მასალების გამოყოფა იმ რაოდენობით, რაც საჭიროა საავტომობილო გზებისა და ხიდების მშენებლობის მთელი იმ მოცულობის შესასრულებლად, რაც ხორციელდება საგზაო მშენებლობის დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ანგარიშში იმ მშენებლობისათვის გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად, რომელიც ხორციელდება სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე;

ბ) ცემენტ-ბეტონის საფარიანი და სტაბილიზებული გრუნტებისაგან მოწყობილი ფუძიანი საავტომობილო გზების მშენებლობისათვის ცემენტისა და საარმატურე ფოლადის გამოყოფა იმ რაოდენობით, რაც საჭიროა სამუშაოთა მთელი დაწესებული მოცულობის შესასრულებლად გზების მშენებლობისათვის გათვალისწინებული ნორმების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ შეიმუშაოს და განახორციელოს 1968 წელს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საავტომობილო გზების მშენებლობის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას და მისი ღირებულების შემცირებას ინერტული და ქვის მასალების ტრასისპირა კარიერებისა და ღორღის ქარხნების ფართოდ გამოყენების ხარჯზე, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს განიხილონ საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარ სამმართველოს საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი საგზაო ინსტიტუტის შექმნა საქართველოს საგზაო-კვლევითი სადგურის ბაზაზე.

10. საავტომობილო გზებზე მოძრაობის უსაფრთხობის ამაღლების მიზნით, ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაავალოს:

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს — დაამზადოს 1969 წლის მეორე ნახევრიდან სპეციალური პროფილისა და შემადგენლობის ფოლადის ზოლები საავტომობილო გზების გასწვრივ საცავების მოსაწყობად.

სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს — გამოუშვას 1969 წლიდან მოტორიანი საგორავები პნევმატურ სალტეებზე, ასფალტ-ბეტონის საფარის მოსატკეპნად.

11. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 აგვისტოს № 599 დადგენილებით დაევალა:

ა) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს — ჩვენი ქვეყნის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების ამ დადგენილების შესაბამისად შემუშავებული სქემების-საფუძველზე შეადგინოს 1969 წელს საავტომობილო გზების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის 1971—1975 წლების პერსპექტიული გეგმები, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ გათვალისწინებულ იქნას ამ გეგმებით მაგარსაფარიანი საავტომობილო გზების მშენებლობის ტემპების ყოველწლიურად გადიდება დაახლოებით 20 პროცენტით და საავტომობილო გზების მშენებლობის მოცულობის აყვანა 1975 წელს დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე 40 ათას კილომეტრამდე;

ბ) სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს — შეიმუშაონ 1969 წლის პირველ ნახევარში და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ წინადადებანი საავტომობილო გზების მშენებლობის, რემონტისა და შენახვის ხარჯებში იმ მოქალაქეთა მონაწილეობის ოდენობისა და წესის შესახებ, რომლებსაც პირადი საკუთრების მსუბუქი ავტომობილები ჰყავთ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს — უზრუნველყოს ისეთი პოლიგონის პროექტის შემუშავება და მშენებლობა 1968—1970 წლებში, რომელიც საჭიროა საგზაო კონსტრუქციების გამოსაცდელად და გზის საფარის გაანგარიშების მეთოდების დასაზუსტებლად გრუნტის სხვადასხვა პირობებისათვის, ავტომობილების ტიპაჟისა და მოძრაობის ინტენსივობის გათვალისწინებით;

დ) სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის ნავთობგადამმუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს — ექვსი თვის ვადაში შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ წინადადებანი საგზაო მარკების ნავთობბიტუმების ხარისხის გაუმჯობესებისა და იმის შესახებ, რომ დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობის საჭიროებანი ამ ნავთობბიტუმებზე 1969 წლიდან დაწყებული;

ე) სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს — მოაწყოს წარმოება 1969—1970 წლებში საჭირო რაოდენობის ისეთი ზედაპირულ-აქტიური ნივთიერებებისა, რომლებიც აუმჯობესებენ საგზაო მარკების ნავთობბიტუმების თვისებებს, აგრეთვე პლასტიკებისა და სხვა ქიმიური მასალებისა საგზაო ნიშნების დასამზადებლად და შუქამსახველი დიდად გამძლე საღებავებისა გზების სავალი ნაწილის მოსანიშნავად და საგზაო ნიშნების შესაღებად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 1 ოქტომბერი, № 517.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

74 ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ

წარმოების კულტურის ამაღლების ღონისძიებათა განხორციელებაში მშრომელთა ფართო მონაწილეობის მიღების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 5 აპრილის დადგენილება (ოქმი № 7 § 2) დაეგზავნოთ აფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს და რესპუბლიკურ კომიტეტებს.

2. წინადადება მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სსრ სამინისტროებს და უწყებებს, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს და რესპუბლიკურ კომიტეტებს ფართო მონაწილეობა მიაღებინონ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და მოსამსახურეებს რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებში წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო დათვალიერებაში.

3. დამტკიცდეს პირობები და წესი წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარებისა რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში, გარდა იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისა, რომლებიც არიან აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე, № 1 დანართის თანახმად.

4. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომს შეიმუშაონ პროფკავშირთა შესაბამის საბჭოებთან ერთად და დაამტკიცონ წარმოების კულტურის საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შეჯამების და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომებით გამარჯვებულთა დაჯილდოების პირობები და წესი.

5. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომების განაწილება ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ოლქს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს შორის რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების ამ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების დასაჯილდოებლად, რომლებიც გაიმარჯვებენ წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივ დათვალიერებაში, № 2 დანართის თანახმად.

6. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა, რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებმა და უწყებებმა პროფკავშირთა საოლქო საბჭოებთან და შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად:

— ფართოდ გააცნონ საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავი წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების პირობები და ჩატარების წესი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებისა და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად დაეხმარონ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს წარმოების კულტურის ასამაღლებელ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში.

7. წინადადება მიეცეთ რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს ფართოდ გააშუქონ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების მიმდინარეობის შედეგები და კოლექტივების საუკეთესო გამოცდილება.

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით (1968 წლის 5 აპრილის ოქმი № 7, § 2) წარმოების კულტურის საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შეჯამება ხდება ყოველწლიურად, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომები დათვალიერებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს გადაეცემა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 23 სექტემბერი, № 495

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმისა

ოქმი № 7, § 2

1968 წლის 5 აპრილი

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის, კავშირგაბმულობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა და მოიწონა საკავშირო პროფსაბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოეწყოს წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერება. იმ საწარმოების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კოლექტივების დასაჯილდოებლად, რომლებიც გაიმარჯვებენ წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივ დათვალიერებაში, წესდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომი.

წარმოების კულტურის ასამაღლებელ ღონისძიებათა განხორციელებაში მშრომელთა ფართოდ ჩაბმის მიზნით საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. გამოცხადდეს 1968—1970 წლებში მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერება ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერება უნდა წარიმართოს იმისაკენ, რომ:

გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, ფართოდ დაინერგოს საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, გაუმჯობესდეს პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუქციის ხარისხი, სრულყოფილ იქნეს წარმოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია, უზრუნველყოფილ იქნეს საწარმოთა რიტმული მუშაობა, აღმოიფხვრას მძიმე ხელის სამუშაოები, აგრეთვე მექანიზებულ იქნეს საინჟინრო შრომა და მართვა;

გაუმჯობესდეს სამუშაო ადგილების მოწყობა, მოწყობილობისა და საამქროების მოვლა-პატრონობა სამრეწველო ესთეტიკის მოთხოვნების შესაბამისად;

მოეწყოს ახალი, გაფართოვდეს და მოწესრიგდეს მოქმედი საშხაპეები, გასახდელები, სასადილოები, ბუფეტები, დასასვენებელი ოთახები და სხვა სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სადგომები;

შესრულდეს ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების, კარგი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შექმნას და საწარმოო ტრავმატიზმისა და პროფესიულ დაავადებათა გამომწვევი მიზეზების ლიკვიდაციას;

პროფკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქნეს მიჩნეული, რომ ფართო მონაწილეობა მიაღებინონ მუშებს, მოსამსახურეებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს წარმოების კულტურის ასამაღლებელ ღონისძიებათა განხორციელებაში.

2. წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების ორგანიზაცია და ჩატარება, მისი შედეგების შეჯამების პირობებისა და წესის შემუშავება და დამტკიცება, გამარჯვებულთა დაჯილდოება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომებით, განახორციელონ:

— საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში — პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტებმა სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად;

— რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში (რუსეთის სფს რესპუბლიკის გარდა) — პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭოებმა და კომიტეტებმა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და შესაბამის რესპუბლიკურ სამინისტროებთან ერთად;

— რუსეთის სფსრ რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში — პროფკავშირთა შესაბამისმა ცენტრალურმა კომიტეტებმა რუსეთის სფსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად;

— ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში — პროფკავშირთა საბჭოებმა მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხარეო) საბჭოების შესაბამის აღმასკომებთან, ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, მოსკოვის საქალაქო აღმასკომთან და ლენინგრადის საქალაქო აღმასკომთან ერთად.

დაევალოთ პროფკავშირთა ცენტრალურ, რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო კომიტეტებს და საბჭოებს, სამინისტროებთან და უწყებებთან, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან ერთად, გაითვალისწინონ რესპუბლიკის, მხარის, ოლქის კონკრეტული თავისებურებანი და ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ დათვალიერების ჩატარებისა და შედეგების შეჯამების პირობები, წესი და გამარჯვებულთა წახალისების ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადადება მიეცეთ პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს და საბჭოებს სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უფრო ფართოდ ჩააბან სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოება წარმოების კულტურის ასამაღლებელ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის დახმარების გასაწევად, ფართოდ გააშუქონ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით დათვალიერების მიმდინარეობა, შედეგები და კოლექტივების საუკეთესო გამოცდილება.

3. იმ საწარმოების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების კოლექტივების დასაჯილდოებლად, რომლებიც საუკეთესო მაჩვენებლებს მოიპოვებენ წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივ დათვალიერებაში, დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომების რაოდენობა დარგებისა და რესპუბლიკების მიხედვით.

დაწესდეს, რომ სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შეჯამება ხდება ყოველწლიურად, ხოლო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომები გადაეცემათ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავზე.

4. დაევალოს საკავშირო პროფსაბჭოს საქმეთა მმართველობას დაამზადოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 3600 დიპლომი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1968
წლის 23 სექტემბრის № 495
დადგენილების დანართი № 1

პირობები და წესი

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარებისა

წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ეწყობა საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებში 1968—1970 წლების მანძილზე.

სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერება უნდა წარიმართოს იმისაკენ, რომ:

— ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება, უზრუნველყოფილ იქნეს საწარმოთა რიტმული მუშაობა, სრულყოფილ იქნეს ტექნოლოგია, ფართოდ დაინერგოს საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, აღმოიფხვრას მძიმე ხელის სამუშაოები, გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი, ამაღლდეს შრომის ორგანიზაციისა და მმართველობის დონე;

— გაუმჯობესდეს სამუშაო ადგილების მოწყობა, მოწყობილობისა და საამქროების მოვლა-პატრონობა შრომის დაცვის კანონმდებლობისა და სამრეწველო ესთეტიკის მოთხოვნების შესაბამისად;

— გაუმჯობესდეს შრომის პირობები, შესრულდეს იმ ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხელს შეუწყობენ შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების, კარგი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შექმნას და საწარმოო ტრავმატიზმის, საერთო პროფესიულ დაავადებათა გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას;

— უზრუნველყოფილ იქნეს მომუშავენი მაღალხარისხოვანი სპეცტანსაცმლით, სპეცფეხსაცმლითა და მცველი სამარჯვებით;

— აშენდეს და აღიჭურვოს ახალი და სანიმუშოდ მოწესრიგდეს არსებული საშხაპეები, გასახდელები, სასადილოები, ბუფეტები, დასასვენებელი ოთახები და სხვა სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სადგომები.

პროფესიულ და სამეურნეო-ორგანიზაციათა უმნიშვნელოვანესი ამოცანა დათვალიერების ჩატარებისას ის არის, რომ ფართო მონაწილეობა მიაღებინონ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს და მოსამსახურეებს იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოების კულტურის ამაღლებას, შრომის ნაყოფიერების ზრდას და შრომის პირობების გაუმჯობესებას, ჩინებული ხარისხის პროდუქციის გამოშვებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვალიერების ორგანიზაცია და ჩატარება

დათვალიერების ჩატარებას წინ უნდა უძღოდეს ყოველმხრივი მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებში.

დათვალიერების უშუალო ორგანიზაციისა და ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის იქმნება საზოგადოებრივი კომისიები, რომელთა შემადგენლობას ამტკიცებენ პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები და საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. კომისიას მეთაურობს საწარმოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელი (მთავარი ინჟინერი).

კომისიის შემადგენლობა და დათვალიერების ჩატარების გეგმა ცხადდება ბრძანებით საწარმოსა და ორგანიზაციაში.

იმ მიზნით, რომ მომუშავეებმა ფართო მონაწილეობა მიიღონ დათვალიერებაში, დიდ საამქროებში, განყოფილებებსა და ლაბორატორიებში იქმნება კომისიები საამქროს, განყოფილების, ლაბორატორიის უფროსების მეთაურობით. ამ კომისიებში შეჰყავთ საამქროს კომიტეტების თავმჯდომარეები.

საქარხნო და საამქრო კომისიები ეწევიან ორგანიზატორულ მუშაობას, რათა გამოავლინონ და გამოიყენონ წარმოების რეზერვები, აღმოფხვრან შრომის პირობებში არსებული ნაკლოვანებანი, ფართოდ ჩააბან ამ მუშაობაში ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რაციონალიზატორები, გამომგონებლები და მოწინავე მუშები.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები კვარტალში ერთხელ ისმენენ კომისიების ანგარიშებს დათვალიერების მიმდინარეობის შესახებ და სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად იღებენ ზომებს კომისიების წინადადებათა შესასრულებლად.

დათვალიერების ხელმძღვანელობისა და ჩატარებისათვის აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, სამინისტროები, უწყებანი, პროფკავშირთა საოლქო საბჭოებთან და რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად, ქმნიან დამთვალიერებელ კომისიებს, რომლებიც ახორციელებენ საერთო ხელმძღვანელობას და კონტროლს დათვალიერების მსვლელობისადმი საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ამზადებენ და სამინისტროთა, უწყებათა კოლეგიების და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმების განსახილველად შეაქვთ მასალა დათვალიერების მიმდინარეობაზე და წინადადებანი დათვალიერების შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა უნდა წარმართონ საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობა, განახორციელონ კონტროლი მათი მუშაობისადმი და გაუწიონ საჭირო დახმარება საწარმოს, ორგანიზაციის კოლექტივებს წარმოების კულტურის ამაღლებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების საქმეში.

პროფკავშირთა რესპუბლიკურმა, საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა და საოლქო საბჭოებმა დახმარება უნდა გაუწიონ პროფკავშირთა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარხნო კომიტეტებს ორგანიზატორული მუშაობის განხორციელებაში, მიაღწიონ მაღალ კულტურას, შრომის ჯანსაღ და უსაფრთხო პირობებს საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

საწარმოებსა და პროფკავშირულ კომიტეტებს რჩევა ეძლევათ გამოიყენონ სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო-საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების მასალები სამუშაო ადგილების მოწყობისათვის, საწარმოო და საყოფაცხოვრებო სადგომების ინტერიერების ესთეტიკური გაფორმებისათვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის.

დათვალიერების შედეგების შეჯამება და გამარჯვებულთა წახალისების ღონისძიებანი

იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა კოლექტივების დასაჯილდოებლად, რომლებიც გაიმარჯვებენ წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივ დათვალიერებაში, დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომები.

სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგების შეჯამება ხდება ყოველწლიურად და ორი წლის შედეგების მიხედვით დათვალიერებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებს გადაეცემათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომის მიღების პრეტენდენტად შეუძლია იყოს საწარმო, ორგანიზაცია, რომელიც შეასრულებს ძირითად და გასათვალისწინებელ მაჩვენებლებს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესაბამისად და ამასთანავე, იცავს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

ტერიტორია

— უკეთესი სამუშაო პირობების შექმნის მიზნით რაციონალურად იყენებს შიდასაქარხნო ტრანსპორტს, საწყობებში ალაგებს მასალებსა და ნაწარმს, აგრეთვე უზრუნველყოფს მოძრაობის უშიშროებას მომუშავეებისათვის;

— ეწევა გზების, ტროტუარების, მიწისქვეშა და სხვა კომუნიკაციებისა და ნაგებობების კეთილმოწყობას, ყოველთვის სანიმუშოდ უვლის, სუფთად და ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში ინახავს მათ, გამოყოფილი აქვს დასასვენებელი ზონა;

— დაცული აქვს ტერიტორია, არქიტექტურულად და ესთეტიკურად არის გაფორმებული გასასვლელები.

სამრეწველო შენობები და ნაგებობანი

ყოველთვის ტექნიკურად გამართულ და სამრეწველო ესთეტიკის მოთხოვნების შესაბამის მდგომარეობაში აქვს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სუფთად უვლის შუქლიობებს, ფარნებს, იატაკს, კედლებს, ლითონკონსტრუქციებს;

— მტკიცედ იცავს ტექნიკური ექსპლუატაციის მოთხოვნებს, კერძოდ, შეღებილი აქვს საინჟინრო კომუნიკაციები — კაბელის ქსელები, ელექტროსადენები, თბოტრასა, გაზსადენები და სხვა.

სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სადგომები

ყოველთვის სანიმუშო მდგომარეობა აქვს საშხაპეებში, გასახდელებში, პირსაბანებში, სანიტარულ კვანძებში, ქალთა ჰიგიენის ოთახებში და სხვ. აგრეთვე უზრუნველყოფს მათ თანამედროვე სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობითა და ინვენტარით;

— სისტემატურად აუმჯობესებს მომუშავეთა სანიტარულ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას, მთლიანად უზრუნველყოფს მშრომელებს სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სადგომებით, სანიტარულ-ტექნოლოგიური პროექტის ნორმების შესაბამისად; ასრულებს მაღალ დონეზე სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სამუშაოთა გაფართოების გეგმებს.

სასადილოები, ბუფეტები, სასაუზმო ოთახები

— სუფთად უვლის, უზრუნველყოფს მათ თანამედროვე მოწყობილობითა და ავეჯით, უქმნის მომუშავეებს კვების ნორმალურ რეჟიმს, იცავს წარმოების პირობების შესაბამის გამტარუნარიანობას.

ტექნოლოგია და მოწყობილობა

— უზრუნველყოფს მომუშავეთა ჯანმრთელობას, შრომის უსაფრთხო, მაღალმწარმოებლურ პირობებს:

— ხმაურის, ვიბრაციების, თბოიზოლაციის, მტვერისა და გზის კონცენტრაციის დონეს უთანაბრებს მოქმედ ნორმებს.

შრომის რაციონალური ორგანიზაცია

— საკმაო რაოდენობით აქვს სპეციალური ტარა, მისაღები მაგიდები, სტელაჟები, ტრანსპორტირების საშუალებანი, აღჭურვილობა, ინსტრუმენტები, მოსახერხებელი ავეჯი და სხვა;

— განათებული აქვს სამუშაო ადგილები ნორმების შესაბამისად;

— იცავს გასასვლელების გაბარიტებს, მოწყობილობის განლაგებისა და მასალების, დეტალებისა და ნაკეთობათა დაწყობის ნორმებს, საამქროებსა და უბნებზე წლის ყველა პერიოდში ნორმების შესაბამის ტემპერატურას.

წარმოების კულტურის ამაღლებისათვის საწარმოთა და ორგანიზაციათა საქმიანობის შეფასების უმნიშვნელოვანეს საზომს წარმოადგენს პროდუქციის ხარისხის სისტემატური გაუმჯობესება, საიმედოობისა და ხანგამძლეობის გადიდება და საუკეთესო მსოფლიო ნიმუშების დონის მიღწევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვალიერების შედეგებს საწარმოების, ორგანიზაციების მიხედვით ყოველწლიურად შეაჯამებენ და განიხილავენ პროფკავშირის საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად.

ანგარიშები დათვალიერების შედეგების შესახებ წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 20 დღისა ეგზავნება:

— რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციის შესახებ — საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს და პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებს;

— აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებზე მდებარე ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების შესახებ — ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საოლქო აღმასკომს და პროფკავშირთა შესაბამის საოლქო საბჭოებს, ადგილობრივი დაქვემდებარების დანარჩენი საწარმოების და ორგანიზაციის შესახებ — შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს და პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს.

საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებანი, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი პროფკავშირთა შესაბამის საოლქო საბჭოებთან და რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად ადგილზე საფუძვლიანი შემოწმების გზით განსაზღვრავენ საწარმოებს, რომლებსაც მათი შეთანხმებული აზრით შეიძლება მიენიჭოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომები და 1970 წლის თებერვალში წარმოუდგენენ აღნიშნულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში წარმოების მაღალი კულტურის ამსახველ დასაბუთებულ მასალას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომების მიკუთვნება ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოში წარსადგენ ანგარიშებში უნდა აისახოს შემდეგი ძირითადი მონაცემები:

— დათვალიერების პერიოდში შეტანილ და მიღებულ წინადადებათა რაოდენობა, იმ განხორციელებულ ღონისძიებათა რაოდენობა, რომლებიც მიზნად ისახავენ წარმოების კულტურის ამაღლებას (ყველაზე ეფექტიან ღონისძიებათა მაგალითები), რესპუბლიკურ სოციალისტური შეჯიბრების მაჩვენებელთა შესრულება, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა. საწარმოო სადგომების ინტერიერების შეხამება სამრეწველო ესთეტიკის მოთხოვნებთან, მომუშავეთა უზრუნველყოფა სათანადო სანიტარულ-საყოფაცხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრებო სადგომებით, საამქროებში ჰაერის შედგენილობის გათანაბრება ნორმებთან, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება.

ანგარიშთან ერთად საწარმოები და ორგანიზაციები გზავნიან იმ ძირითად ღონისძიებათა გეგმას, რომლებიც მიზნად ისახავენ წარმოების კულტურის ამაღლებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას 1968-1969 წლებში. ეს გეგმა შედგენილი უნდა იყოს დათვალიერების მსვლელობის დროს მუშა-მოსამსახურეებისაგან შემოსულ წინადადებათა საფუძველზე.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა პროფკავშირების შესაბამის საოლქო საბჭოსთან და რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად ყოველწლიურად უნდა შეაჯამონ შედეგები, დასახონ ამ მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი, გაუწიონ პრაქტიკული დახმარება საწარმოებს, ორგანიზაციებს, რათა საიუბილეო თარიღისათვის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე საწარმოთა უმრავლესობამ მაქსიმალური წარმატებანი მოიპოვოს წარმოების კულტურის ამაღლების საქმეში.

დათვალიერების პერიოდში სამინისტროებმა, უწყებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომმა და პროფკავშირთა შესაბამისმა საბჭოებმა და კომიტეტებმა უნდა მიაღწიონ, რომ მრეწველობის ყოველ დარგში იყოს კულტურის მხრივ სანიმუშო საწარმოები, ორგანიზაციები, რომლებიც თავისებური ეტალონი იქნება სხვებისათვის.

რჩევა მიეცეთ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომს და პროფკავშირთა შესაბამის საოლქო საბჭოებს და რესპუბლიკურ კომიტეტებს გამოიყენონ დათვალიერების მსვლელობის პერიოდში წახალისების მორალური ფაქტორები და დააჯილდოონ წარჩინებული კოლექტივები, ცალკეული მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებმაც კარგ შედეგებს მიაღწიეს და დიდი წვლილი შეიტანეს წარმოების კულტურის ამაღლებაში.

* *
*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების, პროფკავშირთა საბჭოებისა და კომიტეტების თავმჯდომარეების ყურადღებას მიაპყრობენ წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერების ჩატარების დიდ მნიშვნელობაზე და გამოთქვამენ რწმენას, რომ რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა ყველა მუშაკი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს დათვალიერებაში და თავის ღირსეულ წვლილს შეიტანს წარმოების მაღალი კულტურისათვის, შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობებისათვის ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური
საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 23 სექტემ-
ბრის № 495 დადგენილების დანართი № 2

ბ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომებისა წარმოების კულტურის სრულიად საკავშირო დათვალიერებაში გამარჯვებულ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების დასაჯილდოებლად

აფხაზეთის ასსრ	3
აჭარის ასსრ	3
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	2
საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	3
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	2
საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	2
საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	2
საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო	2
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველო	2
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზიფიკაციის მთავარი სამმართველო	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნავთობპროდუქტების მომარაგებისა და გასაღების მთავარი სამმართველო	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტი	2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

75 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 ივლისის № 546 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ

„საკოლმეურნეო ტყეების დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 4 მარტის № 144 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 ივლისის № 546 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 ივლისის № 546 დადგენილებით გაუქმებულია მე-4 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 23 მაისის № 442 დადგენილებისა „სატყეო მეურნეობის გაძღოლის ზოგიერთი საკითხის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 ივნისის № 750 განკარგულებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 4 სექტემბერი, № 469.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 4 სექტემბრის № 469
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 17 ივლისის № 546 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 21 ივლისის დადგენილება „კოლმეურნეობათა სამუდამო სარგებლობაში გადაცემული საფარი და წყლის დაცვითი ტყეების სარგებლობის წესის შესახებ“ (დადგ. კრ., 1937 წ. № 13, მუხ. 88).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 10 დეკემბრის № 1694 დადგენილება „1944 წელს საკოლმეურნეო წისქვილების რემონტისა და მშენებლობის ღონისძიებათა შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 1 ივნისის № 574 დადგენილება „საკოლმეურნეო ტყეების სარგებლობის მოწესრიგებისა და ამ ტყეებში მეურნეობის გაძღოლის გაუმჯობესების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 21 თებერვლის № 224 დადგენილება „საკოლმეურნეო ტყეების სარგებლობის მოწესრიგებისა და ამ ტყეებში მეურნეობის გაძღოლის გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 17 მაისის № 1608 დადგენილების არადამაკმაყოფილებლად შესრულების თაობაზე“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 მარტის № 174 დადგენილება „საკოლმეურნეო ტყეებში მეურნეობის გაძღოლის გაუმჯობესების შესახებ“.

6. „მერქნის ძირზე გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 24 თებერვლის № 101 დადგენილების პირველი პუნქტი.

---

76 საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ხმაურთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მიღებული ზომების მიუხედავად, რესპუბლიკაში არასაკმაოდ წარმოებს ბრძოლა ხმაურისა და მისგან გამოწვეული არასასურველი შედეგების მკვეთრად შემცირებისათვის. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, სამინისტროების, უწყებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ამ მნიშვნელოვან საკითხს, არ უზრუნველყოფენ დასაშვები ხმაურის სანიტარული ნორმების მტკიცედ დაცვას, სუსტად ებრძვიან სიწყნარისა და მყუდროების განზრახ დამრღვევთ, მათ მიმართ არ იყენებენ კანონით დაწესებულ სანქციებს.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ხმაურის მკვეთრად შემცირების ღონისძიებათა განხორციელების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1.[1] შეიქმნას ხმაურთან ბრძოლის საუწყებათაშორისო რესპუბლიკური საკოორდინაციო კომისია.

---

[1]) კომისიის შემადგენლობა არ მოიყვანება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს კომისიას სისტემატურად შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ხმაურის მკვეთრად შემცირება ყველგან, სიწყნარისა და მყუდროების მიღწევა სამუშაო ადგილებზე საწარმოებში, ტრანსპორტის მოძრაობის დროს ქუჩებში, თეატრალურ-სანახაობითს დაწესებულებებში, სპორტულ მოედნებსა და ნაგებობებზე, საზოგადოებრივი თავმოყრის ადგილებში, საცხოვრებელ მასივებში და სხვაგან.

2. აეკრძალოთ სპორტულ ორგანიზაციებს რესპუბლიკის ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ფარგლებში ვარჯიშისა და ყოველგვარი შეჯიბრებების ჩატარება საავტომობილო და სამოტოციკლო სპორტში.

3. აეკრძალოთ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში განლაგებულ სამრეწველო და სხვა საწარმოებსა და დაწესებულებებს ყოველგვარი საყვირებისა და სიგნალების მიცემა.

4. საქართველოს სსრ სახმშენმა უზრუნველყოს, რომ ყველა საპროექტო ორგანიზაციამ საცხოვრებელი სახლებისა და სამოქალაქო ნაგებობათა პროექტებით გაითვალისწინონ ღონისძიებანი საინჟინრო მოწყობილობათა ხმაურთან საბრძოლველად.

5. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა სისტემატურად მოაწყონ მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა ხმაურთან საბრძოლველად.

6. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ:

ა) ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო უკვე ახორციელებს ღონისძიებებს ლოკომოტივების სიგნალების, მოძრავი შემადგენლობის, ძალოვანი დანადგარების, ბაქნებზე, ლიანდაგებზე, პარკებში, ვაგზლებში, სადგურებსა და სხვაგან დადგმული ხმამაღლამოლაპარაკეთა ხმაურის შემცირებისათვის.

ბ) სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველომ თვითმფრინავთა ხმაურის შესამცირებლად მინიმუმამდე დაიყვანა ღამე ფრენის რაოდენობა.

გ) თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დასახა ღონისძიებანი ქ. თბილისში ხმაურის წინააღმდეგ საბრძოლველად.

7. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს უახლოეს ხანში განახორციელონ ეფექტური ღონისძიებანი ხმაურთან საბრძოლველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ შეისწავლოს საკითხი, მიზანშეწონილია თუ არა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეტანილ იქნეს წინადადება იმის შესახებ, რომ 6 თვემდე ვადით ჩამოერთვას მანქანის მართვის უფლება ავტომობილების, ავტობუსების, ტრამვაის, ტროლეიბუსების, მოტოციკლების მძღოლებს ხმოვანი სიგნალების განზრახ და არაერთგზის მიცემისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 5 სექტემბერი, № 471.

77 საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემაში სპეციალიზებული სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „საქწყალკანალსახპროექტის“ შექმნის შესახებ

რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სოფლებში წყალსადენებისა და კანალიზაციის მშენებლობის დაპროექტების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას 1969 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სისტემაში სპეციალიზებული სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „საქწყალკანალსახპროექტი“.

დაეკისროს ამ ინსტიტუტს საქართველოს სსრ ქალაქების, რაიონული ცენტრების, ქალაქის ტიპის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და კანალიზაციის გენერალური სქემებისა და პროექტების შემუშავება, გარდა ქ. თბილისის, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ობიექტებისა.

ამ ინსტიტუტის მოვალეობად მიჩნეულ იქნეს დასახლებული პუნქტების გენერალური დაგეგმარების დაპროექტების დროს წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ძირითადი დებულებების შემუშავება საქართველოს სსრ სახმშენის საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტთან“ დადებული სუბსაიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე.

2. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, 1968 წლის 1 ნოემბრამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი საპროექტო ინსტიტუტის „საქწყალკანალსახპროექტის“ 1969 წლის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა მოცულობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაწესდეს, რომ სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „საქწყალკანალსახპროექტის“ შექმნის შემდეგ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე ყველა დანარჩენი სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტები შეიმუშავებენ მხოლოდ ობიექტების შიგასამოედნო ქსელების, აგრეთვე იმ მშენებლობათა წყალსადენებისა და კანალიზაციის პროექტებს, რომელთა დაპროექტება ხორციელდება კომპლექსურად (გარდა ქ. თბილისის, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს).

4. საქართველოს სსრ სახმშენმა 1969 წლის 1 იანვრისათვის გადასცეს საპროექტო ინსტიტუტს „საქწყალკანალსახპროექტს“ წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ტიპობრივი პროექტები, საპროექტო ინსტიტუტის „საქქალაქმშენსახპროექტის“ განყოფილება „წყალკანალის“ მოწყობილობა და ინვენტარი.

5. საპროექტო ინსტიტუტი „საქწყალკანალსახპროექტი“ დაკომპლექტდეს საპროექტო ინსტიტუტების „საქქალაქმშენსახპროექტის“, „საქწყალმეურნსახპროექტის“, საქსახპროექტის“ იმ მუშაკებით, რომლებიც დასაქმებული იყვნენ „საქწყალკანალსახპროექტის“ ინსტიტუტისათვის გადაცემული ობიექტების დაპროექტებაზე და თავისუფლდებიან ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით.

6. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1968 წლის ბოლომდე გადაწყვიტონ საკითხი საპროექტო ინსტიტუტის „საქწყალკანალსახპროექტის“ შესაფერისი სადგომით უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 5 სექტემბერი, № 472.

78 ქ. თბილისის საგარეუბნო კურორტების კეთილმოწყობისა და შემდგომი განვითარების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში გატარებულ ღონისძიებათა შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა ქ. თბილისის საგარეუბნო კურორტებზე მშრომელთა დასვენებისა და მკურნალობის საქმე.

მიუხედავად ამისა, საგარეუბნო კურორტები ჯერ კიდევ არაა სათანადოდ კეთილმოწყობილი, დღემდე არ არის დამუშავებული მანგლისის, კოჯრისა და კიკეთის განვითარების გენერალური გეგმა, დაუდგენელია ამ კურორტების სამშენებლო-სანიტარული ზონები, არ შენდება ახალი პანსიონატები, ბავშვთა გამაჯანსაღებელი დაწესებულებები, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია შიდასაკურორტო გზები, მცირეა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებათა ქსელი: კურორტები კოჯორი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიკეთი არ არიან უზრუნველყოფილი სასმელი და სამეურნეო წყლით, მოუწყობელია კანალიზაცია, მოუწესრიგებელია სატელეფონო კავშირი და სხვ.

ქ. თბილისის საგარეუბნო კურორტების შემდგომი განვითარებისა და მათი კეთილმოწყობის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ა) 1968 წელს დაამთავროს კურორტების მანგლისის, კოჯრისა და კიკეთის განვითარების გენერალური გეგმის შედგენა და დამტკიცება არსებული წესით.

ბ) გაატაროს საგარეუბნო კურორტების კეთილმოწყობის ღონისძიებანი № 1 დანართის თანახმად;

გ) შეისწავლოს კუმისის ტბაზე სამკურნალო ტალახის მოპოვების მექანიზაციის საკითხი და განახორციელოს ეს ღონისძიება.

2. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, თეთრიწყაროსა და გარდაბნის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს 1968 წლის ბოლომდე განიხილონ კურორტ წყნეთში, მანგლისში, კოჯორსა და კიკეთში კერძო მფლობელთა სახლებისა და ეზოების კეთილმოწყობის, დასუფთავების, ნაგვის გატანის მდგომარეობა, აგრეთვე შინაური პირუტყვის შენახვის წესის დაცვის საკითხი და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

აკრძალონ მანგლისში, კოჯორსა და კიკეთში კერძო პირებისათვის რაიმე ნაკვეთების გაცემა და ახალ შენობათა აგება ამ კურორტების გენერალური გეგმის დამტკიცებამდე.

3. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, გარდაბნისა და თეთრიწყაროს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა 1969—1970 წლებში უზრუნველყონ კეთილმოწყობილი საკოლმეურნეო ბაზრების აშენება მანგლისში, კოჯორსა და კიკეთში.

4. თეთრიწყაროსა და გარდაბნის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ, „საქმთავარენეიგომ“ და ცეკავშირის გამგეობამ უზრუნველყონ საგარეუბნო კურორტებზე გათვალისწინებულ ღონისძიებათა გატარება № 2 დანართის თანახმად.

5. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ 1968 წელს განახორციელოს ღონისძიებანი საგარეუბნო კურორტების ობიექტების რადიო და სატელეფონო კავშირით უზრუნველსაყოფად, მოაწყოს „სოიუზპეჩატის“ ახალი კიოსკები და დამატებით დადგას სატელეფონო ჯიხურები.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირს:

გადაჭრით გააუმჯობესონ სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებათა მუშაობა, უზრუნველყონ მათი ქსელის ზრდა იმ ვარაუდით, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

1968 — 1970 წლებში მთლიანად დაკმაყოფილდეს ქ. თბილისის საგარეუბნო კურორტების მოთხოვნილებანი; დაამყარონ ჯეროვანი წესრიგი სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების დაწესებულებებში, შექმნან კვების პროდუქტების მარაგი დამსვენებელთა დაუბრკოლებლივ მომარაგების მიზნით, ახლად მოწყობილი სავაჭრო და კვების ობიექტები უზრუნველყონ ტექნოლოგიურ-სამაცივრო მოწყობილობით, აიღონ მანგლისის საკურორტო ზონაში არსებული ძველი შეუფერებელი შენობები, სადაც ამჟამად მოთავსებულია კურორტვაჭრობისა და ცეკავშირის მაღაზიები, და მათ ნაცვლად 1969—1972 წლებში ააგონ კეთილმოწყობილი შენობები სამრეწველო და სასურსათო მაღაზიებისათვის;

7. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ 1968—1970 წლების მანძილზე წყნეთში, მანგლისში, კოჯორსა და კიკეთში მოაწყოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების გამქირავებელი პუნქტები.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით, ამა წლის 1 ნოემბრამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი თბილისის საგარეუბნო კურორტების შემდგომი გატყევების თაობაზე.

9. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს:

ა) გააძლიეროს ქ. თბილისის საგარეუბნო კურორტების სანიტარული ზედამხედველობა და გაატაროს საჭირო ღონისძიებანი მოაგარაკეთა სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ბ) კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სამუშაო გეგმით მიმდინარე წლიდან გაითვალისწინოს საგარეუბნო კურორტების სამკურნალო ფაქტორების შემდგომი შესწავლის საკითხები.

10. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ მეტი ყურადღება დაუთმოს თბილისის საგარეუბნო კურორტებზე დამსვენებელთა კულტურულ მომსახურებას; ყოველწლიურად, ზაფხულის პერიოდში სისტემატურად მიაგლინოს ამ კურორტებზე კვალიფიციური შემსრულებლებით დაკომპლექტებული საკონცერტო ბრიგადები.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა:

ა) უზრუნველყოს საგარეუბნო კურორტებზე არსებული კინოდანადგარების შეუფერხებელი მუშაობა, ხოლო 1969 წელს გაითვალისწინოს საზაფხულო კინომოედანის მოწყობა კოჯორში.

ბ) აღმოუჩინოს ქმედითი დახმარება გარდაბნის რაიაღმასკომს კიკეთში, მცირეგაბარიტიანი მუდმივმოქმედი 130-ადგილიანი კინოთეატრის დაპროექტებისა და მშენებლობის საქმეში.

12. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ ყოველწლიურად, დაწყებული 1969 წლიდან, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ბიუჯეტით გაითვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისწინოს საგარეუბნო კურორტების კეთილმოწყობისათვის 300 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე ამ დანიშნულებისათვის გათვალისწინებულია 1968 წელს.

13. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გარდაბნისა და თეთრიწყაროს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების, საქართველოს პროფსაბჭოს, აგრეთვე მსხვილი წარმოება-დაწესებულებების და საბჭოთა მეურნეობების წილობრივი მონაწილეობით დაამუშაოს, დააპროექტოს და 1969—1975 წლებში საგარეუბნო კურორტებზე განახორციელოს პანსიონატების, სასტუმროების, დასვენების ბაზების, ბავშვთა გამაჯანსაღებელი დაწესებულებების, შიდასაკურორტო გზების, წყალსადენებისა და კანალიზაციის გეგმაზომიერი მშენებლობა.

საგარეუბნო კურორტებზე გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების დაპროექტება დაევალოს „თბილქალაქპროექტს“.

14. მუშა-მოსამსახურეთა კულტურული დასვენების უზრუნველყოფის მიზნით რჩევა მიეცეს დიდ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებს, რათა 1968—1970 წლებში საგარეუბნო კურორტებზე (მანგლისი, კოჯორი, კიკეთი) საკუთარი სახსრებით ააშენონ პანსიონატები, დასასვენებელი სახლები და ბავშვთა გამაჯანსაღებელი დაწესებულებანი.

15. სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა 1968—1969 წლებში კაპიტალურად გაარემონტონ და მოიყვანონ წესრიგში ქ. თბილისის საგარეუბნო კურორტებზე (წყნეთი, მანგლისი, კოჯორი, კიკეთი) მათ გამგებლობაში მყოფი ყველა შენობა-ნაგებობა და იქ, სადაც არ არის კანალიზაციის ქსელი, საპირფარეშოები მოაწყონ ბეტონირებულ ორმოებზე; ჩაატარონ თავიანთი ტერიტორიის კეთილმოწყობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 10 სექტემბერი, № 475.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 10 სექტემბრის № 475
დადგენილების დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის საგარეუბნო კურორტებზე თბილისის საქალაქო საბჭოს მიერ ჩასატარებელი ღონისძიებანი

ღონისძიებანი	კურორტის დასახელება	ღონისძიების ჩატარების ვადები
1. ბავშვთა № 3 სეზონური სანატორიუმის კვების ბლოკის მშენებლობის დამთავრება	მანგლისი	1968—1969 წ.წ.
2. ბავშვთა სეზონური სანატორიუმის კვების ბლოკის და სანგამტარის მშენებლობა	კოჯორი	1969—1970 წ.წ.
3. ბავშვთა სანატორიუმების და საგარაკო სახლების კაპიტალური რემონტი	წყნეთი, მანგლისი, კოჯორი, კიკეთი	1968—1972 წ.წ.
4. წყალსადენის შიდასაკურორტო ქსელის მშენებლობის დამთავრება	კიკეთი, კოჯორი	1968—1969 წ.წ.
5. პოლიკლინიკის მშენებლობა	წყნეთი	1968—1970 წ.წ.
6. მილიციის განყოფილების შენობის აგება	წყნეთი	1968—1970 წ.წ.
7. შიდასაკურორტო გზების (5 კმ-ზე) მოასფალტება და განათების მოწყობა	წყნეთი	1968—1969 წ.წ.
8. ბავშვთა სანატორიუმებისათვის სკვერების და სპორტული მოედნების მშენებლობა და კეთილმოწყობის სამუშაოების დამთავრება	წყნეთი, მანგლისი, კოჯორი	1968—1969 წ.წ.
9. წყალსადენის სისტემის რეკონსტრუქცია	უძო	1968 წ.
10. 30 აგარაკის მშენებლობა	მანგლისი, წყნეთი, კოჯორი, კიკეთი	1969—1972 წ.წ.
11. გარე განათების ქსელის რეკონსტრუქცია	წყნეთი	1968—1969 წ.წ.
12. ტრანსფორმატორის შენობის რეკონსტრუქცია და მოძველებული ტრანსფორმატორების შეცვლა	კოჯორი, კიკეთი	1969—1970 წ.წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 10 სექტემბრის № 475
დადგენილების დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის საგარეუბნო კურორტებზე სხვადასხვა სამინისტროებისა და უწყებების მიერ ჩასატარებელი ღონისძიებანი

მშენებლობის ობიექტები	უწყება, რომელიც ახორციელებს მშენებლობას	კურორტის დასახელება	ღონისძიებების ჩატარების ვადები
1. მსუბუქი ტიპის ავტოსადგურის მშენებლობა	საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	კოჯორი	1969 წ.
2. მაგისტრალური გზების მოასფალტება	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველო	კოჯორი, კიკეთი	1969—1970 წ.წ.
3. 16-ადგილიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატისა და საერთო სარგებლობის საშხაპე 6 კაბ.	საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	კოჯორი	1969—1970 წ.წ.
4. 30-ადგილიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მშენებლობა	„ „	მანგლისი	1969—1970 წ.წ.
5. შიდასაკურორტო გზების რემონტი და მოასფალტება (4 კმ.)	თეთრიწყაროს რაიაღმასკომი	მანგლისი	1968—1969 წ.წ.
6. შიდასაკურორტო გზების რემონტი და მოასფალტება (3 კმ.)	გარდაბნის რაიაღმასკომი	კოჯორი	1968—1969 წ.წ.
7. კოჯორი-უძოს გზის რემონტი (3 კმ.)	„	კიკეთი	1968—1969 წ.წ.
8. მცირეგაბარიტიანი მუდმივმოქმედი 130-ადგილიანი კინოთეატრის აშენება	„	კიკეთი	1969 წ.
9. 50-ადგილიანი კაფე-სასაუზმე	საქ. სსრ ვაჭრობის სამინისტრო	მანგლისი	1969—1970 წ.წ.
10. სტაციონარული სავაჭრო ობიექტი (1-2 სამუშაო ადგილით) პროდუქტების და სამრეწველო საქონლის გასაყიდად	„	კოჯორი, მანგლისი	1969—1970 წ.წ.

მშენებლობის ობიექტები	უწყება, რომელიც ახორციელებს მშენებლობას	კურორტის დასახელება	ღონისძიებების ჩატარების ვადები
11. საკურორტო საქონლის მაღაზია	საქ. სსრ ვაჭრობის სამინისტრო	მანგლისი, კოჯორი	1969—1970 წ.წ.
12. სამრეწველო და სასურსათო შერეული მაღაზია	„	მანგლისი	1969—1970 წ.წ.
13. ხილ-ბოსტნეულის მაღაზია	ცეკავშირი	კოჯორი	1969—1970 წ.წ.
14. 50-ადგილიანი სასადილო	ცეკავშირი	კიკეთი	1969—1970 წ.წ.
15. ტრანსფორმატორის შენობის რეკონსტრუქცია და მოძველებული ტრანსფორმატორების შეცვლა	საქენერგო	მანგლისი, კოჯორი, კიკეთი	1968 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

79 საქართველოს სსრ რესპუბლიკაში რესტორნების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას:

ა) საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 4 მაისის № 295 დადგენილებით დაწესებული საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის განვითარების დავალების შესაბამისად, გახსნან ქალაქებში, საოლქო ცენტრებში და ტურიზმის ადგილებში რესპუბლიკის მოსახლეობის ეროვნული ტრადიციებისა და ჩვეულების გათვალისწინებით გაფორმებული და მომუშავე ახალი რესტორანები, აგრეთვე რესტორანები, რომლებიც იმუშავებენ გახანგრძლივებულ საათებში, №№ 1 და 2 დანართების თანახმად;

ბ) განახორციელონ ღონისძიებანი 1968—1970 წლებში სასტუმროებთან არსებულ რესტორანებში ადგილების რაოდენობის გადიდებისათვის;

გ) უზრუნველყონ ერთწლიანი კურსების მოწყობა მეტრდოტელთა და ოფიციანტთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად სწავლების პერიოდში სამუშაოსაგან მოწყვეტით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს ერთი თვის ვადაში შეუთანხმოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს იმ რესტორანების სია, სადაც გაიმართება საკონცერტო-საესტრადო წარმოდგენები, აგრეთვე რესტორანებისა და ბარებისა, რომლებიც იმუშავებენ გახანგრძლივებულ საათებში, და წარმოუდგინონ ეს სია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ საწარმოებში არყისა და კონიაკის საცალო ფასების ფასნამატის დასაწესებლად.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1968 წლის 24 ივლისის № 1557 განკარგულებით:

დააწესა:

ა) მეტრდოტელთა და ოფიციანტთა მოსამზადებელი ორწლიანი სკოლისა და მეტრდოტელთა და ოფიციანტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ერთწლიანი კურსების მსმენელთათვის, რომლებიც გაგზავნილი არიან საზოგადოებრივი კვების საწარმოების მიერ ამ სკოლებსა და კურსებზე სასწავლებლად, სტიპენდიები;

მეტრდოტელის პროფესიის შემსწავლელი მსმენელებისათვის, — იმ თანამდებობრივი სარგოს (სატარიფო განაკვეთის) ოდენობით, რასაც იღებენ ძირითად სამუშაო ადგილზე, მაგრამ არა უმეტეს 100 მანეთისა თვეში;

ოფიციანტის პროფესიის შემსწავლელი მსმენელებისათვის, — იმ თანამდებობრივი სარგოს (სატარიფო განაკვეთის) ოდენობით, რასაც იღებენ ძირითად სამუშაო ადგილზე. მაგრამ არა უმეტეს 70 მანეთისა თვეში;

ბ) აღნიშნული ორწლიანი სკოლებისა და ერთწლიანი კურსების საწარმოო სწავლების ოსტატებისათვის, — თანამდებობრივი სარგო იმ სარგოთა დონეზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც დაწესებულია სსრკ ზემდგომი ორგანოების დადგენილებით სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგებისათვის კადრების მომზადების პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების საწარმოო სწავლების ოსტატებისათვის;

გ) ორწლიანი სკოლების მასწავლებლებისა და სხვა მუშაკებისათვის, აგრეთვე ერთწლიანი კურსების მუშაკებისათვის (გარდა მასწავლებლებისა), — თანამდებობრივი სარგო იმ სარგოთა დონეზე, რაც დაწესებულია სსრკ ზემდგომი ორგანოების დადგენილებით პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების ანალოგიური კატეგორიის მუშაკებისათვის;

დ) რომ ერთწლიანი კურსების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება წარმოებს საათობრივი ანაზღაურების მოქმედი განაკვეთების მიხედვით;

ე) რომ მეტრდოტელთა და ოფიციანტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი და მოსამზადებელი ორწლიანი სკოლებისა და ერთწლიანი კურსების შენახვის ხარჯების ანაზღაურება წარმოებს ვაჭრობის მუშაკთა კადრების მომზადების ანარიცხების ხარჯზე.

დაავალა სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს შეიმუშაოს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით დააწესოს აღნიშნული ორწლიანი სკოლებისა და ერთწლიანი კურსების საწარმოო სწავლების ოსტატთა დაჯილდოების წესი.

მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მიერ შეთანხმებული წინადადება იმის შესახებ, რომ უთანრიგო რესტორანებისა და ტურისტების მომსახურე რესტორანების მეტრდოტელებს, ოფიციანტებს, მებუფეტეებს, ბარმენებს, შვეიცარებს, მეგარდერობეებს და სანიტარული კვანძების დამლაგებლებს, აგრეთვე ოფიციანტისა და მეტრდოტელის პროფესიების შემსწავლელ მოსწავლეებს მიეცეთ ფორმის ტანისამოსი უფასოდ, იმ ნორმების მიხედვით, რაც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულების შესაბამისად.

ნება დართო უფასოდ მიეცეს აღნიშნული რესტორანების მეტრდოტელებსა და ოფიციანტებს ფეხსაცმელი იმ ნორმებით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საბჭოს სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

რესტორანების ჩამოთვლილი კატეგორიების მუშაკებისათვის ფორმის ტანისამოსის და ფეხსაცმლის მიცემასთან დაკავშირებული ხარჯები მიაკუთვნა საავაჭრო ორგანიზაციების საწარმოო და მიმოქცევის ხარჯებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს 1968 წლის 1 დეკემბრისათვის წარმოუდგინოს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 12 სექტემბერი, № 480.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 12 სექტემბრის № 480
დადგენილების დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

საქართველოს სს რესპუბლიკაში რესტორანების ქსელის გასაფართოებლად

	1968—1970 წლებში მათ შორის წლების მიხედვით							
	სულ		1968 წელს		1969 წელს		1970 წელს	
	რესტორანები	ადგილი	რესტორანები	ადგილი	რესტორანები	ადგილი	რესტორანები	ადგილი
ხიბელმწიფო ვაჭრობა	7*)	4835	2	525	1	800	2	1150
ფეკავშირის გამგეობა	22	1600	2	144	10	730	10	726
სულ	29	6435	4	669	11	1530	12	1876

*) 2360-ადგილიანი 2 რესტორანი, რომლის მშენებლობა დაიწყო 1968 წელს, საექსპლუატაციოდ გადაეცემა 1971—1973 წლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ფეხ. 79

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 12 სექტემბრის № 480
დადგენილების დანართი № 2

ს ი ა

რესტორანებისა, რომლებიც 1968 წლის 1 ოქტომბრიდან გადაყვანილი იქნებიან გახანგრძლივებულ საათებში სამუშაოდ

რესტორანები	რესტორანის ადგილმდებარეობა (ქალაქები, ავტონომიური რესპუბლიკები და რაიონები)
სახელმწიფო ვაჭრობის სისტემა	
„ბუდაპეშტი“	ქ. თბილისი
„ისინდი“	„
„სალხინო“	„
„დარიალი“	„
„გრემი“	„
„დიოსკურია“	ქ. სოხუმი
„გაგრიაში“	ქ. გაგრა
„აჭარა“	ქ. ბათუმი
„იმერეთი“	ქ. ქუთაისი
„რიონი“	ქ. ფოთი
„რუსთავი“	ქ. რუსთავი
„იზაბელა“	ქ. მახარაძე
„ზუგდიდი“	ქ. ზუგდიდი
„ქართლი“	ქ. გორი
სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემა	
„ეშერი“	აფხაზეთის ასსრ
„მერხეული“	„
„არადუ“	„
„ამზა“	„
„მახინჯაური“	აჭარის ასსრ
„ციხისძირი“	„
„ხელვაჩაური“	„
„ჩაქვი“	„
„ცისკარი“	სამტრედიის რაიონი
„ტურისტი“	წყალტუბოს „
„ივერია“	ხაშურის „
„მცხეთა“	მცხეთის „
„ბეთანია“	გარდაბნის „
„ნაკადული“	გურჯაანის „
„გურჯაანი“	გურჯაანის „
„გარეჯი“	საგარეჯოს „
„შუამთა“	თელავის „
„ყვარელი“	ყვარლის „
„სიღნაღი“	სიღნაღის „
„მარანი“	მარნეულის „
„ფასანაური“	დუშეთის „
„ყაზბეგი“	ყაზბეგის „

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

80 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 9 ნოემბრის № 2136 დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 9 ნოემბრის № 2136 დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებში მშრომელთა საჩივრების მიღებისა და გარჩევის საქმის მდგომარეობის შესახებ“ (საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული 1938 წ. № 8. მუხ. 41).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**

ქ. თბილისი, 1968 წ. 12 სექტემბერი № 482.

81 დაქირავებულ შენობებში კინოს ჩვენებისათვის საიჯარო გადასახადის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს საიჯარო გადასახადი კინოს საჩვენებლად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საკლუბო დაწესებულებათა (კულტურის სახლთა) გამოყენებისათვის ქალაქად 4 პროცენტის და სოფლად 8 პროცენტის ოდენობით, ხოლო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საკლუბო დაწესებულებათა (კულტურის სახლთა) გამოყენებისათვის — ქალაქად 3 პროცენტის და სოფლად 5 პროცენტის ოდენობით.

დადგინდეს, რომ კინოფიკაციის ორგანოები ამ შენობებში კინოს ჩვენებისას გათბობის, განათების, ელექტროენერგიისა და კომუნალური მომსახურების გადასახდელებს არ გადაიხდიან.

2. დაწესდეს, რომ მოძრავ კინოდანადგარებს კინოსურათების საჩვენებლად უფასოდ გამოეყოფათ სათანადო სადგომი იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც სტაციონარული კინოჯიხურები არ არის მოწყობილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**

ქ. თბილისი, 1968 წ. 23 სექტემბერი, № 500

ეროვნული ბიბლიოთეკა

82 „საცხოვრებელ სახლებში გაყვანილი წყალსადენის, კანალიზაციის, თბოფიკაციის და ელექტროქსელებისა და მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების ხარჯების საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებისათვის ანაზღაურების წესის“ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მიერ წარმოდგენილი და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის მიერ რეკომენდებული ინსტრუქცია „საცხოვრებელ სახლებში გაყვანილი წყალსადენის, კანალიზაციის, თბოფიკაციის და ელექტროქსელებისა და მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების ხარჯების საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებისათვის ანაზღაურების წესის“ შესახებ, და ძალაში შევიდეს იგი 1969 წლის 1 იანვრიდან.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, საქართველოს სსრ 1969 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის დროს გაითვალისწინონ შენობებში არსებული წყალსადენის, კანალიზაციის, თბოფიკაციის, ელექტრონული ქსელებისა და მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების ხარჯების ანაზღაურება საბინაო-საექსპლოატაციო საწარმოებისათვის, იმ ორგანიზაციების ხარჯზე, რომლებიც შემოსავალს იღებენ ამ ქსელებისა და მოწყობილობათა ექსპლოატაციისაგან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 24 სექტემბერი, № 502.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 24 სექტემბრის № 502
დადგენილებით

ინსტრუქცია

საცხოვრებელ სახლებში გაყვანილი წყალსადენის, კანალიზაციის, თბოფიკაციის და ელექტროქსელებისა და მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების ხარჯების საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებისათვის ანაზღაურების წესის შესახებ

1. საცხოვრებელ სახლებში გაყვანილი წყალსადენის, კანალიზაციის, თბოფიკაციისა და ელექტრული ქსელებისა და მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების ხარჯები საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებს უნდა აუნაზღაურონ შესაბამისმა საწარმოებმა, მიუხედავად მათი საქვეუწყებო დაქვემდებარებისა.

საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებს წარმოადგენენ სახლმმართველობანი, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორები, საბინაო-კომუნალური განყოფილებანი, საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე კომუნალურ საწარმოთა კომბინატები, რომლებსაც აქვთ დამოუკიდებელ ბალანსზე გამოუყოფელი ფონდი.

შენიშვნა: თუ საცხოვრებელი შენობების ენერგომომარაგება და თბომომარაგება ხორციელდება იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა — საბითუმო გადამყიდველთა ქსელების მეშვეობით, რომლებიც სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ენერგოსისტემებისაგან იღებენ ელექტროენერგიას საბითუმო გადამყიდველთა ტარიფებით, საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებს ხარჯებს უნაზღაურებენ ეს საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი.

2. უნდა ანაზღაურდეს შემდეგი დანახარჯები:

ა) იმ მუშაკების ხელფასსა და პრემიებზე გაწეული ხარჯები, რომლებიც ეწევიან საცხოვრებელ შენობებში მოთავსებული ქსელებისა და მოწყობილობათა ტექნიკურ მომსახურებას; მუშაკთა სოციალური დაზღვევის ანარიცხები;

ბ) მასალებსა და სათადარიგო ნაწილებზე გაწეული ხარჯები;

გ) იმ ინსტრუმენტების, სპეციალური ინვენტარისა და სპეციალური ტანსაცმლის გაცვეთის ხარჯები, რომლებიც გამოიყენება ქსელებისა და მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების დროს, აგრეთვე შრომის დაცვისა და უსაფრთხობის ტექნიკაზე გაწეული დანახარჯები.

3. ქსელების ტექნიკური მომსახურების ასანაზღაურებელი ხარჯები განისაზღვრება მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი ფაქტიური დანახარჯების საფუძველზე, ქსელებითა და მოწყობილობით აღჭურვილ I კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობზე გაანგარიშებით, მაგრამ არა უმეტეს დადგენილი ნორმებით გათვალისწინებული დანახარჯებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშუალო მაჩვენებლის მიღების მიზნით, აღნიშნული ხარჯების განსაზღვრა უნდა ხდებოდეს ანალიზური აღრიცხვის 1967 წლის II ნახევრის მონაცემებით და ხორციელდებოდეს შერჩევითი გზით. 1968 წლის 1 იანვრიდან ხელფასის მინიმუმის გადიდებასთან დაკავშირებით გამოვლენილი ხარჯების თანხა უნდა დაზუსტდეს, ამასთან გამოყენებულ უნდა იქნეს 1968 წლის I ნახევრის აღრიცხვის მონაცემები.

ხელფასზე გაწეული ფაქტიური დანახარჯების გამოვლენის შეუძლებლობის შემთხვევაში, ისინი უნდა განისაზღვროს და დადგინდეს საბინაო ფონდის ტექნიკური მომსახურებისა და მიმდინარე რემონტზე შრომის დანახარჯების ნორმებით, რომლებიც დაწესებულია სახლმმართველობებისათვის (საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებისათვის).

ცალკეულ შემთხვევებში (როცა დაკომპლექტებული არ არის ტექნიკურ მომსახურებაზე დასაქმებული მუშების შტატი) ფაქტიური დანახარჯები შეიძლება გაიზარდოს არა უმეტეს 20 პროცენტისა, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს დაწესებული ნორმების საფუძველზე განსაზღვრულ თანხას.

4. I კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობზე დანახარჯების ნორმების განსაზღვრისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს შემდეგი ნორმატივები:

მუშაკთა რიცხვის განსაზღვრისათვის — ტექნიკურ მომსახურებასა და მიმდინარე რემონტზე გაწეული შრომის დანახარჯების ნორმები, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს 1964 წლის 12 ივნისის № 364 ბრძანებით;

ხელფასზე გაწეული ხარჯების განსაზღვრისათვის — თანამდებობრივი განაკვეთები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1967 წლის 20 ნოემბრის № 511/II-28 დადგენილების № 39 დანართით.

სოციალური დაზღვევის ანარიცხების ოდენობის განსაზღვრისათვის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 2 იანვრის № 1 დადგენილებით დამტკიცებული ტარიფები;

სპეციალური ტანსაცმლის გაცვეთის განსაზღვრისათვის — უფასო ტანსაცმლის გაცემის ნორმები, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს 1960 წლის 22 აპრილის № 598/10 და 1965 წლის 17 მარტის № 162/II-8 დადგენილებებით;

მასალებსა და სათადარიგო ნაწილებზე გაწეული დანახარჯები მიღებულ იქნეს ტექნიკურ მომსახურებაზე დასაქმებული მუშების ხელფასის 20 პროცენტის ოდენობით.

5. ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში, სადაც ადგილობრივი საბჭოების 10 და მეტი სახლმმართველობა ან საბინაო-საექსპლუატაციო კანტორაა, ასანაზღაურებელი ხარჯები შეიძლება განისაზღვროს არა ყველა ორგანიზაციის, არამედ მათი ჯგუფის მიხედვით, რომელსაც მოცემულ ქალაქებში, დასახლებულ პუნქტებში აქვს მთელი საცხოვრებელი ფართობის სულ ცოტა 25 პროცენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ საბინაო ფონდი ცალკეულ საწარმოთა და ორგანიზაციათა გამგებლობაშია, დანახარჯები შეიძლება განისაზღვროს ასეთივე წესით იმ საწარმოთა (ორგანიზაციათა) ჯგუფის საბინაო მეურნეობის მიხედვით, რომლებსაც აქვს საცხოვრებელი ფართობი, რაც ერთად დასახლებული პუნქტის მთელი საცხოვრებელი ფართობის 25 პროცენტამდე ნაკლები არ არის.

6. I კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობისათვის ასანაზღაურებელი ხარჯების ნორმებს ათანხმებს ადგილობრივი საბჭოს საბინაო სამმართველო, ხოლო იქ, სადაც სამმართველო არ არის, — კომუნალური მეურნეობის განყოფილება ან კომუნალურ საწარმოთა კომბინატი დაინტერესებულ წყალსადენ-კანალიზაციის, თბომომარაგების, ელექტრომომარაგების საწარმოებთან, და ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი.

7. ქსელებისა და მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების დანახარჯების ნორმები, რომლებიც გამოანგარიშებული და დამტკიცებულია ამ ინსტრუქციის მე-5-6 პუნქტებით გათვალისწინებული წესით, გამოიყენება მოცემულ ქალაქში, დასახლებულ პუნქტში მდებარე ყველა საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციასთან ანგარიშსწორების დროს, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა.

სახლმმართველობების და საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების ანალიზურ აღრიცხვაში ტექნიკური მომსახურების ასანაზღაურებელი დანახარჯები აისახება როგორც წყალსადენის, კანალიზაციის, თბომომარაგებისა და ელექტრომომარაგების საწარმოთა დავალიანება.

შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვაში და საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციების ანგარიშებში წყალსადენის, კანალიზაციის, თბომომარაგებისა და ელექტრომომარაგების საწარმოებისაგან მისაღები თანხა უნდა გატარდეს ცალკე მუხლად.

8. ადგილობრივი საბჭოების საგეგმო ორგანოები ყოველწლიურად, არა უგვიანეს 15 ივლისისა, აცნობებენ ყველა საწარმოსა და ორგანიზაციას ცნობებს ქსელებითა და მოწყობილობით აღჭურვილი საცხოვრებელი ფართობის დაგეგმილი საშუალო წლიური მატების შესახებ, დასაგეგმავ წელს ასანაზღაურებელი ხარჯების ოდენობის დასაზუსტებლად.

9. შენობების შიდაქსელების ტექნიკური მომსახურების ხარჯებს წყალსადენის, კანალიზაციის, თბომომარაგების, ელექტრომომარაგების და სხვა საწარმოები აანაზღაურებენ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციებისათვის წარდგენილ ანგარიშებში სახლის მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის, თბოენერგიის, ელექტროენერგიის ხმარებისა და საკანალიზაციო მომსახურების ქირის ჩათვლის გზით. ამასთან ასანაზღაურებელი თანხები ცალკე სტრიქონად აღინიშნება.

ელექტროქსელების მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, ქალაქების — საბითუმო გადამყიდველების გარდა, უნდა ხდებოდეს სახლმმართველობებისათვის (საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებისათვის) წარდგენილ ანგარიშებში სახლმმართველობების (საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების) მიერ გამოყენებული ელექტროენერგიის (კანტორების, კიბეების, ნომრებისა და კარის ფარნების განათება) ქირის ჩათვლის გზით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. თუ აღნიშნული ჩათვლა არ მოხდა დროზე, საწარმო, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ხარჯები, გადახდის დაგვიანებისათვის იხდის დაწესებულ საურავს, ხოლო შესაბამის შემთხვევებში, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, — ჯარიმას გადასახდელისაგან თავის არიდებისათვის.

ზემოაღნიშნული წესის თანახმად, საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციისათვის ასანაზღაურებელი ტექნიკური მომსახურების ხარჯები, რომლებიც ჩაუთვლელი და გადაურიცხავია, საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას შეუძლია გადაახდევინოს საგადამხდელო მოთხოვნის წამოყენების გზით.

11. წლიური ანგარიშის შედგენის შემდეგ საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაცია აცნობებს შესაბამის საწარმოებს მონაცემებს ფაქტიურად არსებული საცხოვრებელი ფართობის შესახებ (საშუალო წლიური გაანგარიშებით), რომლის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება ქსელებისა და მოწყობილობათა ტექნიკური მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად გადახდილი თანხების გადანაწილება.

12. ქსელებისა და მოწყობილობათა ხარჯების ანაზღაურების ამ ინსტრუქციით დადგენილი წესი ძალაში შედის 1969 წლის 1 იანვრიდან.

---

83 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“ დაქვემდებარების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს წინადადება და დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტი — „საქკონსერვხილბოსტანი“ ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსაც.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 2 ოქტომბერი, № 507.

ეროვნული ბიბლიოთეკა

84 საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**.

ქ. თბილისი, 1968 წ. 2 ოქტომბერი, № 508.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 2 ოქტომბრის № 508
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად, წარმოადგენს საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსაც.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო ხელმძღვანელობას უწევს ბამბის, შალის, ქეჩის, აბრეშუმის, ტრიკოტაჟის, საფეიქრო-საგალანტერიო, სამკერვალო, ფეხსაცმლის, ტყავის, ტყავგალანტერიის მრეწველობას, აგრეთვე არაქსოვილური მასალების მრეწველობას.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ეკისრება პასუხისმგებლობა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის, წარმოების სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და ტექნიკური დონისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და იმისათვის, რომ რაც შეიძლება უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებანი მსუბუქი მრეწველობის პროდუქციაზე.

2. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მთავარი ამოცანაა:

ყოველნაირად განავითაროს მსუბუქი მრეწველობა, როგორც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილი, უზრუნველყოს წარმოების განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალი ტემპები სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება უკრო სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის, სახალხო მეურნეობის და ქვეყნის თავდაცვის მოთხოვნილება მსუბუქი მრეწველობის პროდუქციაზე;

უზრუნველყოს საზოგადოებრივი შრომის მინიმალური დანახარჯებით ფართო ასორტიმენტის და მაღალი ხარისხის მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოება, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ძირითადი ფონდების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების გამოყენების გაუმჯობესება;

ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის გატარება, მეცნიერების, ტექნიკის, მოწინავე გამოცდილების უახლესი მიღწევების დანერგვა და წარმოების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების უზრუნველყოფა;

კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალურად გამოყენება ღა მათი ეფექტიანობის ამაღლება, მშენებლობის ღირებულების და მისი ვადების შემცირება, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროზე გადაცემა საექსპლუატაციოდ, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეთა ათვისება მოკლე ვადებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომისა და მმართველობის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, პირობების შექმნა მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის, იმ ახალგაზრდა სპეციალისტების დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე, რომლებმაც კარგი სახელი მოიხვეჭეს.

სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, წარმოებაში შრომის უსაშიშრო პირობების შექმნა.

3. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, წარმოადგენს რა წამყვან უწყებას რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის წარმოებაში, მონაწილეობას იღებს იმ საწარმოების მიერ წარმოების განვითარების დაგეგმვასა და ამ პროდუქციის გამოშვებაში, რომლებიც არ შედიან მის სისტემაში, და დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშავებს აღნიშნული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

4. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის ბრძანებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონების სწორად გამოყენებას სამინისტროს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

5. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს საქართველოს სსრ მრეწველობის განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტებს და დადგენილი წესით წარადგენს მათ დასამტკიცებლად;

დაუმტკიცებს გეგმიან დავალებებს სამინისტროს სამმართველოებს, სამინისტროს ქვესაუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, განახორციელებს ღონისძიებებს დამტკიცებული გეგმების შესრულებისათვის;

ბ) მოაწყობს მუშაობას დაგეგმვის სრულყოფისათვის, წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებისა და მისი რენტაბელობის ამაღლებისათვის, მსუბუქი მრეწველობის საწარმოების სპეციალიზაციისათვის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, სახალხო მოხმარების საქონლის ახალ სახეობათა გამოშვების ათვისებისა და წარმოებიდან ისეთ ნაკეთობათა მოხსნისათვის, რომლებზედაც მოთხოვნილება არ არსებობს;

გ) შეიმუშავებს და დადგენილი წესით დაამტკიცებს ტექნიკურ-ეკონომიურ ნორმატივებს, ნედლეულის, სათბობისა და მასალების ხარჯვისა და მარაგის ნორმებს, აგრეთვე საწარმოო და საექსპლუატაციო საჭიროებისათვის ელექტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როენერგიის ხარჯვის ნორმებს იმ ნორმატივებისა და ნორმების ნუსხის მიხედვით, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიერ; უზრუნველყოფს ყველა დამტკიცებული ნორმატივისა და ნორმის დანერგვას ქვესაუწყებო საწარმოებში;

დ) მოაწყობს ქვესაუწყებო საწარმოების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას და მათი პროდუქციის გასაღებას, განსაზღვრავს მათს მოთხოვნილებას ნედლეულზე, მოწყობილობაზე, სატრანსპორტო საშუალებებსა და სხვა მატერიალურ რესურსებზე, მიიღებს და დადგენილი წესით გაანაწილებს ქვესაუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის სამინისტროსათვის გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს, კონტროლს გაუწევს ფონდების რეალიზაციას და მათს გამოყენებას დანიშნულებისამებრ; განავითარებს და განამტკიცებს პირდაპირ კავშირურთიერთობას მიმწოდებელ და მომხმარებელ საწარმოებს შორის, კერძოდ, საწარმოებსა და სავაჭრო ორგანიზაციებს შორის; კონტროლს გაუწევს სამეურნეო ხელშეკრულებების დადებას და მათ შესრულებას ქვესაუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ;

ე) უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანად გამოყენებას და ახალ საწარმოო სიმძლავრეთა, საცხოვრებელი ფონდის, საბავშვო დაწესებულებების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების დროზე გადაცემას საექსპლუატაციოდ; უზრუნველყოფს ტიპობრივი პროექტების და ახალი მასალების მაქსიმალურად გამოყენებას, ინდუსტრიული მეთოდებისა და მექანიზაციის დანერგვას მშენებლობაში, რომელიც სამეურნეო წესით ხორციელდება, აგრეთვე განახორციელებს დადგენილი წესით პროექტების ექსპერტიზას, განიხილავს და დაამტკიცებს სატიტულო სიებს და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას, კონტროლს გაუწევს მშენებლობას, რომელსაც მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციები ახორციელებენ; დანიშნავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო კომისიებს იმ საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების საექსპლუატაციოდ მისაღებად, რომელთა მშენებლობა დამთავრებულია, დაამტკიცებს მათი მიღების აქტებს და მიიღებს გადაწყვეტილებებს ნაკრებ სახარჯთაღრიცხვო საფინანსო გაანგარიშებათა დახურვის შესახებ;

ვ) მონაწილეობას მიიღებს შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მიერ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შესყიდვის სახელმწიფო გეგმების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კულტურების და პირუტყვის ჯიშობრივი დარაიონების გეგმების შემუშავებაში;

შეისწავლის და გამოავლენს ნედლეულის რესურსებს მსუბუქი მრეწველობისათვის, სახელმწიფო შესყიდვის, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პირველადი გადამუშავების, მრეწველობასა და დამზადების სისტემაში ამ ნედლეულის ნაშთების შესახებ არსებული მონაცემების საფუძველზე;

ზ) უზრუნველყოფს დარგობრივი და რესპუბლიკური სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დანერგვასა და დაცვას, შეიმუშავებს და დადგენილი წესით დაამტკიცებს იმ საქონლის ტექნიკურ პირობებს, რომელსაც უშვებენ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საწარმოები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) უზრუნველყოფს საქონლის საექსპორტოდ მიწოდების დავალებათა შესრულებას და მიიღებს ზომებს საექსპორტოდ მისაწოდებელი საქონლის ნომენკლატურის გაფართოებისა და საექსპორტო მიწოდებათა მოცულობის გადიდებისათვის;

ი) დადგენილი წესით დააფინანსებს ქვესაუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საწარმოო-საფინანსო მაჩვენებლების გაუმჯობესება და უზრუნველყოფს პროდუქციის რეალიზაციის, მოგებისა და საბიუჯეტო გადასახდელთა გეგმების შესრულებას;

დადგენილი წესით შექმნის ახალი ტექნიკის ათვისების ფონდს, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის დაჯილდოების ფონდს და სხვა ცენტრალიზებულ ფონდებს, აგრეთვე რეზერვს ფინანსური დახმარების გასაწევად ქვესაუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის; გახსნის ბანკში საანგარიშსწორებო ანგარიშებს იმისათვის, რომ გადაანაწილოს ქვესაუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრები, მოგება, ახალი ტექნიკის ათვისების ფონდის შექმნის თანხები და სხვა სახსრები, აგრეთვე გახსნის ცალკეულ ანგარიშებს ცენტრალიზებული ფონდების სახსრების შესანახად;

მოაწყობს ბანკების დაწესებულებებთან ერთად ანგარიშსწორების ისეთ ყველაზე უფრო ეკონომიური და პროგრესული ფორმების დანერგვას, რომლებიც ხელს უწყობენ გადასახდელთა შეტანის დაჩქარებას, საბრუნავი სახსრების ბრუნვადობას და საგადამხდელო დისციპლინის განმტკიცებას; მონაწილეობას მიიღებს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ურთიერთდავალიანების ჩათვლების მოწყობასა და გატარებაში;

კ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარადგენს იმ პროდუქციის ფასებისა და პრეისკურანტების პროექტებს, რომელსაც ამზადებენ სამინისტროს ქვესაუწყებო საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე დადგენილი წესით დაამტკიცებს ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების პროდუქციისა და მომსახურების ფასებსა და ტარიფებს;

ლ) განიხილავს და დაამტკიცებს სამინისტროს სამმართველოების, სამინისტროს ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ანგარიშებსა და ბალანსებს, ჩაატარებს მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს, განახორციელებს ღონისძიებებს პირველადი აღრიცხვის შემდგომი გამარტივებისა, შემცირებისა და სრულყოფისათვის, ფართოდ დანერგავს გამოთვლითი ტექნიკის უახლეს საშუალებებს;

მ) მოაწყობს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილი ქონებრივი და წინასახელშეკრულებო დავის განხილვას სამინისტროს უწყებრივ არბიტრაჟში, დაწესებული დაქვემდებარების მიხედვით, აგრეთვე გადაწყვეტს დავას იმ წესით, რაც დადგენილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 14 მარტის ბრძანებულებით;

ნ) ხელმძღვანელობას გაუწევს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ქვესაუწყებო საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს, მოაწყობს სამეცნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას და განახორციელებს მოწინავე გამოცდილების ფართო გაზიარებას;

ო) ეწევა მუშაობას კადრების შერჩევისა, აღზრდისა და მომზადებისათვის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი სწორად გამოყენებისათვის;

პ) შეიმუშავებს წინადადებებს ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების შესახებ, აგრეთვე ღონისძიებებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ნორმირებისათვის, კადრების დენადობის დაუშვებლობისათვის; კონტროლს გაუწევს მუშაკთა შრომის ანაზღაურების დაწესებული პირობების სწორად შეფარდებას, შრომის კანონმდებლობის დაცვას, შრომის დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა გატარებას, აგრეთვე ხელფასის ფონდების სწორად ხარჯვას;

ჟ) მოაწყობს პროფკავშირულ ორგანოებთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებას, მიმართულს მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისაკენ, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისაკენ, სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისაკენ, მატერიალური და ფულადი რესურსების მომჭირნეობით ხარჯვისაკენ, ხელმძღვანელობას გაუწევს კოლექტიური ხელშეკრულებების დადებას და განახორციელებს მათი შესრულების კონტროლს; მიიღებს ზომებს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ყოველმხრივ განვითარებისათვის ქვესაუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, დახმარებას გაუწევს გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს მათს მუშაობაში, უზრუნველყოფს გამოგონებებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას;

რ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამინისტროს და მისი ქვესაუწყებო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტრუქტურის სრულყოფა და აპარატის შენახვის ხარჯების შემცირება;

ს) მოაწყობს მუშაობას შრომის დაცვის, უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის გაუმჯობესებისათვის, სოციალისტური საკუთრების დაცვისა და სახანძრო უშიშროების წესების შესრულებისათვის ქვესაუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში;

ტ) დააჯილდოებს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა საუკეთესო მუშაკებს საპატიო სიგელებით;

უ) საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად შეაჯამებს სამინისტროს ქვესაუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და მიანიჭებს გარდამავალ წითელ დროშებსა და ფულად პრემიებს;

ფ) მოაწყობს მშრომელთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვას, უზრუნველყოფს დაყენებული საკითხების სწორად გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყვეტას და მიიღებს ზომებს მშრომელთა წერილებში აღნიშნულ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რასაც ადგილი აქვს სამინისტროს ქვესაუწყებო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

6. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც ნიშნავს, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რასაც შემდგომ დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. მინისტრის მოადგილეებს შორის მოვალეობებს გაანაწილებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი.

7. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროზე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, იგი აწესებს მინისტრის მოადგილეების, სამინისტროს სამმართველოების უფროსებისა და სხვა ქვეგანაყოფთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობისათვის.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს დადგენილი წესით სამინისტროს და მისი ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობას;

ბ) დადგენილი წესით წარადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად საკანონმდებლო აქტების, მთავრობის დადგენილებების, განკარგულებების პროექტებს მსუბუქი მრეწველობის საკითხებზე;

გ) გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შეამოწმებს მათ შესრულებას;

დ) გააუქმებს სამინისტროს სამმართველოების უფროსების და სხვა ქვეგანაყოფთა ხელმძღვანელების, აგრეთვე სამინისტროს ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ გამოცემულ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

ე) შეიტანს ცალკეულ ცვლილებებს სტრუქტურაში და დაამტკიცებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამტატო განრიგს მუშაკთა იმ რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც სამინისტროს დაუწესდა ცენტრალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპარატისათვის; მიანიჭებს სამეურნეო ანგარიშის უფლებებს სამინისტროს სამმართველოებსა და განყოფილებებს;

ვ) შექმნის გაერთიანებებს, მოაწყობს, გადააკეთებს და გააუქმებს დადგენილი წესით სამინისტროს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს;

ზ) დაამტკიცებს დებულებებს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ, აგრეთვე დადგენილი წესით დაამტკიცებს სამინისტროს ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წესდებებს (დებულებებს);

თ) დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს და სამინისტროს ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკებს დადგენილი ნომენკლატურის შესაბამისად;

ი) მოიწვევს დადგენილი წესით აქტივის თათბირებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, რომლებზედაც განიხილავენ სამინისტროს და მისი ქვესაუწყებო საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების საქმიანობის საკითხებს;

კ) მიანდობს სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტას სამინისტროს სამმართველოებსა და განყოფილებებს, აგრეთვე მის ქვესაუწყებო გაერთიანებებსა და საწარმოებს.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად ერთობლივ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

8. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მინისტრი (თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

სამინისტროს კოლეგიის წევრებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს მსუბუქი მრეწველობის განვითარების ძირითად საკითხებს, იმსჯელებს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, საწარმოო და საფინანსო გეგმების შესრულების, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებზე, განიხილავს უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, აგრეთვე მოისმენს სამინისტროს სამმართველოების, განყოფილებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, სამინისტროს ბრძანებებით.

მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი **ცხოვრებაში გაატარებს** თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის

მუნ. ბიბლიოთეკა

წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

9. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური და სამხატვრო-ტექნიკური საბჭოები. საბჭოების შემადგენლობას და მათ დებულებებს დაამტკიცებს მინისტრი.

10. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი დასახელება.

85 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სარემონტო საწარმოებში ტრაქტორების კაპიტალური რემონტის თავმოყრის შესახებ

ტრაქტორების რემონტის ხარისხის გაუმჯობესების, მათი რემონტის ღირებულებისა და სათადარიგო ნაწილების ხარჯვის შემცირების, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სარემონტო საწარმოების საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. თავმოყრილ იქნას 1969 წლიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სარემონტო საწარმოებში კაპიტალური რემონტი ტრაქტორებისა (ყველა მარკის სატრაქტორო ძრავების, კვანძებისა და აგრეგატების და ტრაქტორების უნივერსალური საკიდი მოწყობილობის ჩათვლით), რომლებიც ეკუთვნის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებსა და ორგანიზაციებს. სსრ კავშირის ნავთობმომპოვებელი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს, აგრეთვე საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სისტემის ტრაქტორებისა.

სპეციალური მანქანების კაპიტალურ რემონტს ტრაქტორების ბაზაზე განახორციელებენ ის სამრეწველო და სამშენებლო სამინისტროები და უწყებები, რომლებსაც ეს მანქანები ეკუთვნის.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს, 1969 წლიდან დაწყებული, კაპიტალური დაბანდებებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფა, რომლებიც საჭიროა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ საწარმოო სიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლავრეთა შემდგომი განვითარებისათვის, ამასთან მოიზიდოს იმ სამინისტროებისა და უწყებების სახსრები და მატერიალური რესურსები (მათთან შეთანხმებით), რომელთა ტრაქტორების შეკეთება წარმოებს აღნიშნულ საწარმოებში.

3. აეკრძალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, გარდა საქართველოს სსრ ხე-ტყის და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსი, კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა, 1969 წლიდან დაწყებული, ტრაქტორების კაპიტალური რემონტის საწარმოთა მშენებლობისათვის.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით:

აეკრძალა სამინისტროებსა და უწყებებს, სსრ კავშირის ხეტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთობმომპოვებელი მრეწველობის სამინისტროს, აგრეთვე სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს გარდა, კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა, 1969 წლიდან დაწყებული, ტრაქტორების კაპიტალური რემონტის საწარმოთა მშენებლობისათვის.

დაევალა:

ა) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“:

სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟთან და დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით ტიპობრივი ხელშეკრულება ტრაქტორების (სატრაქტორო ძრავების, კვანძების, აგრეგატებისა და ტრაქტორების უნივერსალური საკიდი მოწყობილობის ჩათვლით) იმ კაპიტალური რემონტის შესასრულებლად, რასაც ატარებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ სისტემის სარემონტო საწარმოები, ამასთან გაითვალისწინოს ამ ხელშეკრულებით რემონტის საგარანტიო ვადები, აგრეთვე მხარეთა პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევისათვის.

სამი თვის ვადაში შეიმუშაოს ქვესაუწყებო სარემონტო საწარმოებში ტრაქტორების (სატრაქტორო ძრავების, კვანძების, აგრეგატებისა და ტრაქტორების უნივერსალური საკიდი მოწყობილობის ჩათვლით) კაპიტალური რემონტის საბითუმო ფასების პრეისკურანტის პროექტი და წარუდგინოს იგი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ფასების სახელმწიფო კომიტეტმა განიხილოს აღნიშნული პროექტი და დაამტკიცოს პრეისკურანტი იმ ანგარიშით, რომ შემოღებულ იქნას იგი სამოქმედოდ 1969 წლის 1 იანვრიდან;

ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს — შეისწავლონ 5-6 ოლქის გამოცდილებაზე საკითხი — თუ რამდენად მიზანშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წონილია ეკონომიურად, რომ გადაეცეს „სოფლტექნიკის“ რაიონულ (სარაიონთაშორისო) გაერთიანებებს (განყოფილებებს) ტრაქტორები, კომბაინები და სატვირთო ავტომობილები, რომლებიც ჩამოწერილია დადგენილი წესით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების ბალანსებიდან, და 1969 წლის IV კვარტალში წარუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ საკითხზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 10 ოქტომბერი, № 525

86 ხალხური მხატვრული სარეწების შემდგომი განვითარების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მხატვრული ნაკეთობებისა და სუვენირების წარმოებაში ხალხურ ხელმარჯვე ოსტატთა მოზიდვის შესაძლებლობანი ცუდად არის გამოყენებული, რის გამო ამ საქონელზე არსებული მოთხოვნილება სრულიადაც არ კმაყოფილდება. არასაკმაო რაოდენობით უშვებენ მხატვრულ ნაკეთობებსა და სუვენირებს ხისაგან, ქვისა და რქისაგან, ჩუქურთმითა და ინკრუსტაციით, გრავირებული, ფილიგრანიანი და ნაჭედობიანი ლითონისაგან, სამეთუნეო წარმოების ნაკეთობებს, ხელით ნაქსოვ ხალიჩებს (ფარდაგები, ხაოიანი, ქეჩის ხალიჩები), ეროვნულ ორნამენტიან ნაქსოვებსა და ამონაქარგებს (ხევსურული წინდები და ხელთათმანები, ფეხსაცმელი „ჩითი“ და სხვა).

მხატვრულ სარეწთა განვითარებაზე უარყოფითს გავლენას ახდენს საწარმოების მუშაობის დაშორიშორება, იმ ხალხურ ხელმარჯვე ოსტატთა შემოქმედებითი მუშაობისადმი ერთიანი ხელმძღვანელობის უქონლობა, რომლებიც ეწევიან მხატვრულ ნაკეთობათა გამოშვებას.

„ხალხურ მხატვრულ სარეწთა შემდგომი განვითარების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 14 აგვისტოს № 628 დადგენილების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაუწესდეთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს დავალება ხალხურ მხატვრულ სარეწთა ნაკეთობების გამოშვებისა 1969 წელს ერთი მილიონი მანეთის და 1970 წელს — 1,2 მილიონი მანეთის რაოდენობით, დანართის თანახმად.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთაც დაუწესდათ მხატვრულ ნაკეთობათა გამოშვების დავალება, მიიღონ ზომები, რათა გამოვლინებულ და ჩაბმულ იქნან წარმოებაში შინმომუშავე ხელმარჯვე ოსტატები და ტრადიციული ეროვნული ხელოვნების ოსტატები, მოაწყონ ამ მიზნისათვის ხალხური მხატვრული სარეწები, მიაღწიონ გამოშვებული მხატვრული ნაკეთობების ხარისხის გაუმჯობესებას და მათი ასორტიმენტის გაფართოებას იმ ანგარიშით, რომ მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს მოსახლეობისა და საგარეო ბაზრის მოთხოვნილება ამ ნაკეთობებზე.

ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და ასლი — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს—წინადადებანი იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქნას ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოებში მთავარი მხატვრების (სამხატვრო ხელმძღვანელების) თანამდებობანი, აგრეთვე პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის მხატვართა თანამდებობანი და რომ ამ საწარმოების წამყვანი პროფესიების მაღალკვალიფიციური მუშებისათვის დაწესდეს „უმაღლესი კლასის მხატვარი ოსტატის“ და „პირველი კლასის მხატვარი ოსტატის“ წოდებანი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა იმ დროიდან ერთი თვის ვადაში, რაც სამინისტროები და უწყებები წარადგენენ აღნიშნულ მასალას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს დასამტკიცებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებული დებულება მხატვრებისათვის კატეგორიის მინიჭებისა და მათი შრომის ანაზღაურების, აგრეთვე ხალხურ მხატვრულ სარეწთა საწარმოების წამყვანი პროფესიების მაღალკვალიფიციური მუშებისათვის ზემოაღნიშნული წოდებების მინიჭების წესის შესახებ.

3. საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ:

ა) ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოეწყოს სამინისტროს სისტემაში ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოების (საამქროების, უბნების) რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის გაერთიანება მხატვრული ნაკეთობებისა და სუვენირების წარმოებისათვის.

დააკისროს გაერთიანებას, მხატვრულ ნაკეთობათა წარმოების დარგში ხალხური ხელმარჯვე ოსტატების შემოქმედებითი მუშაობისადმი ხელმძღვანელობასთან ერთად:

მისთვის გადაცემული საწარმოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრულ ნაკეთობებსა და სუვენირებზე მყიდველთა მოთხოვნილების შესწავლა, აგრეთვე მათი რეკლამისა და გამოფენების მოწყობა;

გაერთიანების შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა. რისთვისაც ჩაბას წარმოებაში შინ მომუშავე ხალხური ხელმარჯვე ოსტატები და ეროვნული სახალხო ხელოვნების ოსტატები, ამასთან მოაწყოს რესპუბლიკის რაიონებში ახალი მხატვრული სარეწები ისეთი ხალხური ხელოვნების ნაკეთობათა წარმოებისათვის, რომელიც ტრადიციულია მოცემული ადგილისათვის, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა მოეწყოს ყაზბეგის, დუშეთის, მცხეთის, თიანეთის, ახმეტის, თელავის რაიონებში წარმოება საჭურჭლე წრეზე დამზადებული მეთუნეობის ნაკეთობებისა, ხელით ნაქსოვი ნაწარმისა (ხევსურული წინდებისა, ხელთათმანებისა, თუშური ფეხსაცმლის, „ჩითისა“ და სხვ.), ხელით ნაქსოვი ხალიჩებისა (ხაოიანი, ქეჩის, ფარდაგების, ხურჯინების), მოთელილი ნაწარმისა შალისაგან (ნაბდები, თუშური ქუდები), ხევსურული. ხელით ამოქარგული ნაწარმისა; მესტიისა და ლენტეხის რაიონებში — წარმოება სვანური ქუდებისა, ხელით მოჩუქურთმებული მხატვრული ნაკეთობებისა ხისაგან ინკრუსტაციით; აჭარის რაიონებში — ნაქსოვი წინდებისა, ქამრებისა „თორი“, დაწნული ხის კალათებისა, ბამბუკის ნაკეთობებისა; აფხაზეთში — ბზისა და ბამბუკის ნაკეთობებისა, ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ა. შ.;

ბ) უზრუნველყონ ქვესაუწყებო საწარმოებში დამზადება არასტანდარტიზებული მოწყობილობისა, აღკაზმულობისა და ინსტრუმენტისა ხალხური მხატვრული სარეწების ნაკეთობათა წარმოების დამხმარე პროცესების მექანიზაციისათვის;

გ) უზრუნველყოს 1970-1971 წლებში 400 მოსწავლის ადგილიანი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის და მასთან საერთო საცხოვრებლის მშენებლობა ხალხური მხატვრული სარეწების სპეციალისტთა მოსამზადებლად, აგრეთვე ისეთი მოწყობილობისა და მასალების მიწოდება მისთვის, რომლებიც საჭიროა სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის განსახორციელებლად.

4. რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მხატვართა კავშირმა საჭირო დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს იმ მხრივ, რომ გამოავლინოს და მოიზიდოს მხატვრულ სარეწებში ეროვნული ხელოვნების ხალხური ხელმარჯვე ოსტატები.

5. ტექნიკური ესთეტიკის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა:

ა) განახორციელოს სამხატვრო ნაკეთობებისა და სუვენირების წარმოების მხატვრული კონსტრუირება და ტექნოლოგიის შემუშავება მხატვრული სარეწების გაერთიანებისათვის;

ბ) შეიმუშაოს 1969 წელს ხალხური მხატვრული სარეწების ნაკეთობათა სარეკლამო კატალოგები, რესპუბლიკის იმ სამინისტროებისა და უწყებების

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკვეთებით, რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან ხალხური მხატვრული ნაკეთ-
წების საწარმოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო
კომიტეტმა უზრუნველყოს აღნიშნული კატალოგების გამოცემა 1969 წელს.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განახორციე-
ლოს ხალხური მხატვრული სარეწების ნაკეთობათა წარმოების დაგეგმვა,
ამასთან გაითვალისწინოს მაღალი ხვედრითი წონა ხელით შრომისა, რასაც იყე-
ნებენ მხატვრული ნაკეთობების დამზადებისა და მათი მხატვრული გაფორმებისა
და გამოყვანის ხშირად შეცვლის დროს.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს
სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური ძომარაგების მთავარმა სამ-
მართველომ მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას ხალხური მხატ-
ვრული სარეწების საწარმოები საჭირო მოწყობილობით, ნედლეულითა და მა-
ბით, ინსტრუმენტებით, და მასალებით.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ უზრუნველყოს, 1968-1969
სასწავლო წლიდან დაწყებული, რომ შეასწავლონ იმ რაიონებში მდებარე ზო-
გადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს შრომის გაკვეთილებზე, რომლე-
ბშიაც ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოები იმყოფებიან, მხატვრულ
ნაკეთობათა დამზადების ტექნიკური ხერხები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართვე-
ლომ გაითვალისწინონ ამ სკოლების უზრუნველყოფა შესაბამისი მოწყობილო-
ბით, ინსტრუმენტებითა და მასალებით.

9. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ ქალაქ თბილისის, სოხუმისა
და ბათუმის, მცხეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკო-
მებთან ერთად, მოაწყოს სპეციალიზებული მაღაზიები (ან სექციები არსებულ
უნივერმაღებთან) ხალხური მხატვრული სარეწების ნაკეთობათა ვაჭრობისათ-
ვის, ამასთან დააკომპლექტოს ისინი საქონელმცოდნეთა და გამყიდველთა კვა-
ლიფიციური კადრებით.

10. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 14 აგვისტოს № 628 დადგენილებით:

— მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს 1969 წლის 1 იანვრი-
დან უფლება მიენიჭათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის
საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით მიაკუთვნონ ხალხური მხა-
ტვრული სარეწების სპეციალიზებული საწარმოები საწარმოთა ჯგუფს ხელმძღ-
ვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურებისათვის იმ ჯგუფთან
შედარებით ერთი ჯგუფით მაღლა, რომელზედაც ისინი შეიძლება მიკუთვნებულ
იქნან დამტკიცებული მაჩვენებლების შესაბამისად;

— დაევალა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს სამი თვის ვადაში უზრუნ-
ველყოს, სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილე-
ობით, ჯგუფური ნორმატივების შემუშავება ხალხური მხატვრული სარეწების
საწარმოების სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხელფასის გეგმიანი ფონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დების დასაწესებლად პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის პროცენტულ-ლად, მხატვრული ნაკეთობების ცალკეულ სახეობათა წარმოების სპეციფიკისა და შრომატევადობის გათვალისწინებით, და დასამტკიცებლად წარუდგინოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს.

დაევალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს განიხილოს და 1968 წლის 1 დეკემბრამდე დაამტკიცოს აღნიშნული ნორმატივები.

წინადადება მიეცა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა გამგებლობაში იმყოფებიან ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოები, დაუწესონ ამ საწარმოებს, 1969 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხელფასის გეგმიანი ფონდის რაოდენობა, მხატვრული ნაკეთობების ცალკეულ სახეობათა დამტკიცებული ნორმატივების შესაბამისად;

უფლება მიენიჭათ ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოთა დირექტორებს:

დაუწესონ, როგორც გამონაკლისი, უბნების ცალკეულ მაღალკვალიფიციურ ოსტატებს გადიდებული თანამდებობრივი განაკვეთები ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში იმ რაოდენობით, რაც არ აღემატება იმ განაკვეთების მაქსიმალურ ოდენობას, რომლებიც გათვალისწინებულია მრეწველობის შესაბამისი დარგების საწარმოთა თანამდებობრივი განაკვეთების სქემებით პირველი ჯგუფის უბნების ოსტატებისათვის;

მიიღონ სამუშაოდ შინ მომუშავეებად ისეთი პირები, რომლებიც დაუფლებული არიან ხალხური მხატვრული სარეწების ნაკეთობათა დამზადების ოსტატობას, მათი საქმიანობის გვარეობის მიუხედავად (მუშები, მოსამსახურეები, სტუდენტები, კოლმეურნეები და სხვ.), ამასთან მათი შრომის ანაზღაურება მოხდეს დაწესებული სატარიფო განაკვეთების ან სანარდო ფასდების მიხედვით;

დაამტკიცონ სავაჭრო ორგანიზაციებთან შეთანხმებით ხალხური მხატვრული სარეწების ნაკეთობათა ახალი ნიმუშების ტექნიკური დოკუმენტაცია და ამ ნაკეთობების საცალო ფასები (გარდა ძვირფასი ლითონებისა და ქვებისაგან დამზადებული ნაკეთობებისა) იმ ნუსხების მიხედვით, რომლებსაც დაამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები;

— ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოთა დირექტორებს ნება დაერთო გადასცენ, ხოლო მაღაზიებს — მიიღონ საკომისიო საწყისებზე სარეალიზაციოდ ხალხური მხატვრული სარეწების მაღალმხატვრული ნაკეთობანი, რომლებიც მცირე სერიებად მზადდება (გარდა ძვირფასი ლითონებისა და ქვებისაგან დამზადებული ნაკეთობებისა);

— მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებსაც სამუშაოდ იღებენ საწარმოო სწავლების ოსტატებად პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და სკოლებში, რომლებიც კვალიფიციურ მუშებს ამზადებენ ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოებისათვის, დაუწესდათ, როგორც გამონაკლისი, შრომის საზღაური იმ საშუალო გამომუშავების ოდენობით, რასაც ისინი იღებდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინანდელ სამუშაო ადგილზე, თუ ეს გამომუშავება აღემატება იმ განაკვეთის ოდენობას, რომელიც გათვალისწინებულია ახალ სამუშაო ადგილზე დაკავებული თანამდებობის მიხედვით;

— იმ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და სკოლების მოსწავლეებზე, რომლებიც ამზადებენ მუშებს ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოებისათვის (მათი ადგილსამყოფელის მიუხედავად), გავრცელებულია მატერიალური უზრუნველყოფის წესი და ნორმები, რომლებიც მოქმედებენ საქალაქო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში;

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს დაევალა:

შეიმუშაოს 1968 წელს ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოებისათვის კვალიფიციურ მუშათა მომზადების სასწავლო გეგმები და პროგრამები;

შეიმუშაოს და გამოსცეს 1969-1971 წლებში სახელმძღვანელოები და დამხმარე წიგნები კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოებისათვის;

— ნება დაერთო ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოებს შეიძინონ საცალო სავაჭრო ქსელში ნაღდ ანგარიშზე ძაფი „მულინე", ლაქები, საღებავები, ქიმიკატები, ფუნჯები, სამკერვალო ნაწარმისათვის საჭირო ფურნიტურა, წვრილმანი ინსტრუმენტი, საკერავი მანქანების სათადარიგო ნაწილები და მხატვრულ ნაკეთობათა დასამზადებლად საჭირო სხვა პროდუქცია 30 მანეთამდე რაოდენობით ერთდროულად იმ წესითა და იმ პირობებში, რომლებსაც დაამტკიცებენ სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი;

— სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დაევალა შეიმუშაოს 1968 წელს, მოკავშირე რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების ტექნიკური მოთხოვნების თანახმად, ახალი სტრუქტურების ქსოვილების ნიმუშები ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოთა საჭიროებისათვის და უზრუნველყონ მათი გამოშვება აღნიშნულ სამინისტროებთან და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებული რაოდენობით;

— სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დაევალა გაათავისუფლოს ხალხური მხატვრული სარეწების ახლად შექმნილი საწარმოები და საამქროები მათი შექმნის მომენტიდან ორი წლის განმავლობაში მხატვრულ ნაკეთობათა რეალიზაციის ბრუნვის გადასახადისაგან, მათი წარმოების რენტაბელობის დონის მიუხედავად, აგრეთვე გაათავისუფლოს ერთი წლის ვადით ბრუნვის გადასახადისაგან მხატვრულ ნაკეთობათა ახალი სახეობანი, რომლებიც მზადდება ხალხური მხატვრული სარეწების მოქმედ საწარმოებსა და საამქროებში, თუ მათი წარმოების რენტაბელობა შეადგენს სრული თვითღირებულების 15 პროცენტამდე;

— დაწესებულია, რომ ხალხური მხატვრული სარეწების საწარმოებს წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისას ხელფასის გასაცემ სახსრებს მისცემენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები სამრეწველო-საწა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმოო პერსონალის ხელფასის გეგმიანი ფონდის გადამეტებით ხელფასის ფონდის 0,9 პროცენტის რაოდენობით წარმოების თვიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 17 ოქტომბერი, № 534.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 17 ოქტომბრის № 533
დადგენილების დანართი

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

მხატვრული ხალხური სარეწების ნაკეთობათა გამოშვებისა 1969-1970 წლებში საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით

(ათას მანეთობ. საწარმოთა საბითუმო ფასებში 1967 წლის 1 ივლისიდან)

	1969	1970
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	500	700
კულტურის სამინისტრო	180	180
უსინათლოთა საზოგადოება	60	60
თეატრალური საზოგადოება	60	60
ცეკავშირი	200	200
სულ	1000	1200

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

მუხ. 87
ეროვნული
ბიბლიოთეკა

87 ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალიდეურ მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნისათვის რესპუბლიკური კონკურსების მოწყობისა და ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის, საქართველოს მხატვართა კავშირის, საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის, საქართველოს თეატრალური საზოგადოების წინადადება და ნება დაერთოს მათ, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად, ჩაატარონ რესპუბლიკური კონკურსები ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალიდეურ მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნისათვის.

2. დაწესდეს, რომ მაღალიდეურ მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნისათვის კონკურსებს გამოაცხადებენ:

ა) ლიტერატურის დარგში (პროზა, პოეზია) — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი;

ბ) დრამატურგიის დარგში — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი და საქართველოს თეატრალური საზოგადოება;

გ) კინემატოგრაფიის დარგში (სრულმეტრაჟიანი ფილმების კინოსცენარები) — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირი;

დ) მუსიკის დარგში (ოპერა, ბალეტი, სიმფონია, ორატორია, კანტატა) — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი;

ე) სახვითი ხელოვნების დარგში (ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნება) — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და საქართველოს მხატვართა კავშირი.

3. დაწესდეს კონკურსის მონაწილეებისათვის პრემიების შემდეგი რაოდენობა:

ლიტერატურის დარგში — 4 პრემია
კინემატოგრაფიის დარგში — 3 პრემია
დრამატურგიის დარგში — 3 პრემია
მუსიკის დარგში — 3 პრემია
სახვითი ხელოვნების დარგში — 4 პრემია

პრემიის ოდენობა დაწესდეს, № 1 დანართის თანახმად.

4. კონკურსების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების ხარჯთაღრიცხვა განისაზღვროს 152 ათასი მანეთით, № 2 დანართის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს:

ა) გამოუყოს 1968 წელს კონკურსების ჩასატარებლად საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს ასიგნებანი 50 ათასი მანეთის ფარგლებში იმ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა ხარჯების მომჭირნეობის ანგარიშში, რომლებიც გათვალისწინებულია რესპუბლიკური ბიუჯეტით 1968 წლისათვის;

ბ) 1969 წლის პირველ კვარტალში წარმოადგინოს წინადადებანი კონკურსის ჩასატარებელი დანარჩენი ხარჯების დაფინანსების წყაროების შესახებ.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირს, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს, საქართველოს მხატვართა კავშირს, საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირს, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას ორი კვირის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ დებულება ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალიდეურ მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნისათვის კონკურსების ჩატარების შესახებ, აგრეთვე კონკურსების ჟიურის შემადგენლობა და გამოაქვეყნონ რესპუბლიკურ პრესაში.

6. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს აძლიონ კონკურსების დასკვნითი ტურების მონაწილეებს ფასიანი შემოქმედებითი შვებულება 6 თვის ხანგრძლიობით ძირითად სამუშაო ადგილზე ხელფასის შეუნარჩუნებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 23 ოქტომბერი, № 546.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 17 ოქტომბრის № 534
დადგენილების დანართი № 1

ᲬᲓᲔᲜᲝᲑᲐ

პრემიებისა, რომლებიც მიეცემათ ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალი დეონრ მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნის კონკურსებში გამარჯვებულებს

I.

ლიტერატურის დარგში

პროზა (რომანი, მოთხრობა)

I პრემია — 6 ათასი მანეთი
II პრემია — 3 ათასი მანეთი

პოეზია (პოემა)

I პრემია — 3 ათასი მანეთი
II პრემია — 2 ათასი მანეთი

II.

დრამატურგიის დარგში

I პრემია — 3 ათასი მანეთი
II პრემია — 2 ათასი მანეთი
III პრემია — 1500 მანეთი

III.

კინემატოგრაფიის დარგში (კინოსცენარები სრულმეტრაჟიანი ფილმებისათვის)

I პრემია — 6 ათასი მანეთი
II პრემია — 3 ათასი მანეთი
III პრემია — 2 ათასი მანეთი

IV.

მუსიკის დარგში

I პრემია — 6 ათასი მანეთი
II პრემია — 3 ათასი მანეთი
III პრემია — 2 ათასი მანეთი

V.

სახვითი ხელოვნების დარგში (ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნება)

I პრემია — 4 ათასი მანეთი
II პრემია — 3 ათასი მანეთი (ორი პრემია)
III პრემია — 2 ათასი მანეთი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 17 ოქტომბრის № 534
დადგენილების დანართი № 2

ხარჯთაღრიცხვა

ხარჯებისა, რომლებიც დაკავშირებულია ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალიდეურ მხატვრულ ნაწარმოებთა შექმნისათვის კონკურსების მოწყობასთან და ჩატარებასთან

1. ფულადი დახმარების მიცემა კონკურსის მონაწილეებისათვის (50 კაცი × 1.800 მან.)	— 90 ათასი მან.
2. პრემიები (17 პრემია)	— 54 ათასი მან.
3. კონკურსის ჩატარების ხარჯები (მივლინებები, განცხადებები პრესაში, ჟიურის ხარჯები, რეცენზირება და სხვა	— 7500 მანეთი
სულ	— 152 ათასი მანეთი

მათ შორის:

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს

დახმარება (27 კაცი)	— 48.600 მანეთი
პრემიები (11 კაცი)	— 29.500 „
სხვადასხვა ხარჯები	— 3.800 „
სულ	— 81.900 მანეთი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს

დახმარება (13 კაცი)	— 23.400 მანეთი
პრემიები (4 პრემია)	— 14.000 „
სხვა ხარჯები	— 1.800 „
სულ	— 39.200 მანეთი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს

დახმარება (10 კაცი)	— 18.000 მანეთი
პრემიები (3 პრემია)	— 11.000 „
სხვა ხარჯები	— 1.900 „
სულ	— 30.900 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

88 რაიონების (ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საგზაო განყოფილებების საწარმოო-საგზაო უბნებად გადაკეთების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ იმ ორგანიზაციებში ამჟამად არსებული სტრუქტურა, რომლებიც მომსახურებას უწევენ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებს, ხელს არ უწყობს იმ სახსრებისა და რესურსების რაციონალურად გამოყენებას, რასაც კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და ორგანიზაციები გამოყოფენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესაბამისად ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობისა, რემონტისა და შენახვისათვის, და ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

საწარმოო ბაზების, აგრეთვე საწარმოო სახაზო და საანგარიშო დარგის მუშაკთა რაოდენობის სიმცირის გამო, რაიონების (ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საგზაო განყოფილებები მოკლებული არიან საშუალებას თვალყური ადევნონ სამუშაოთა ხარისხს, კონტროლი გაუწიონ სახსრების ხარჯვას და უზრუნველყონ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ნორმალურად შენახვა.

მუდმივი საექსპლუატაციო სამსახურის უქონლობა ხშირად იწვევს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ხელოვნური ნაგებობების ნაადრევად დაზიანებას და მწყობრიდან გამოსვლას.

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რემონტისა და შენახვის, სამუშაოთა ხარისხის, აღრიცხვისა და ანგარიშგების, ფულადი სახსრების გამოყენებისადმი კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოსთან ერთად:

ა) გადააკეთონ 1969 წლის 1 იანვრიდან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების და ჭიათურისა და ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების საგზაო განყოფილებები მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომების და მშრომელთა დეპუტატების ჭიათურისა და ტყიბულის საქალაქო საბჭოების აღმასკომების საწარმოო-საგზაო უბნებად. მათი შენახვის ხარჯები გაიღონ იმ სახსრების ანგარიშში, რომლებიც განკუთვნილია ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისათვის.

დააკისრონ საწარმოო-საგზაო უბნებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა, რემონტი და შენახვა, აგრეთვე გზების შენახვისა და ექსპლუატაციის კონტროლი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც რაიონის ტერიტორიაზე იმყოფებიან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დააკომპლექტონ რაიონების, ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საწარმოო-საგზაო უბნები გამოცდილი ხელმძღვანელებითა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით.

2. დაწესდეს საწარმოო-საგზაო უბნების[1] ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის ტიპობრივი შტატები ამ უბნების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობითი ერთეულების (ბალების) საფუძველზე, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ მიაკუთვნოს, საქართველოს სსრ თინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, შრომის ანაზღაურების ჯგუფებს საწარმოო-საგზაო უბნების მუშაკები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნოს 1960 წლის 23 სექტემბრის № 1142/25 დადგენილებით დამტკიცებული მაჩვენებლების შესაბამისად.

3. გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს ადგილობრივი გზების განყოფილება ადგილობრივი გზების სამმართველოდ. გადიდდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის შტატი 21 ერთეულით და ხელფასის თვიური ფონდი (საშუალო თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით) 2109 მანეთით, ხოლო სხვა ხარჯებისა და სოციალური დაზღვევის დანარიცხებისა — 7 ათასი მანეთით; გადიდდეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საგზაო სამმართველოს შტატი 1.5 ერთეულით და ხელფასის თვიური ფონდი 183 მანეთით, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საგზაო სამმართველოს შტატი — 1 ერთეულით და ხელფასის თვიური ფონდი 108 მანეთით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილების შტატი — 1,5 ერთეულით და ხელფასის თვიური ფონდი — 168 მანეთით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატის სხვა ხარჯების გადიდება 7 ათასი მანეთის რაოდენობით მოხდეს იმის ანგარიშში, რომ შემცირდეს ეს ხარჯები მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო (ჭიათურის და ტყიბულის) საბჭოების აღმასკომებში, გარდა ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის რაიონული საბჭოების აღმასკომებისა.

4. დაეკისროს შესრულებული სამუშაოების მიღება და საწარმოო-საგზაო უბნების სათინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს აპარატს და შესაბამისად — ავტონომიური რესპუბლიკების საგზაო სამმართველოებს და ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილებას.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გამოუყოს 1969 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცილების მთავარ სამმართველოს მუშაკთა ამჟამად არსებული რაოდენობის გადაძეტებით 491 ერთეული ხელფასის 385,5 ათასი მახეთის წლიური ფონდით, ძათ შორის საწარძოო-საგზაო უბნების აპარატისათვის — 98 ერთეული ხელფასის 102,5 ათასი მანეთის წლიური ფონდით იძ ახგარიშით, რომ მოეწყოს საწაოძოო-საგზაო უბნები და მუდძივი საექსპლუატაციო სამსახური საერთო სარგებლობის ადგილობრივი მნიშვნელობის გზეიის მოძსახურებისათვის.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექხიკას“ გაითვალისწიხონ განაცხადებით, საქართველოს სსრ ძინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების ძთავარ სამძართველოს გაანგარიშებათა კვალობაზე, ძოთხოვხილეაა ფოხდირებულ საშენ მასალეასა, საგზაო-სამშენებლო ტექხიკასა და ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ადგილობრივი მხიშვხელობის სასოფლო გზების ძშენებლობისა, რეძოხტისა და ძენახვისათვის.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების ძთავარ სამძართველოს:

ა) სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღძასკომების საწარძოო-საგზაო უბნების შესახებ;

ბ) შეიმუშაოს და 1969 წლის 1 იანვრამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად ერთი მილიონი მანეთის დანახარჯებზე ადგილობრივი მხიშვნელობის გზებისა და ხიდების შესაკეთებლად და ძესახახად საჭირო ძირითადი ძასალების ხარჯვის ნორძები, შეთახხმებული საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან.

8. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეიტანოს საქართველოს სსრ კონსტიტუციაში ცვლილებანი, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან, საგზაო განყოფილებების ნაცვლად, შეიქმნა საწარმოო-საგზაო უბნები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი**

ქ. თბილისი, 1968 წ. 21 ოქტომბერი, № 541

№ 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 21 ოქტომბრის № 541
დადგენილების დანართი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშტატო განრიგი

რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების საწარმოო-საგზაო უბნებისა

ერთეულების დასახელება	I ჯგუფი 600 პირობით ერთეულზე (ბალზე) მეტი და საშტატო ერთეულების რაოდენობა	II ჯგუფი 451-დან 600-მდე პირობითი ერთეული (ბალი) და საშტატო ერთეულების რაოდენობა	III ჯგუფი 351-დან 450-მდე პირობითი ერთეული (ბალი) და საშტატო ერთეულების რაოდენობა	IV ჯგუფი 150-დან 350-მდე პირობითი ერთეული (ბალი) და საშტატო ერთეულების რაოდენობა
უფროსი	1	1	1	1
მთავარი ინჟინერი . .	1	1	1	1
უფროსი მექანიკოსი . .	1	1	—	—
ტექნიკოსი	—	—	1	—
უფროსი ბუღალტერი (მთავარი ბუღალტრის უფლებით)	1	1	1	1
ბუღალტერი	1	—	—	—
მოანგარიშე-მოლარე . .	1	1	1	1
ექსპედიტორი	1	1	—	—
სულ . . .	7	6	5	4

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

89 სოფლად მცხოვრებ მოქალაქეთა კუთვნილი ავტომობილებისა და მოტოციკლების სამომხმარებლო კოოპერაციის საკომისიო მაღაზიების მეშვეობით გაყიდვის მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს ცეკავშირის გამგეობას მოაწყოს სოფლად მცხოვრებ ინდივიდუალურ მფლობელთა კუთვნილი მსუბუქი ავტომობილებისა და ეტლებიანი მძიმე მოტოციკლების გაყიდვა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 აპრილის № 246 დადგენილებებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, სამომხმარებლო კოოპერაციის იმ მაღაზიების მეშვეობით, რომლებიც აკმაყოფილებენ საკომისიო ვაჭრობის მოთხოვნებს.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 აპრილის № 246 დადგენილების მე-2 პუნქტის მეორე აბზაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 23 ოქტომბერი, № 546.

90 წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 სექტემბრის № 773 დადგენილება „წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა სამრეწველო საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის საკითხების საუწყებათშორისო კომისიამ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს საქართველოს სსრ არასამრეწველო საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების სამრეწველო საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის საორგანიზაციო გეგმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტი იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 აგვისტოს № 774 დადგენილებით, შეათანხმოს იგი სსრ კავშირის შესაბამის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ საქართველოს სსრ შესაბამის საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად:

1969 წელს დაამთავროს ხანგრძლივი სამეურნეო კავშირ-ურთიერთობის დამყარება მიმწოდებელ და მომხმარებელ საწარმოებს შორის (მათ შორის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებისა) პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა მიწოდების მხრივ, უზრუნველყოს ამ კავშირ-ურთიერთობის შემდგომი განვითარება და სრულყოფა;

უზრუნველყოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციების კავშირ-ურთიერთობის გაუმჯობესება საწარმოო გაერთიანებებთან და საწარმოებთან, ერთობლივი შესწავლა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებისა პროდუქციის შესაბამის სახეობებზე, რათა უფრო სრულად დაკმაყოფილდეს ეს მოთხოვნილებანი.

4. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა:

ა) მიიღონ ზომები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 სექტემბრის № 778 დადგენილების მე-8 პუნქტის განუხრელად შესრულებისათვის, რომელიც ითვალისწინებს, რომ ისეთ შემთხვევებში, როდესაც დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოებში საშუალო ხელფასის ზრდა წინ უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, მატერიალური წახალისების ფონდის საშუალებათა შესაბამისი ნაწილი უნდა ჩაირიცხოს საწარმოს რეზერვში, რათა გამოყენებულ იქნას იგი შემდგომ წელს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის სტიმულირებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ან ჩაირიცხოს მიმდინარე წელს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში;

ბ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წარუდგინონ იმ საწარმოების ნუსხა, რომლებშიაც, გეგმის შესაბამისად, არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების წინსწრება ხელფასის ზრდასთან შედარებით, იმ მიზეზების გამო, რომლებიც ჩამოთვლილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 30 სექტემბრის № 778 დადგენილების მე-8 პუნქტში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიტანოს ეს სიები შემოწმების შემდეგ სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტებში, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოედგინება დასამტკიცებლად.

გ) ერთი თვის ვადაში მოამზადონ, საწარმოების, გაერთიანებების, ტრესტებისა და კომბინატების მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით, წინადადებანი იმის შესახებ, რომ განხორციელდეს 1969 წელს, ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საუწყებო საწარმოთა მმართველობის სისტემის სრულყოფა, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარება, საწარმოთა გამსხვილება, რაციონალური სამეურნეო კავშირ-ურთიერთობის დამყარება, წარმოებისადმი ხელმძღვანელობის ეკონომიური მეთოდების ფართოდ დანერგვა და წარმოუდგინონ ეს წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების მისაღებად.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ფასების კომიტეტმა საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განაგრძოს საბითუმო ფასების სრულყოფა იმისათვის, რომ სტიმულირებულ იქნას ტექნიკური პროგრესი წარმოებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 28 ოქტომბერი, № 549.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 778

1968 წლის 30 სექტემბერი

მოსკოვი, კრემლი

წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის გამოყენების პრაქტიკის გაუმჯობესების ზომების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა ქვესაუწყებო საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანისას დაუმტკიცონ მათ ეკონომიური სტიმულირების ფონდებში მოგების ანარიცხების მთელი რიგი წლებისათვის სტაბილური ნორმატივები ამ ფონდების შექმნის იმ საწყისი ნორმების საფუძველზე, რომლებიც შეთანხმებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ საუწყებათაშორისო კომისიასთან.

მოკავშირე რესპუბლიკების არასამრეწველო საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების საწარმოების გადაყვანას ახალ სისტემაზე განახორციელებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 აგვისტოს № 774 დადგენილებით რესპუბლიკური სამინისტროების საწარმოებისათვის, და სსრ კავშირის შესაბამის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროსთან ან უწყებასთან შეთანხმებით.

2. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა საუწყებათაშორისო კომისიამ:

დაადგინოს წესი ეკონომიური სტიმულირების ფონდებში მოგების ანარიცხების ნორმატივების დაზუსტებისა იმ შემთხვევებში, როდესაც ეს საჭიროა, და სისტემატური კონტროლი გაუწიოს მათ სტაბილობას;

სამი თვის ვადაში დაამტკიცოს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისათვის და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის წესი და ვადები ეკონომიური სტიმულირების ფონდებში მოგების იმ ანარიცხების 1971—1975 წლების სტაბილური ნორმატივების შემუშავებისა და ქვესაუწყებო საწარმოებისათვის დაგზავნისა, რომლებიც დააინტერესებენ საწარმოებს მიიღონ მაღალი გეგმიანი დავალებანი საწარმოო რეზერვების სრული გამოყენების ბაზაზე.

3. სსრ კავშირის სახმომარაგებამ სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაამთავრონ ძირითადად 1969 წელს ხანგრძლივი სამეურნეო კავშირურთიერთობის დამყარება მიმწოდებელ საწარმოებსა და მომხმარებლებს შორის, (მათ შორის სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს და „ცენტროსოიუზის“ სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებისა) პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა მიწოდების მხრივ, განახორციელონ ამ კავშირურთიერთობის შემდგომი განვითარება და სრულყოფა;

გააუმჯობესონ სსრ კავშირის სახმომარაგების სისტემის მომარაგებისა და გასაღების ორგანოების კავშირი სამინისტროებისა და უწყებების მთავარ სამმართველოებთან, საწარმოო გაერთიანებებთან და საწარმოებთან იმ მხრივ, რომ მოეწყოს შესწავლა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებისა შესაბამისი სახეობის პროდუქციაზე იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს ეს მოთხოვნილებანი.

4. იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს ტექნიკური პროგრესის ღონისძიებათა დაგეგმვა, დაფინანსება და გაძლიერდეს საწარმოების დაინტერესება ამ ღონისძიებათა განხორციელებით:

ა) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან, სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, შეიმუშაოს 1969 წლის პირველ ნახევარში დარგების ტექნიკური განვითარების გეგმის შედგენის წესი და განსაზღვროს მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ სწორი შეფასება მიეცეს განსახორციელებელ ღონისძიებათა ეფექტიანობას როგორც საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისას, ისე მისი შედეგების შეჯამებისას, აგრეთვე უზრუნველყოფს ტექნიკური პროგრესის ღონისძიებათა ეფექტიანობის სრულად გათვალისწინებას სახალხო-სამეურნეო გეგმებით;

ბ) სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა ახალი ტექნიკის ნიმუშების შემუშავებისას განსაზღვრონ სახალხო მეურნეობაში ახალ ნაკეთობათა გამოყენების საანგარიშსწორებო თვითღირებულება, ხვედრითი კაპიტალტევადობა და შესაძლო მოცულობა და ამ ნაკეთობათა ფასების დონე;

გ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან და სსრ კავშირის სახმომარაგებასთან ერთად, შეიმუშაოს და 1968-1969 წლების განმავლობაში განახორციელოს ფასწარმოქმნის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნიკური პროგრესის სტიმულირებას, ეკონომიური და ნაკლებად დეფიციტური სახის მასალების გამოყენებას წარმოებაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, მოძველებული ნაკეთობების დროულად მოხსნას წარმოებიდან და ახალი დეფიციტური სახის პროდუქციის გამოშვების გაფართოებას;

დ) კრედიტის დაფარვის იმ წესის დამატებით, რაც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 729 დადგენილების 42 პუნქტის მეორე აბზაცით, დაწესდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ახალი ტექნიკის დანერგვის და წარმოების ტექნიკური სრულყოფის სხვა ღონისძიებათა ხარჯებისათვის მიღებული იმ კრედიტის დაფარვა, რაც ეძლევათ მრეწველობის ყველა დარგის საწარმოებს, რომლებიც გადაყვანილი არიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, შეიძლება მოხდეს, თუ საწარმოებს არ გააჩნიათ წარმოების განვითარების ფონდის საკმაო სახსრები, იმ დამატებითი მოგების ხარჯზე, რომელიც მიღებული იქნება აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად;

ე) ნება დაერთოს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოებს დაფარონ თავიანთი ზეგეგმითი მოგების თავისუფალი ნაშთის ხარჯზე მათ მიერ ახალ სისტემაზე გადაყვანამდე მიღებული სესხი ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ტექნიკური სრულყოფის სხვა ღონისძიებებისათვის, აგრეთვე სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისა და ორგანიზაციისათვის, უკეთუ მათ არ მოეპოვებათ წარმოების განვითარების ფონდის საკმაო სახსრები. ნება დაერთოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს გამოიყენონ, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებით, აღნიშნულ სესხთა დაფარვის სხვა წყაროები საწარმოებში, რომლებშიაც არ მოიპოვება ზეგეგმითი მოგება ან მისი რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს ამ სესხთა დაფარვას.

5. საჭიროდ ჩაითვალოს ჩატარდეს სამეურნეო ანგარიშის სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითადი ფონდების გადაფასება 1971 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით, ხოლო საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, საკოლმეურნეობათაშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისა — 1972 წლის 1 იანვრისათვის და საამორტიზაციო ანარიცხთა მოქმედი ნორმების დაზუსტება ტექნიკური პროგრესის, ძირითადი ფონდების გადაფასებისა და 1967 წლის 1 ივლისიდან შემოღებული ახალი საბითუმო ფასებისა და ტარიფების გათვალისწინებით. სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახლმშენთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან, სსრ კავშირის სამშენებლო ბანკთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, 3 თვის ვადაში მოამზადოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს პროექტი დადგენილებისა ამ საკითხზე.

6. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს 1969 წლის 1 იანვრამდე წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახმომარაგებასთან შეთანხმებული წინადადება იმის შესახებ, რომ უფრო ფართოდ იქნას დიფერენცირებული კრედიტით სარგებლობის პროცენტული განაკვეთები, კრედიტის აუცილებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის გამომწვევი მიზეზების, კრედიტის ხასიათისა და მისი დაბრუნების დროულობის მიხედვით.

7. დაწესდეს, რომ იმ სახსრების რაოდენობა, რომლებსაც მრეწველობის გასაფართოებლად გადარიცხავენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 692 დადგენილების შესაბამისად რესპუბლიკური (ასსრ), სამხარეო, საოლქო და რაიონული დაქვემდებარების კვებისა და მსუბუქი მრეწველობის და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოები, ამ საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანისას, შემცირდება წარმოების განვითარების დასარიცხავი ფონდის თანხის რაოდენობით.

8. დაწესდეს, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც საშუალო ხელფასის ზრდა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოებში წინ უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, მატერიალური წახალისების ფონდის სახსრების შესაბამისი ნაწილი უნდა ჩაირიცხოს საწარმოს რეზერვში, რათა გამოყენებულ იქნას იგი შემდგომ წელს შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის სტიმულირებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ან ჩაირიცხოს მიმდინარე წელს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში.

მატერიალური წახალისების ფონდის სახსრების გამოყენების აღნიშნული წესი არ გამოიყენება იმ საწარმოებში, რომლებშიაც, დამტკიცებული გეგმის შესაბამისად, არ შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპების წინსწრება ხელფასის ზრდასთან შედარებით, სამთო-გეოლოგიური პირობების გაუარესებასთან, ახალი ტექნიკის ათვისებასთან, წარმოების რეკონსტრუქციასთან ან ძირითადი აგრეგატებისა და დანადგარების კაპიტალურ რემონტთან დაკავშირებით, აგრეთვე კვების, ხორცის, რძისა და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში — გადასამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის რაოდენობის შემცირებასთან და მისი ხარისხის გაუარესებასთან დაკავშირებით და ენერგეტიკულ საწარმოებში — ენერგიის მოხმარების შემცირებასთან, ან არახელსაყრელ ჰიდრომეტეოროლოგიურ პირობებთან დაკავშირებით.

ასეთი საწარმოების ნუსხას დააწესებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები გეგმების დამტკიცების დროს.

9. დაწესდეს, რომ ეკონომიური სტიმულირების ფონდები დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე საწარმოების გადაყვანის წელს შეიქმნება გეგმით გათვალისწინებული მათი საკუთარი რესურსების და იმ დამატებითი მოგების ნაწილის (90 პროცენტამდე) ხარჯზე, რომელიც საწარმოებმა მიიღეს საწარმოო რეზერვების უფრო სრულად გამოყენების შედეგად.

10. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად დააზუსტონ, დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოთა მუშაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის გამოცდილების გათვალისწინებით, მატერიალური წახალისების ფონდის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის შექმნისა და ხარჯვის მოქმედი წესი და დაამტკიცონ დებულება ამ ფონდების შესახებ, რომლითაც, კერძოდ, გაითვალისწინონ გაძლიერება წახალისებითი ფონდების და პრემიების ოდენობის დამოკიდებულებისა შრომის ნაყოფიერების ზრდაზე და ამ ფონდებში მოგების ანარიცხების ნორმატივების გამოყენება, სადაც ეს მიზანშეწონილია, შრომის ნაყოფიერების გადიდების ხარჯზე მიღებული პროდუქციის რეალიზაციის ზრდისათვის.

11. აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები ჯერ კიდევ ნელი ტემპებით აუმჯობესებენ ქვესაუწყებო საწარმოების მართვის ფორმებსა და მეთოდებს, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ წარმოების სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და კომბინირების, საწარმოთა გამსხვილების საკითხებს.

სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საწარმოების, გაერთიანებების, ტრესტებისა და კომბინატების მუშაობის გამოცდილების საფუძველზე, განახორციელონ 1968-1969 წლებში ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ქვესაუწყებო საწარმოების მმართველობის სისტემის სრულყოფა, აგრეთვე წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარება, საწარმოების გამსხვილება, რაციონალური სამეურნეო კავშირ-ურთიერთობის დამყარება, წარმოებისადმი ხელმძღვანელობის ეკონომიური მეთოდების დანერგვა.

12. დაწესდეს, რომ ეს დადგენილება სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შეიძლება გამოიყენონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საუწყებათაშორისო კომისიის თანხმობით, სახალხო მეურნეობის არასამრეწველო დარგების საწარმოებშიც (გარდა სოფლის მეურნეობისა და მშენებლობისა), რომლებიც გადაყვანილი იქნებიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, შესაბამისი დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

91 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილების დამატებისა და ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

I.

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 25 აპრილის № 276 დადგენილებისა „ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის განაკვეთებში ცვლილებათა შეტანის შესახებ“, შეტანილ იქნას 1969 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილებაში „ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ“ შემდეგი დამატებანი:

1. მხატვრული პროზის ნაწარმოებებისათვის (მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე სამეცნიერო-მხატვრული ლიტერატურისათვის, პიესებისათვის, კინოსცენარებისათვის) ჰონორარის განაკვეთების შესახებ 1 პუნქტის 1 ქვეპუნქტს დაემატოს ჰონორარის განაკვეთი საავტორო ფურცელში 175 მანეთის რაოდენობით.

2. პოეზიის ნაწარმოებებისათვის (მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე პიესებისათვის) ჰონორარის განაკვეთების შესახებ 1 პუნქტის V ქვეპუნქტს დაემატოს ჰონორარის განაკვეთი სტრიქონში 1 მანეთის რაოდენობით.

3. მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„თხზულებათა კრებულების გამოცემისათვის, რომლებიც ავტორის სიცოცხლეში გამოდის, გაიცეს ჰონორარი იმ რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია პირველი გამოცემისათვის, მიუხედავად წინა გამოცემათა რაოდენობისა, რომლებიც შეტანილია თხზულებათა კრებულში“.

4. დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილებას შემდეგი პუნქტები:

„11[1]. ლიტერატურული მინიატურებისათვის ჰონორარი გაიცეს იმ რაოდენობით, რაც შეთანხმებული იქნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა 1968 წლის 15 ნოემბრამდე მოამზადონ პროექტი საავტორო ჰონორარის განაკვეთებისა ლიტერატურული მინიატურებისათვის და წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის მწერალთა კავშირთან შემდგომ შესათანხმებლად“.

„11[2]. როდესაც ხდება ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოების გამოცემათა რაოდენობის გამოანგარიშება ამ ნაწარმოების შემდგომი გამოცემებისათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის საავტორო ჰონორარის გასაცემად, მხედველობაში არ მიიღება მისი გამოქვეყნება ალმანახებში".

„11³. დრამატურგებს, რომელთა ნაწარმოებები შენარჩუნებულია თეატრების რეპერტუარში ხუთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში, გასამრჯელო ამ ნაწარმოებთა საჯარო შესრულებისათვის მიეცემათ ხუთი წლის გასვლის შემდეგ სრულად".

II.

შეტანილ იქნას 1969 წლის 1 იანვრიდან შემდეგი ცვლილებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივლისის № 412 დადგენილებაში:

1. ამოღებულ იქნას მე-10 პუნქტის მეორე აბზაცი.

2. 21 პუნქტის 1 აბზაცს სიტყვების — „...გარდა პერიოდულ პრესაში" — შემდეგ დაემატოს სიტყვები: „და ალმანახებში".

3. 21 პუნქტის მე-2 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გამომცემლობები ავტორებთან დადებენ ხელშეკრულებებს მათი ნაწარმოებების გამოცემის შესახებ ტირაჟთა მხოლოდ ამ დადგენილებით დაწესებული ნორმების შესაბამისად და მათთან ანგარიშსწორების დროს ხელმძღვანელობენ ტირაჟების ამ ნორმებით. ავტორებთან სრული ტირაჟებისათვის ანგარიშის გასწორების დროს გამომცემლობებს უფლება აქვთ, მოცემული სახეობისა და მოცულობის ნაწარმოებთა გამოსაცემად კანონით დადგენილი ვადების ფარგლებში, გამოუშვან ისინი არა ერთბაშად სრული ტირაჟით, არამედ ნაწილ-ნაწილად ავტორებისათვის რაიმე დამატებითი გასამრჯელოს მიუცემლად, თუ ამ ნაწარმოებების დამატებით დაბეჭდვის დროს არ ხდება რაიმე ცვლილებების შეტანა შინაარსში. ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში გამომცემლობებს ენიჭებათ განსაკუთრებული უფლება გამოსცენ და ხელახლა გამოსცენ ნაწარმოებნი ყოველგვარი ტირაჟებით ისე, რომ ეს ტირაჟები არ შეუთანხმონ ავტორებს, ხელშეკრულება დაიდება სამი წლის ვადით, რაც იანგარიშება ხელშეკრულების დადების ან ხელნაწერის მიღების დღიდან, თუ ეს უფრო გვიან მოხდა, ან ხელნაწერთა მიღებისათვის დაწესებული ვადების გასვლის დღიდან, თუ მიღება მოხდა შეპირობებული ვადის გასვლის შემდეგ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 28 ოქტომბერი, № 550

ეროვნული ბიბლიოთეკა

92 ციტრუსოვანთა ნაყოფის შესყიდვისა და რეალიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად უკანასკნელი წლების მანძილზე თვალსაჩინოდ გადიდდა რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოება, მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი შესყიდვისა და დამზადების მოცულობა. ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოებაში კარგ შედეგებს მიაღწიეს აჭარის ასსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებიც ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებენ ციტრუსოვანთა ნაყოფის სახელმწიფო დამზადების გეგმებს და რომლებმაც ვალდებულება იკისრეს აიყვანონ მისი წარმოება 1970 წელს 50 ათას ტონამდე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 ათასი ტონისა.

ამავე დროს მთელი რიგი რაიონების მეურნეობანი, რომელთაც ხელსაყრელი პირობები მოეპოვებათ ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, ჯერ კიდევ საჭირო ყურადღებას არ აქცევენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე სათანადოდ არ არის მოწესრიგებული ციტრუსოვანთა ნაყოფის შესყიდვა მოსახლეობისაგან, არ არის აღმოფხვრილი ფაქტები, როდესაც მასობრივად არიან მოცდენილი საზოგადოებრივ შრომას კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, რომლებიც ციტრუსოვანთა ნაყოფს ჰყიდიან საკოლმეურნეო ბაზრებში და არაიშვიათად — ქვეყნის შორეულ რაიონებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტს — „საქკონსერვხილბოსტანს“ ჯერ არ გააჩნია საკმაო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ციტრუსოვანთა ნაყოფის დროულად მიღებისა, დახარისხებისა, შეფუთვისა და გაგზავნისათვის.

იმ მიზნით, რომ შემდგომ გადიდდეს ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მოწესრიგდეს მისი შესყიდვა მოსახლეობისაგან ისე, რომ მოიცვას მთელი სასაქონლო პროდუქცია და თავიდან იქნას აცილებული კოლმეურნეთა და სხვა მოსახლეობის მოცდენა საზოგადოებრივი შრომისაგან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. თავმოყრილ იქნას ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსავლის მთელი სასაქონლო ნაწილის შესყიდვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში (გარდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებიც უშუალოდ ეწევიან ციტრუსოვანთა ნაყოფის გაგზავნას), აგრეთვე კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და სხვა მოქალაქეთა მეურნეობებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის — „საქკონსერვხილბოსტანის“ სისტემაში, ამასთან აეკრძალოს ეს ოპერაციები ყველა დანარჩენ ორგანიზაციასა და უწყებას.

2. შემოღებულ იქნას, 1968 წლის მოსავლიდან დაწყებული, სისტემა ხელშეკრულებათა დადებისა კოლმეურნეებთან, საბჭოთა მეურნეობების მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შებთან და დანარჩენ მოქალაქეებთან იმის შესახებ, რომ მიეყიდოს სახელმწიფოს ციტრუსოვანთა ნაყოფი იმ რაოდენობით, რაც ყოველწლიურად განისაზღვრება მოსალოდნელი მოსავლის კვალობაზე.

მოწონებულ იქნას იმ ტიპობრივი საკონტრაქტაციო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც მოსახლეობასთან დაიდება სახელმწიფოსათვის ციტრუსოვანთა ნაყოფის მიყიდვის შესახებ.

3. დაწესდეს, რომ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და მოსახლეობას მიეცემათ ფულადი დანამატი დაწესებული შესასყიდი ფასის გადამეტებით 10 კაპიკის რაოდენობით ყოველ კილოგრამ მანდარინში, ფორთოხალში და „ახალი ქართული“ ჯიშის 10 ცალ ლიმონში, რაც მიეყიდება სახელმწიფოს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის გადამეტებით.

ციტრუსოვანთა ნაყოფი, რაც შესყიდული იქნება გეგმის გადამეტებით გადიდებულ ფასში, გაეგზავნოს სავაჭრო ორგანიზაციებს ისე, რომ არ იქნას დაშვებული მისი გამოყენება სამრეწველო გადამუშავებისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტს — „საქკონსერვხილბოსტანს“ გაითვალისწინოს 1969 და შემდგომი წლების გეგმებით საფუთავი ქარხნების მშენებლობა ადგილებზე იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ციტრუსოვანთა ნაყოფის თავის დროზე მიღება, დახარისხება, შეფუთვა და გაგზავნა, აგრეთვე შექმნას ყოველწლიურად მისი მიღებისა და გადამუშავების პუნქტებში ტარისა და საფუთავი მასალების საჭირო მარაგი.

5. ყოველწლიურად, მთლიანად რესპუბლიკაში საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებისა და შესყიდვის წლიური გეგმის შესრულებამდე, აეკრძალოთ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და სხვა მოქალაქეებს ციტრუსოვანთა ნაყოფის გაყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებში, აგრეთვე მისი გატანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა ციტრუსოვანი ნარგავებისათვის მინერალური სასუქების ფონდების განაწილებისას გამოყოს ყოველწლიურად, ცალკე სტრიქონად, შესაბამისი ფონდი ამ სასუქების მისაყიდად კოლმეურნეებისა, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და დანარჩენი მოქალაქეებისათვის, რომლებსაც ციტრუსების ნარგავები აქვთ საკარმიდამო ნაკვეთებზე.

მინერალური სასუქების მიყიდვა მოსახლეობისათვის განხორციელდეს შესაბამისი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეშვეობით.

7. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს შავი ზღვის ნაოსნობამ, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ არ მიიღონ გადასაზიდად ციტრუსოვანთა ნაყოფი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განრიგების წარუდგენლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. დაწესდეს, რომ იმ პირებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც დაარღვიეს ამ დადგენილების 1 და 5 პუნქტები, ჩამოერთმევათ ციტრუსოვანთა ნაყოფი და გადაეცემა დამამზადებელ ორგანიზაციებს, ამასთან მფლობელს აუნაზღაურდება მისი ღირებულება შესასყიდი ფასის 50 პროცენტის რაოდენობით.

იმ პირთა საქმეები, რომლებიც მხილებული იქნებიან ციტრუსოვანთა ნაყოფის ყიდვა-გაყიდვაში ან სპეკულაციის მიზნით გატანის ცდაში, გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ორგანოებს მკაცრი კონტროლი გაუწიონ ამ დადგენილების შესრულებას.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტმა — „საქკონსერვხილბოსტანმა“ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დროზე წარუდგინონ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს განაცხადები რეფრიჟერატორული მატარებლების, სექციებისა და ცალკეული ვაგონების საჭირო რაოდენობის შესახებ.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ მოამზადოს გადაზიდვის სეზონის დამდეგისათვის სამტრედიის განყოფილებაში იზოთერმული პარკის საჭირო რეზერვი ციტრუსოვანთა ნაყოფის შეუფერხებლივ გასატანად.

11. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მახარაძის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, ხობის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებს მიიღონ საჭირო ზომები ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოებისა და დამზადების გეგმების უცილობლივ შესრულებისათვის, ფართოდ განუმარტონ კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მთელ სოფლის მოსახლეობას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დადგენილებას, რომელიც მიმართულია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის დისციპლინის ყოველნაირად განმტკიცებისაკენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1968 წ. 31 ოქტომბერი, № 552.

№ 5
ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწონებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1968 წლის 31 ოქტომბრის № 552
დადგენილებით

ხელშეკრულება

მოსახლეობისაგან ციტრუსოვანთა ნაყოფის შესყიდვის კონტრაქტაციის შესახებ

19 —— წ. „———“ ———— თვე ——— სოფელი / ქალაქი

„საქკონსერვხილბოსტანის“ ——— დამამზადებელმა კანტორამ, შემდეგში „დამამზადებლად“ წოდებულმა ———
(თანამდებობა, გვარი, სახელი და მამის სახელი)

ერთი მხრივ, და მცხოვრებმა ——— სოფელი / ქალაქი
(სოფლის (ქალაქის) დასახელება, გვარი, სახელი და მამის სახელი)

შემდეგში „ჩამბარებლად“ წოდებულმა, მეორე მხრივ, დავდეთ ეს ხელშეკრულება 19 —— წლის მოსავლის ციტრუსოვანთა ნაყოფის კონტრაქტაციის შესახებ.

I. ჩამბარებელი ვალდებულია

1. მიჰყიდოს დამამზადებელს 19 ——— წლის მოსავლიდან სტანდარტული ციტრუსოვანი ნაყოფი: მანდარინი ——— ცენტნერი, ფორთოხალი ——— ცენტნერი და ლიმონი ——— ცალი.

ჩაბარებული პროდუქციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს რესპუბლიკური ტექნიკური პირობების მოთხოვნებს. ჩაბარებული არასტანდარტული ციტრუსოვანი ნაყოფი არ ჩაითვლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის შესრულებაში.

2. აწარმოოს ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოს და დამამზადებლის მიერ დაწესებულ ვადებში.

3. აწარმოოს თავისი საშუალებებით ნაყოფის მიტანა სტანდარტული მრავალსაბრუნავი ტარით ——— მიმღებ პუნქტში, საფუთავ ქარხანაში, ამასთან არ დაუშვას ცალკეული პომოლოგიური ჯიშების არევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. დამამზადებელი ვალდებულია

4. უზრუნველყოს ჩამბარებლები სტანდარტული მრავალსაბრუნავი ტარით და აწარმოოს ნაყოფის შეუფერხებლივ მიღება (მიტანის დღეს) დაწესებულ შესასყიდ ფასებში.

5. ამ ხელშეკრულების 1 პუნქტში აღნიშნული რაოდენობის გადამეტებით ციტრუსოვანთა ნაყოფის ჩაბარებისას ჩამბარებელს მიეცემა, დამამზადებელი ფასის გარდა, პრემია-დანამატები 10 კაპიკის რაოდენობით კილოგრამში დასამზადებელ ფასთან შედარებით ხელშეკრულების გადამეტებით ჩაბარებული ნაყოფის მთელი რაოდენობისათვის.

6. გაუსწოროს ჩამბარებელს ანგარიში ნაღდ ფულად ნაყოფის ჩაბარების დღეს, მაგრამ არა უგვიანეს ხუთი დღისა ნაყოფის ჩაბარების შემდეგ.

III. მხარეთა პასუხისმგებლობა

7. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ შემდეგი მატერიალური პასუხისმგებლობა:

ა) პროდუქციის ჩაბარების ვადის გადაცილებისათვის ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში ჩაუბარებლობისათვის პირველი ათი დღის ფარგლებში ჩამბარებელი იხდის საურავს 0,01 პროცენტის რაოდენობით;

ბ) ათ დღეზე მეტი ვადის გადაცილებისას ჩამბარებელი გადაუხდის დამამზადებელს, საურავის გარდა საუპიროს დანაკლისი პროდუქციის ღირებულების ორი პროცენტის რაოდენობით.

აღნიშნული ოდენობის საურავი და საუპირო გადახდება ჩამბარებელს პროდუქციის დანაკლისისათვისაც ხელშეკრულებით დაწესებული ასორტიმენტის ცალკეულ დასახელებათა მიხედვით.

გაუმჯობესებული ასორტიმენტის და ხარისხის პროდუქციის მიყიდვა არ იწვევს იმ პროდუქციისადმი დაწესებული სანქციების გამოყენებას, რომლის ანგარიშშიც იგი იყიდება.

8. იმ პროდუქციის მიღებაზე უარის თქმისათვის, რომელიც ჩამბარებელმა წარადგინა ხელშეკრულების შესაბამისად და მხარეთა შორის შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ან მისი მიღების ვადის გადაცილებისათვის დამამზადებელი გადაუხდის ჩამბარებელს საურავს მიუღებელი ან ვადის გადაცილებით მიღებული პროდუქციის ღირებულების სამი პროცენტის რაოდენობით და აუნაზღაურებს პროდუქციის მიტანის ხარჯებს (იქით და აქეთ), აგრეთვე ჩამბარებლის მიერ გაწეულ ზარალს (პროდუქციის ხარისხის შემცირება, სატრანსპორტო საშუალებათა გაცდენა მიღების მოლოდინში და ა. შ.).

პროდუქციის მიღებაზე უარის თქმისათვის დამამზადებელი, საურავის გარდა, გადაუხდის ჩამბარებელს პროდუქციის სრულ ღირებულებას.

9. მიღებული პროდუქციის საფასურის დროზე მიუცემლობისათვის დამამზადებელი გადაუხდის ჩამბარებელს ვადის გადაცილების ყოველ დღეში საურავს მიღებული პროდუქციის ღირებულების 0,01 პროცენტის რაოდენობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათ დღეზე მეტი ვადის გადაცილებისას საურავის დარიცხვა შეწყდება. დამამზადებელი გადაუხდის ჩამბარებელს დარიცხული საურავის გადამეტებით საუპიროს დროზე გადაუხდელი თანხის ორი პროცენტის რაოდენობით.

10. თუ ჩამბარებელი არ იქნა უზრუნველყოფილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტარით, დამამზადებელი გადაუხდის ჩამბარებელს ჯარიმას ნაკლმიწოდებული ტარის ღირებულების 50 პროცენტის რაოდენობით.

11. საურავის, საუპიროსა და ჯარიმის გადახდის გარდა, დამნაშავე მხარე აუნაზღაურებს მეორე მხარეს ხელშეკრულების დარღვევის შედეგად მიყენებულ ზარალს.

12. იმ საკითხებზე, რომლებიც ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმებით.

13. ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი დავა გადაწყდება დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულება შედგენილია სამ ცალად: ერთი ცალი ინახება ჩამბარებელთან, მეორე ცალი — დამამზადებელთან, ხოლო მესამე ცალი — სასოფლო საბჭოში.

ხელმოწერა:

ჩამბარებელი _____ დამამზადებელი _____

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5 1968 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
იურიდიული კომისია

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/XII 1968 წ. ქაღალდის ზომა 70 X 108.
ქაღალდი 30.000, ნაბეჭდი თაბახი 7,5, სააღრიცხვო თაბახი 8,0

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან

თარგმნილია რუსულიდან

ტირაჟი 4000 შეკვეთა 1245

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ინდექსი — 76187